რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ A3
გატაცებულ მანქანებს პოლიციელები ხელმეორედ კარგავენ A7
არქიტექტურა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2004 წელი. №129 (678)
ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## ძველი სენი ახალ პარლამენტში



დეპუტატები პლენარულ სხდომებზე აღარ დადიან და, შესაბამისად, "დღის წესრიგში" კვლავ დადგა კვორუმის პრობლემა.

A2

### ეკონომიკა

## ქართული მენტალიტეტი ვერ შეეგუა გამჭვირვალობას

შეუძლებელია განვითარდეს ბაზარი, როცა "საქართველოს რკინიგზა", "ფოთის პორტი" და მსგავსი მსხვილი საწარმოები შპს-ებია

A4

### უცხოეთი

## მოქთად ალ-სადრი - ერაყის გმირი და ირანის იმედი



ანტი-ამერიკულმა გამოსვლებმაც თეირანში, კოალიციის წევრი ქვეყნების საელჩოების წინ, საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ირანელები უცხო ქვეყნის ჯარების ერაყის ტერიტორიიდან გაყვანას მოითხოვენ. ასე რომ, ერაყელი მოქთად ალ-სადრის შიიტური მოძრაობა უფრო მეტად ირანის ინტერესებში შედის, ვიდრე ერაყის.

A5

### სამართალი

## ფრთხილად, ფარული ვიდეოკამერა გიღებთ!

შინაგან საქმეთა მინისტრი სისტემის რეფორმის მეორე ეტაპზე საუბრობს

A7

### აფხაზეთი

## ნაციონალური შერიგებისა და მშვიდობის პროექტი

"აფხაზთა ალიანსი" აღტაცებულია საქართველოს პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში მიმდინარე ბოლოდროინდელი განხილვებით აფხაზეთის მომავალი სტატუსის შესახებ.



A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 24 |
| ქუთაისი | 20 |
| ბათუმი | 18 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 18 |
| თელავი | 23 |
| ზუგდიდი | 18 |
| გორი | 20 |
| ახმეტა | 23 |
| ჭიათურა | 21 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3466 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5234 |
| რუბლი | 0.0662 |

# კიდევ ერთი რევოლუცია

10 წლის "რუსთავი-2"-ისა და 2 წლის "24 საათის" წარმატებული ინიციატივა



ბესო გულაშვილის ფოტო

22 დღის საბა მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში სეფსისის დიაგნოზით მოხვდა. პირველ ჯანმრთელ დღეს იგი პრეზიდენტის ხელებში შეხვდა.

B1

## კიდევ ხომ ჩამოხვალ, სანდრა?

მაია ურუშაძე

*ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქვეყნის პირველ ლედის დიდი ლიახვის ხეობელი ბავშვების დასაჩუქრება ჰქონდა განზრახული, სოფელ თამარაშენში კი გრანდიოზული კონცერტი იგეგმებოდა. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან თამარაშენისკენ ქართული ესტრადის ვარსკვლავებიც მიემგზავრებოდნენ. თუმცა, ოსურმა სამხედრო დაჯგუფებებმა ცხინვალის მახლობლად, სოფელ ერგნეთთან საავტომობილო გზა გადაკეტეს და მომღერლები უკან მოაბრუნეს, სანდრა რულოვსს კი თამარაშენში მოსახვედრად და ხეობელი ბავშვებისთვის საჩუქრების ჩასატანად ცხინვალის თავზე ვერტმფრენით გადაფრენა დასჭირდა. "მიხეილ სააკაშვილი საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს მეგობრობის ხელს უწვდის და დღევანდელი ვიზიტიც ამ მიზნის დამადასტურებელი მშვიდობიანი მისიაა. მე და ჩემს მეუღლეს კონფლიქტური სიტუაციის შექმნა არ გვსურს," - აცხადებდა გუშინ სანდრა რულოვსი.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## თამამი ექსპერიმენტი

*საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ თავს არ ღალატობს - იგი საკმაოდ მოულოდნელ, არაერთაზროვან გადაწყვეტილებას იღებს და ერთი ხელის მოსმით ცვლის საქართველოს ხელისუფლებაში დღემდე შექმნილ სიტუაციას - მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პოსტს კახა ბენდუქიძეს სთავაზობს. ამ გადაწყვეტილების შედეგებმა, დადებითმა თუ უარყოფითმა, სულ ცოტა, მომავალ რამდენიმე თვეში უნდა იჩინოს თავი. ერთის თქმა კი აქვე შეიძლება - სააკაშვილი საქართველოში მორიგ თამამ ექსპერიმენტს იწყებს.*

თამარ ხორბალაძე

**წინაპირობა**

საქართველოს მთავრობამ უკვე განვლო 100-დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც, როგორც წესი, პირველ შედეგებს აჯამებენ ხოლმე. ეს 100 დღე ქართულ ეკონომიკაში გარკვეული საბიუჯეტო გამობრწყინებებით, ხმაურიანი ანტიკორუფციული ღონისძიებებით, კონტრაბანდული ნაკადების ნაწილის გადაკეტვით, სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებული სკანდალებით, ქონების და გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლით, საგადასახადო ლიბერალიზაციის შეპირებით და ინვესტიციების მოზიდვაზე ბევრი საუბრით აღინიშნა.

ფაქტია, რომ საქართველოს რევოლუციური მთავრობის მმართველობის სტილი განსაკუთრებული ნოვაციურობით და ეფექტურობით არ გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე გადადგმული ნაბიჯები საქართველოში ეკონომიკური გარემოს კარდინალურ ცვლილებაზე არ გვამცნობს. ასეთ სიტუაციაში აუცილებელი იყო არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება და მიხეილ სააკაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "თორმეტამდესთან" ერთად

დალი კუპრავა

ერთხელ რედაქტორმა ვალერი ჯინჭარაძემ, მხატვრებმა - ირაკლი ბილაშვილმა, ილო ჭრელაშვილმა, ლევან კიკალიშვილმა, მამუკა ტყეშელაშვილმა და გია გელაშვილმა ბავშვებისთვის გაზეთის გამოცემა მოინდომეს.

გაზეთი "თორმეტამდე" ჩემს თვალწინ დაიბადა და ვითარდებოდა. ძიების პროცესი უმტკივნეულო არ ყოფილა. უპირველესად, მათ შპს "რუსთავი 2 პრინტის" დირექტორის ვიქტორ გათიკაშვილის "პრეტენზიების" დაკმაყოფილება მოუხდათ. მახსოვს, რამდენჯერ გადაკეთდა და შეკეთდა პირველი ნომერი და მაშინ, როცა "თორმეტამდელებმა" შვებით ამოისუნთქეს, - მოიწონესო, - დირექტორმა მათ, ზღაპრის მეფესავით, ახალი დავალება მისცა: ვიდრე შემდეგი ოთხი ნომერი არ გექნებათ მზად, გამოცემაზე წკრუნი არ გავიგონოო. მას შემდეგ ოთხი ნომერიც გამზადდა და შვიდჯერ ოთხიც.

1 ივნისი - ბავშვთა საერთაშორისო და წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების დღეა. ჩვენს ჰოლდინგში კი საიუბილეო დღეა - წელს "რუსთავი 2" ათი წლის გახდა, "24 საათი" ორი წლის შესრულდა, შვიდი თვის "თორმეტამდემ" კი პირველად გაათამაშა სუპერპრიზი.

გაგრძელება A6 გვერდზე



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*სექტემბერიც მალე დადგება და "თორმეტამდე" კვლავ გაემგზავრება დისნეი ლენდში. ამის საწინდარი კი გაზეთის ყოველი ნომერი შეიძლება აღმოჩნდეს.*

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 არქიტექტურა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# კიდევ ხომ ჩამოხვალ, სანდრა?

პირველი გვერდიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**"კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ბავშვებისთვის კონცერტის გამართვა დიდი ხნის წინ დაიგეგმა,** - განუცხადა "24 საათს" შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა, - **ეს განზრახვა არც ოსური მხარისთვის ყოფილა გასაიდუმლოებული."**

თუმცა, გუშინ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ბავშვებისათვის დასარიგებელი საჩუქრებითა და საკონცერტო აპარატურით დატვირთულ მანქანებს სოფელ ერგნეთთან გასამხედროებული ნაწილები გადაუდგნენ. მათ პრეზიდენტის მეუღლეს, მის თანმხლებ, უშიშროების მინისტრის მოადგილეს გიგი უგულავას, კულტურისა და სპორტის მინისტრს გოკა გაბაშვილსა და მომღერალთა კორტეჟს გზის გაგრძელების საშუალება არ მისცეს. არ გაჭრა არც იმან, რომ სანდრა რულოვსმა თითქმის მთელი ერგნეთი ავტომობილებისა და ესკორტის გარეშე, ფეხით, ექვსიოდე თანმხლები პირის ამარამ გაიარა. **"ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას თქვენს უსაფრთხოებაზე, ქუჩაში გაბრაზებული ქალები დგანან და არ არის გამორიცხული, ქვები დაგიშინონ,"** - ირწმუნებოდა შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელი, გენერალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი, მისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად კი იქვე ადგილობრივი ოსური წარმოშობის ქალბატონი ბობოქრობდა: **"კაკოვა ხრენა ვი ტამ ხატიტე, ვაინი ზატევაეტე ჩტო ლი, უბირაიტეს კ ჩორტუ, ი ვააბშე, რაზგავარივაიტე პა რუსსკი!"** მის დასაშოშმინებლად არც "თავისიანი" უშიშროების მინისტრის ოლეგ ალბოროვის ავტორიტეტი აღმოჩნდა საკმარისი. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განგვიმარტეს, ამ ქალბატონის სახე მათთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო: ერგნეთელებმა მასში 1992 წელს შექმნილი ე.წ. "ქალთა ბრიგადის" წევრი ამოიცნეს. ამ ბრიგადამ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გაითქვა სახელი. ერგნეთელები იხსენებდნენ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელს გოხელიშვილს სწორედ ამ ბრიგადამ წამებით ამოხადა სული (ის ჯერ დაასაჭურისეს, შემდეგ კი მოკლეს).

ერთი სიტყვით, გუშინ სანდრა რულოვსი ცხინვალში არ შეუშვეს. უშედეგოდ დასრულდა უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავასა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკებაც.

გენერალი სვიატოსლავ ნაბდზოროვი აცხადებდა, რომ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ნებართვის გარეშე სანდრა რულოვსს ცხინვალის მიმართულებით არ გაატარებდა. გიგი უგულავამ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაც სცადა, მაგრამ, ჩანს, "პრეზიდენტ" კოკოევს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, პირველი ლედი ცხინვალისკენ არ გაეტარებინა...

სხვათა შორის, სანამ ერგნეთთან შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელი ნაბზდოროვი მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე საუბრობდა, "24 საათმა" შეიარაღებულ კორდონს მიღმა გაღწევა მოახერხა. ძნელი სათქმელია, "ჟურნალისტური რეიდი" მოეწყო დაუგეგმავ დროს თუ ერგნეთთან აფრიალებული ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" დროშა ერთადერთი და უნიკალური იყო მთელ ცხინვალში... ყოველ შემთხვევაში, "24 საათს", ერგნეთიდან ცხინვალამდე მიმავალ გზაზე და თავად ცხინვალშიც, "განრისხებული მოსახლეობა" და პლაკატები "არ გელოდით!" არსად შეუნიშნავს.

**"ცხინვალის ტერიტორიაზე, აქამდე, ჩვეულებრივი მოქალაქეები შეუზღუდავად მოძრაობდნენ. ჩვენი დელეგაციის შეზღუდვა არ არის სანქცირებული, მაჩვენეთ დოკუმენტი, რომელიც ჩვენს გადაადგილებას კრძალავს,"** - მოითხოვდა უგულავა და აცხადებდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების პრეროგატივა სწორედ ამ ტერიტორიაზე მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფაა და არა მათი მოძრაობის შეზღუდვა.

მიუხედავად იმისა, რომ უგულავას მოთხოვნა ვერავინ დააკმაყოფილა, სამსაათიანი ამაო მოლაპარაკების შემდეგ უკვე აშკარა იყო, რომ გრანდიოზული კონცერტი ჩაიშალა. **"გული გვწყდება, რომ დიდი ლიახვის ხეობელ ბავშვებს დღესასწაულს სიმღერით ვერ მივულოცავთ,** - წუხდნენ მომღერლები თემურ წიკლაური, მამუკა ონაშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ზურა დოიჯაშვილი, ქეთი მერკვილაძე და ჯგუფ "რონდოს" წევრები, - **წარმოუდგენელია, ბავშვების მოლოდინი ასე გააცრუო და ისიც, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს."**

პირველმა ლედიმ კი თამარაშენში გადაფრენის გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო: **"სამსაათიანი ლოდინით დაღლილ ბავშვებს იმედს ვერ გავუცრუებ. თამარაშენში ვერტმფრენით გადავფრინდები და მათ დაპირებულ საჩუქრებს დავურიგებ."**

უსაფრთხოების საგანგებო ზომების მიღების შემდეგ, სანდრა რულოვსი თამარაშენში გადაფრინდა, ბავშვებს საჩუქრები დაურიგა და ხეობელი ბავშვების მიერ იქვე, თამარაშენის სკოლაში სახელდახელოდ მოწყობილ ზეიმსაც დაესწრო. **"კიდევ ხომ ჩამოხვალ, სანდრა?"** - ეს კონცერტის ყველაზე პატარა მონაწილის სიტყვებია, რომელმაც სანდრა რულოვსზე ისიც კი იცის, რომ საქართველოს პირველი ლედი წარმოშობით ჰოლანდიელია და მეგრულად საუბარი ეხერხება.

ხეობაში სანდრა რულოვსის ვიზიტმა ადგილობრივი "სპეცნაზელების" დიდი ფუსფუსი გამოიწვია. ვითარება კი განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როდესაც პირველმა ლედიმ უკან დაბრუნება ავტომანქანით სცადა. რამდენიმე წუთის განმავლობაში სანდრა რულოვსი ოსური სპეცდანიშნულების რაზმმა და სამშვიდობო ძალებმა ალყაში მოაქციეს. საბოლოოდ, ის ცხინვალს ახლოს არ გააკარეს და უკან დაბრუნება მაინც ვერტმფრენით მოუწია, გიგი უგულავა და პირველი ლედის თანმხლები ჟურნალისტები კი ოსურმა უშიშროების სამსახურმა შეაყოვნა. **"ხანმოკლე, კეთილმოსურნე საუბრის შემდეგ ინციდენტი ამოიწურა და ყოველგვარი ექსცესების გარეშე წამოვედით,"** - განუცხადა ვიზიტის დასრულების შემდეგ "24 საათს" გიგი უგულავამ.

გუშინ საღამოს კი ცნობილი გახდა, რომ შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც დღეს თბილისში უნდა გამართულიყო, ცხინვალში, დახურულ ფორმატში გაიმართება და მას შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომის სტატუსი არ ექნება. შეხვედრაზე მხარეები კონფლიქტის ზონაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელებენ.

# არჩევნები აჭარაში

20 ივნისს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პროპორციული სისტემით - 18, მაჟორიტარულით კი 12 დეპუტატი უნდა აირჩეს. ამისათვის აჭარაში უკვე შექმნილია 12 ერთმანდატიანი ოლქი. იმ ორგანიზაციებს შორის, ვინც აჭარის ავტონომიაში არჩევნებს დააკვირდება, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაც" გახლავთ. საზოგადოება წინასაარჩევნო მონიტორინგს უკვე შეუდგა. ამ ეტაპზე, ორგანიზაციის წევრთა შეფასებით, სერიოზული დარღვევები არ არის დაფიქსირებული. თუმცა, **"ცაიტნოტში მიღებული "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის თანახმად, წინასაარჩევნო პროცედურები საკმაოდ მოკლე ვადებში უნდა დამთავრდეს, რის გამოც, ამ პროცედურების კანონით დადგენილ ვადებში ჩასატარებლად განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო".**

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა შეფასებით, საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, ძირითადად, ვადებში მიმდინარეობს, თუმცა, 31 მაისს ზოგიერთი საარჩევნო უბანი კვლავ დახურული იყო და იქ საარჩევნო მზადება არ მიმდინარეობდა. გარდა ამისა, აჭარის ამომრჩეველთა ერთიანი სია საარჩევნო რეგისტრაციით უნდა დადგინდეს. რეგისტრაციის ვადების თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საარჩევნო კომისია იღებს. კომისიას ვადების თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, რაც ორგანიზაციის წევრთა აზრით, **"ისედაც მოკლე დროში განსახორციელებელი საქმიანობის ეფექტურად შესრულების შესაძლებლობას ამცირებს."** ორგანიზაციის წევრთა აზრით, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საკმაოდ ბუნდოვანია.

*24 საათი*

# ეროვნული ბანკი ლარის 1,7 ნიშნულამდე გამყარებას არ დაუშვებს

ქართველი მეწარმეები ლარის კურსის გამყარებით ექსპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას წინასწარმეტყველებენ. ამასთან, როგორც საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წევრმა ზურაბ ტყემალაძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, თუ დოლარის კურსის ვარდნა არ შეჩერდა, "მრეწველები" განგაშს ატეხენ. "მრეწველთა" მოძრაობის ლიდერის გოგი თოფაძის შეფასებით, არსებული გაცვლითი კურსი უპირატეს მდგომარეობაში აქცევს იმპორტიორებს, რითაც ქართული პროდუქციის ექსპორტი ზარალდება. პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში გოგი თოფაძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამოც, რომ დოლარის კურსის დაწევის მიუხედავად, ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები არ შემცირებულა.

"ლარის გამყარების რეალური საფუძველი ადგილობრივი წარმოების განვითარებაა, თუმცა ეროვნული ვალუტის სტაბილურობას ამჟამად საერთაშორისო დახმარებები უზრუნველყოფს," - აღნიშნა თოფაძემ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე პრაიმ-ნიუსთან საუბარში აცხადებს, რომ ეროვნული ბანკი მაქსიმალურად ცდილობს ბაზარზე არსებული "ჭარბი დოლარის მოხსნას". მისი ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვაჭრობაზე ეროვნულმა ბანკმა 40 მილიონი დოლარი შეისყიდა, შესაბამისად, დოლარის სანაცვლოდ ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 80 მილიონი ლარი, რაც ბაზარზე არსებულ ჭარბ დოლარს დააბალანსებს და ლართან მიმართებაში დოლარს გაამყარებს.

მანაგაძის განცხადებით, ლარის გამყარების საფუძველი ბოლო დროს ბიუჯეტში აკუმულირებული გადასახადები და ლეგალიზებული "შავი ფული" გახდა.

მისივე განმარტებით, ლარის 1,7 ნიშნულამდე გამყარების რეალური საფუძველიც არსებობს, თუმცა ეროვნული ბანკი ამას არ დაუშვებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# ომბუდსმენის თანამდებობაზე სოზარ სუბელიანის კანდიდატურა დასახელდება

საპარლამენტო უმრავლესობის მომავალ სხდომაზე დეპუტატი ელენე თევდორაძე სახალხო დამცველის თანამდებობაზე "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის სოზარ სუბელიანის კანდიდატურის დასახელებას გეგმავს.

სახალხო დამცველის კანდიდატურის დასახელებას თევდორაძე გუშინ გეგმავდა, თუმცა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობისთვის სახალხო დამცველის ვაკანტურ თანამდებობაზე დასახელებულ რამდენიმე კანდიდატთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, მან განცხადების გაკეთება გადაიფიქრა.

თევდორაძის ვარაუდით, საკუთარი კანდიდატი საპარლამენტო ოპოზიციასაც ეყოლება, თუმცა ვის დასახელებას აპირებს ოპოზიცია, მისთვის უცნობია.

*ინტერ-პრესი*

# რუსეთი კონფლიქტების მოგვარებისთვის საქართველოსთან ითანამშრომლებს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინ კოსაჩევის განცხადებით, რუსეთი დაინტერესებული არ არის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გართულებით და საქართველოს ამ რეგიონებში კონფლიქტების მოგვარებისთვის საქართველოს ხელისუფლებასთან ითანამშრომლებს. "რუსეთი დაინტერესებულია, არ დაუშვას სისხლისღვრა, მოძებნოს ისეთი მიდგომები, რომლითაც დაცული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების უფლებები," - აღნიშნავს რუსი დეპუტატი.

კოსაჩევი კომენტარს აკეთებს საქართველოს სამართალდამცავების მიერ ცხინვალის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანის შესახებაც და მიუთითებს, რომ "ეს არის სამწუხარო პრეცედენტი, რომელიც სისტემურ ხასიათს არ ატარებს". თუმცა, იქვე დასძენს, რომ ეს ფაქტი არ ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს ძალისმიერ მეთოდებზე უარის თქმის შესახებ.

*მედია-ნიუსი*

# ცხინვალში სპეციალური საპენსიო პუნქტები გაიხსნება

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ცხინვალის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები უკვე დაიწყო, უახლოეს დღეებში კი ცხინვალის რეგიონის პენსიონერებისთვის პენსიის მისაღებად სპეციალური პუნქტები გაიხსნება.

ასეთი პუნქტები ჯერ არა უშუალოდ ცხინვალში, არამედ ქალაქის ახლო მდებარე სოფლებში ამოქმედდება. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებაში სააკაშვილის ამ განცხადებებზე კომენტარისგან თავს იკავებენ.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები პრესითა და ტელევიზიით ბოლო პერიოდში ავრცელებდნენ ინფორმაციებს, რომ საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით ცხინვალში რუსეთის ფედერაციის სოციალური უზრუნველყოფის სფეროს სპეციალისტები მუშაობენ. ისინი ამზადებენ საკანონმდებლო ბაზას, რათა "რესპუბლიკის" მოქალაქეებმა პენსიები ადგილზე აიღონ. მათივე განცხადებით, პენსიონერთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა და პენსიას რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში იღებს.

*მედია-ნიუსი*

# ძველი სენი ახალ პარლამენტში



იური ლობოდინის ფოტო

*ახალ პარლამენტში ძველმა სენმა იჩინა თავი: დეპუტატები პლენარულ სხდომებზე აღარ დადიან და, შესაბამისად, "დღის წესრიგში" კვლავ დადგა კვორუმის პრობლემა. ამის გამო, გუშინ ვერ მოხერხდა იმ კანონპროექტების კენჭისყრა, რომლებიც დასამტკიცებლად, მინიმუმ, 118 ხმას საჭიროებენ. სხდომათა დარბაზში მყოფი პარლამენტარების მცირერიცხოვანმა ამალამ მხოლოდ ზოგიერთ კანონში ცვლილებების შეტანა შეძლო, რისთვისაც 79 ხმაც საკმარისია.*

ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი დეპუტატობის უპასუხისმგებლობით აღშფოთებულია. იგი საპროცედურო საკითხთა კომიტეტისგან გამცდენი პარლამენტარების მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების (ხელფასის დაქვითვა) გატარებას ითხოვს. მაჭავარიანი წუხს, რომ მაისის თვეში ასეთი "დამსჯელი ოპერაცია" არ განხორციელდა, რამაც, მისი აზრით, დეპუტატები გაათამამა და გააზარმაცა.

დასწრების დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, პარლამენტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება გუშინ მაინც შეძლო. კერძოდ, დეპუტატებმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირეს კანონპროექტს "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტების პაკეტს (პირველი მოსმენით).

"სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონის თანახმად, მიმდინარე წლის ნოემბრიდან, პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროსგან იუსტიციის სამინისტროს გადაეცემა. გარდა ამისა, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე კოტე ვარძელაშვილი განმარტავს, **"მკვიდრდება ე.წ "ერთი ფანჯრის" პრინციპი და მოქალაქეებს შეეძლებათ, უფრო მარტივად მიიღონ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მათ სახელმწიფოსგან ესაჭიროებათ".**

**"რევოლუციური კანონია. ამიერიდან მოიხსნება ბევრი ბარიერი, რომელთა გადალახვა დღემდე ნაცნობობითა და საქმის ჩაწყობით ხდებოდა,"** - ახალი კანონის მიღებით მეტად კმაყოფილია მიხეილ მაჭავარიანი.

მართალია, იუსტიციის სამინისტრო ნოემბრიდან ახალ ფუნქციებს შეიძენს, მაგრამ, როგორც ჩანს, რიგ მოვალეობებს, თავის მხრივ, სხვას გადაულოცავს. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტმა გუშინ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა "შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ" არსებულ კანონში ცვლილებების შეტანას. ეს ცვლილებები (მათი მეორე და მესამე მოსმენით მიღების შემთხვევაში) კი გულისხმობს იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის წარმოების, აგრეთვე, იმპორტ-ექსპორტის კონტროლისა და ლიცენზირების უფლების იუსტიციის სამინისტროსთვის ჩამორთმევას და უშიშროების სამინისტროსთვის გადაცემას.

გარდა ამისა, გუშინ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც ის უარს ამბობს მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებაზე. ძველი ხელისუფლების მიერ ჩაგდებულ ბიუჯეტზე მსჯელობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ძალზე უინტერესოდ ჩატარდა და მომხსენებლის (ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი) მისამართით შეკითხვები, ფაქტობრივად, არც კი დასმულა.

**"ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბიუჯეტის, მით უმეტეს, ვერშესრულებულის განხილვა ასეთ მშვიდ ვითარებაში ჩატარებულიყოს,"** - გაოცებული იყო პარლამენტში მრავლისმნახველი მიხეილ მაჭავარიანი.

ერთადერთი, რამაც დეპუტატების გაღიზიანება გამოიწვია, ის იყო, რომ 2003 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში პარლამენტში მხოლოდ ცხრილების სახით იყო წარდგენილი და არა ტექსტური ინფორმაციით.

**"მთავრობას ორ-სამგვერდიანი დასკვნის დაწერა არ უნდა გასჭირვებოდა. მით უმეტეს, ბიუჯეტის წარდგენის ფორმას კანონი ზუსტად განსაზღვრავს,"** - უკმაყოფილება არ დაუმალავს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ასეთ "ქცევას" ვასილ გიგოლაშვილი იმით ხსნის, რომ "განმარტებითი ბარათი (ბიუჯეტის ტექსტური ნაწილი) მთავრობის სხდომაზე დაწუნებული იქნა".

*გიორგი ასანიშვილი*

# კოკოითი საქართველოს ემუქრება

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოს ეკონომიკური ბლოკადით ემუქრება.

კოკოითმა რუსულ საინფორმაციო საშუალებებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ "მათ შეუძლიათ გადაკეტონ საქართველოს სამხედრო გზა, რაც ოფიციალური თბილისის მოქმედებებზე ადეკვატური პასუხი იქნება". მისივე თქმით, საქართველოს ქმედებებით შეშფოთებულია არა მხოლოდ სამხრეთი, არამედ ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებრიობა.

"ჩვენ მოგვდის ინფორმაციები, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობაც უკიდურესად შეწუხებულია და საქართველოს სამხედრო გზის ბლოკირება მათაც შეუძლიათ," - აცხადებს კოკოითი.

*მედია-ნიუსი*

# ცხინვალის უშიშროების საბჭოს მდივანი გადადგა

გუშინ თანამდებობა დატოვა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების საბჭოს მდივანმა ჯემალ ქარქუსოვმა. მისი განცხადება უკვე დააკმაყოფილა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა. ქარქუსოვმა თანამდებობის დატოვების მიზეზი ჟურნალისტებთან საუბრისას არ დააკონკრეტა და განაცხადა, რომ ეს პრესის განსახილველი თემა არ არის. გავრცელებული ინფორმაციით, ქარქუსოვმა თანამდებობა კოკოითთან პოლიტიკური დაპირისპირების გამო დატოვა და ეს კონფლიქტის ზონაში 31 მაისს განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს უკვე ყოფილი მდივანი ჯემალ ქარქუსოვი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე დე ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

*მედია-ნიუსი*

# ოსური მხარე თბილისში ჩამოსვლაზე უარს აცხადებს

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც დღეს თბილისში უნდა გამართულიყო, შესაძლოა, გადაიდოს, რადგან ოსური მხარე მასში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი მიზეზად ბოლო დღეებში თბილისსა და ცხინვალს შორის გართულებულ ვითარებას ასახელებს. ამავე მიზეზით, თბილისში ჩამოსვლისგან თავს იკავებენ კომისიის სხვა თანათავმჯდომარეებიც - რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი მიხაილ მაიოროვი და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის აპარატის უფროსი თეიმურაზ კუსოვიც. გამორიცხული არ არის, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა რამდენიმე დღის შემდეგ ცხინვალში გაიმართოს.

*მედია-ნიუსი*

# "საქართველომ სამხრეთ ოსეთის დაპყრობა დაიწყო"

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ვლადიმირ ჟარიხინის განცხადებით, საქართველომ სამხრეთ ოსეთის დაპყრობა დაიწყო, თუმცა "სამხრეთელი ძმების" დასაცავად ფეხზე დადგება ჩრდილოეთ ოსეთი. "საქართველომ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა ბლოკადაში მოაქცია. თუ რუსეთი ამ შემთხვევაში ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს, დასახმარებლად, მათ შორის - სამხედრო თვალსაზრისითაც, მზად არის ჩრდილოეთ ოსეთი," - აცხადებს ჟარიხინი.

ანალიტიკური ჯგუფის - "პამირი-ურალი" - ხელმძღვანელის ალექსანდრ საბონიანის შეფასებით, გამორიცხული არ არის, ოფიციალური თბილისის მოქმედებები მოსკოვთან იყოს შეთანხმებული. "რუსეთი თავის მოკავშირეებს ღალატობს, ისინი მომზადებას ვერ ასწრებენ. აქტიურმა ზემოქმედებამ კი, შესაძლოა, თავისი შედეგი გამოიღოს," - აცხადებს იგი და დასძენს, რომ ოსები ომისთვის მომზადებას ვერ მოასწრებენ.

*მედია-ნიუსი*

# არძინბას ხელისუფლება ოსურ სეპარატიზმს მხარდაჭერას უცხადებს

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ და აღნიშნავენ, რომ ოფიციალური თბილისის მოქმედებები რეგიონში მშვიდობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. "სამხრეთ ოსეთის ირგვლივ განვითარებული მოვლენები პროვოკაციაა და კავკასიაში დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული," - აცხადებს სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში იგორ ახბა. მისივე თქმით, თუ საქართველო ანალოგიურ ქმედებებს აფხაზეთის მიმართულებითაც განახორციელებს, მაშინ ადეკვატური ზომები იქნება მიღებული.

ახბა აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება საქართველოსთან არსებული პრობლემების მოგვარებაში კვლავ მშვიდობიანი მოლაპარაკებების მომხრეა. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ რაულ ხაჯიმბას განცხადებით კი, საქართველოს ხელისუფლება აჭარის ვარიანტის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განხორციელებას ვერ მოახერხებს, რადგან "ამ ორ რესპუბლიკაში შიდა ოპოზიცია არ არსებობს".

*მედია-ნიუსი*

# თბილისის საკრებულოში ლეიბორისტებმა თანამდებობები დაკარგეს

თბილისის საკრებულოს საგანგებო სხდომა, რომელსაც საკრებულოს სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხზე უნდა ემსჯელა, ხმაურით დაიწყო. საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრებმა გააპროტესტეს საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილის მითითება, რომ სხდომათა დარბაზში მხოლოდ დეპუტატები და ჟურნალისტები უნდა შეეშვათ.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილმა საკითხმა საკრებულოს ხუთი მოქმედი კომისიის (საფინანსო-საბიუჯეტო, საქალაქო მეურნეობის, ეკონომიკური რეფორმების, იურიდიულ საკითხთა, სოციალურ საკითხთა) გაუქმებისა და მის ნაცვლად ხუთი ახალი კომისიის (საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის, ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეთიკისა და რელიგიის) შექმნის შესახებ, ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრთა აღშფოთება გამოიწვია.

მათი განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილება ლეიბორისტებთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად. ეს ბრალდება კატეგორიულად უარყო ზაზა ბეგაშვილმა და განაცხადა, რომ "თბილისის მოსახლეობისთვის უმთავრესი ის კი არ არის, ვინ იქნებიან საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, არამედ მთავარია, დედაქალაქში საქმე გაკეთდეს." ბეგაშვილმა ფრაქცია "ლეიბორისტის" ის წევრები, რომლებსაც კომისიის თავმჯდომარეების პოსტები ეკავათ, არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა. მათ მაგიერ კი წარმოდგენილი იქნა საკრებულოს ხუთი კომისიის ახალი თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების კანდიდატურები: საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დავით იოსელიანი, მოადგილედ — გიორგი გოგოლაძე; ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ — ჯემალ სადაღაშვილი, მოადგილედ — ომარ აბულაძე; იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია — სევდია უგრეხელიძე, მოადგილე — რამაზ ესიავა; ჯანდაცვის სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის კომისია — იოსებ ეგუტია, მოადგილე — გიორგი მურღულია; საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეთიკისა და რელიგიის კომისია — ნინო მირიანაშვილი, მოადგილე — გიორგი ნიკოლაძე. "ლეიბორისტები" თანამდებობების დაკარგვას სასამართლოში გაასაჩივრებენ.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საქართველოს ეკონომიკის მინისტრად რუსეთში მოღვაწე კახა ბენდუქიძის დანიშვნას "ხელისუფლების თამამ და, რეალობის გათვალისწინებით, ოპტიმალურ გადაწყვეტილებად" აფასებს და იმედოვნებს, რომ ბენდუქიძე "საქართველოს, პრაქტიკულად, არარსებულ ეკონომიკას გამოაცოცხლებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო 29 მაისს საქართველოს სამართალდამცველების მიერ ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ სოფლებში ჩატარებულ სპეცოპერაციას საქართველოს საშინაო საქმედ აფასებს. როგორც საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რამიზ ჰასანოვთან გამართული კონსულტაციების შემდეგ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა განაცხადა, "საქართველო კვლავ რჩება აზერბაიჯანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტნიორად და საქართველოს სტაბილურობას აზერბაიჯანული მხარე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს". როგორც მამედიაროვმა აზერბაიჯანულ მედიას განუცხადა, 29 მაისის ინციდენტის გამო, არც აზერბაიჯანული და არც ქართული მხარე საზღვარზე მდებარე "წითელი ხიდის" ჩაკეტვას არ აპირებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ხელმძღვანელი ზვიად ძიძიგური, პარლამენტარები კობა დავითაშვილი და კახა კუკავა მიესალმებიან და მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად ძიძიგურმა და კახა კუკავამ საპარლამენტო უმრავლესობის რიგები დატოვეს, ისინი მაინც მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს პრეზიდენტს ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში არჩეული კურსის გამო.

როგორც გუშინ საგანგებოდ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე დავითაშვილმა აღნიშნა, "პრეზიდენტი სწორად ფიქრობს, რომ რეგიონში მცხოვრებმა ქართველებმა და ოსებმა სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება და მზრუნველობა უნდა იგრძნონ, ამიტომაც მივესალმებით რეგიონში რკინიგზის გახსნას, პენსიების დარიგებასა და სასუქის შეტანას." ზვიად ძიძიგურის განმარტებით კი, "ცივილურ სახელმწიფოში ოპოზიციამ არ უნდა დახუჭოს თვალი ხელისუფლების არც პოზიტიურ და არც ნეგატიურ ნაბიჯებზე და როგორც ერთს, ისე მეორეს გამოეხმაუროს." **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, გიორგი ბერიაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თამამი ექსპერიმენტი

პირველი გვერდიდან

ამ საკადრო გადაწყვეტილებას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი საუბრები საქართველოს მთავრობის წევრთა ნაწილის, მათ შორის - ირაკლი რეხვიაშვილის "ჩანაცვლების" შესახებ. ამ პოსტზე კონკრეტული კანდიდატურაც განიხილებოდა - უშუალოდ ზურაბ ჟვანიას გუნდიდან. სხვათა შორის, გადაწყვეტილება კახა ბენდუქიძის გამინისტრების შესახებ, წესისამებრ, სწორედ ზურაბ ჟვანიამ გააცხადა.

## საკადრო ცვლილებები

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკის მინისტრის პოსტისთვის კახა ბენდუქიძის კანდიდატურას არჩევს. ორშაბათს მას ჭეშმარიტ პატრიოტს უწოდებს, თუმცა პოსტის შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილებას არ ახმოვანებს.

სამშაბათს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გადაწყვეტილებას აჟღერებს.

ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ კახა ბენდუქიძე არის ცნობილი ქართველი მეწარმე, ექსპერტი ეკონომიკური განვითარების საკითხში, რომელიც წლების განმავლობაში მოღვაწეობს რუსეთში, სათავეში ედგა ათობით საწარმოს რესტრუქტურიზაციას და საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც რუსეთში, ასევე ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამასთან, ჟვანიას განცხადებით, ეკონომიკის ახალი მინისტრი ბოლო სამი თვის განმავლობაში აღარ არის დაკავებული აქტიური ბიზნესით, გადადგა გაერთიანებული სამანქანათმშენებლო კომპანიის ხელმძღვანელის პოსტიდან და ძირითად დროს თავის საქმიანობას უთმობს, როგორც მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორი.

პრემიერ-მინისტრის აზრით, **"კახა ბენდუქიძის საქართველოს მთავრობაში შესვლა ძალიან სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას უფრო მეტ ეფექტურობას შესძენს."**

აქვე იგი აკონკრეტებს, რომ **"მინისტრი, რა თქმა უნდა, ვერ ჩადებს ინვესტიციებს თავის დაქვემდებარებულ საწარმოებში."**

პრემიერ-მინისტრის ბრიფინგის შემდეგ კომენტარს უკვე საქართველოს პრეზიდენტი აკეთებს. **"საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ამ პირის ქვეყნის მთავრობაში ყოფნა, რომელსაც მხარდაჭერა აქვს საზღვარგარეთ, მათ შორის - ამერიკის შეერთებულ შტატებში,"** - ამბობს სააკაშვილი და აქვე განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ამ გადაწყვეტილების შესახებ მისგან გაიგო და **"გაუკვირდა, თუმცა გაგებით მოეკიდა."**

რაც შეეხება პროცედურებს. ჯერჯერობით, საქართველოს პრეზიდენტს კახა ბენდუქიძისთვის ორმაგი მოქალაქეობა არ მიუნიჭებია და ჯერ, ცხადია, არც კანდიდატურა წარუდგენიათ პარლამენტში, თუმცა მთავარი - პრეზიდენტის გადაწყვეტილებაა, რომელსაც, როგორც იცით, აბაშიძის იარაღიც კი ვერ აღუდგა წინ.

და კიდევ - გუშინ პრემიერ-მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ახალი საკადრო გადაწყვეტილებებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესახებაც გახდება ცნობილი. თუ კახა ბენდუქიძის დანიშვნის ფაქტს, გუშინ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ზურაბ სოსელიას შესაძლო დანიშვნის შესახებ გაკეთებულ საპრეზიდენტო განცხადებას, ანუ ამ პოსტზე დავით ტყეშელაშვილის დანიშვნის შანსების მინიმუმამდე დაყვანას და კულუარულ საუბრებს დავეყრდნობით, ფაქტი ხდება, რომ მთავრობაში და, ზოგადად, ხელისუფლებაში პრემიერ ზურაბ ჟვანიას კადრები თანდათან მცირდება.

რაც შეეხება უკვე ექს-ეკონომიკის მინისტრს ირაკლი რეხვიაშვილს, იგი სახელმწიფო კანცელარიაში ახლად შექმნილი რეფორმების სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნება.

## ახალი მინისტრი

კახა ბენდუქიძე 47 წლისაა, პროფესიით ბიოლოგია. იგი ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, პროფესორ ჯულიეტა რუხაძის შვილია. 1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, 1980 წელს კი - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. იქვე დაიწყო მუშაობა სამეცნიერო ინსტიტუტში. მუშაობდა გენური ინჟინერიის დარგში.

ბიზნესი 1988 წელს დაიწყო, კერძო კოოპერატივის - "ინტერის" ჩამოყალიბებით, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ბიოტექნოლოგიური პრეპარატების წარმოება იყო.

ორ წელიწადში კოოპერატივი სააქციო საზოგადოება "ბიოპროცესად" გარდაიქმნა, რომელმაც სხვადასხვა, აბსოლუტურად განსხვავებული მიმართულებებით გააგრძელა მოღვაწეობა.

უკვე ვაუჩერიზაციის პერიოდში, მან ვაუჩერებით შეისყიდა ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა და "იჟორსკის ქარხნები". ჰოლდინგ "ურალის მანქანათმშენებელი ქარხნები"-ს საფუძველზე შეიქმნა ღია სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები", რომლის 25-26 პროცენტს (საინფორმაციო საშუალებების ცნობით) კახა ბენდუქიძე ფლობს. მისი ქონება, სხვადასხვა მონაცემებით, 64-დან 73 მილიონ აშშ დოლარამდეა შეფასებული, თუმცა აქვე იმასაც ამბობენ, რომ კახა ბენდუქიძის გავლენა, როგორც კარგი მენეჯერის და მოღვაწის, მის ქონებაზე გაცილებით დიდი გახლდათ.



ვახო ბესელიას ფოტო

*ახალი მინისტრი საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზებს ლიბერალური რეფორმების გატარებას, რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნებს და არ შეუშინდება იმას, რომ ზოგიერთებმა იგი, შესაძლოა, "კრემლის ხელად" აღიქვან.*

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სხვადასხვა დროს იგი იყო სამრეწველო-სავაჭრო ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, სააქციო საზოგადოება "ურალმაშის" დირექტორთა საბჭოს წევრი, "რუსეთის ბიზნესის მრგვალი მაგიდის" პრეზიდიუმის წევრი, სამოქალაქო კომიტეტის "უფლება არჩევანზე" წევრი, რომელშიც ირინა ხაკამადა, ოლეგ კისილიოვი, ვიაჩესლავ ნიკონოვი შედიან. იგი ჩუბაისის (ანუ ლიბერალური იმპერიის თეორიის ავტორის) ბიზნეს-ჯგუფთან დაახლოებული გახლდათ და ლიბერალური მემარჯვენე ძალების დამფინანსებლადაც გვევლინებოდა.

თუმცა, მალე კახა ბენდუქიძემ პუტინის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა მოახერხა და რუსეთის პრეზიდენტის კარზე საკმაოდ მიღებული პერსონა გახდა. მიუხედავად ამისა, მან მარტში მიიღო გადაწყვეტილება "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები"-ს გენერალური დირექტორის პოსტიდან წასვლის შესახებ. "კომპრომატ.რუ"-ს ინფორმაციით, ეს რუსეთის ატომური ენერგეტიკის სამინისტროსთან დაპირისპირების გამო მოხდა და კახა ბენდუქიძემ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას გადადგომა ამჯობინა.

ბოლო დღეებამდე კახა ბენდუქიძე ღია სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები"-ს დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი გახლდათ. გუშინ იგი ამ პოსტიდან გადადგა. თუმცა, სააგენტო "რია-ნოვოსტის" ინფორმაციით, კახა ბენდუქიძე თავისი აქციების გაყიდვის შესაძლებლობას უარყოფს და ამბობს, რომ აპირებს, აქციები გადასცეს მართვის უფლებით. **"მე ჯერ არ შემირჩევია, ვის გადავცემ სამართავად აქციებს, რადგან, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მინდა, მათგან საკმაოდ დიდი მოგება მივიღო მომავალში,"** - განუცხადა მან სააგენტოს.

რაც შეეხება კახა ბენდუქიძის დამოკიდებულებას საქართველოსთან - იგი, ძირითადად, თბილისში ახლობლების მოსანახულებლად თუ ჩამოდიოდა და საქართველოში ბიზნესის წარმოებას კატეგორიულად გაურბოდა. როგორც ამბობენ, ამის ერთ-ერთი საფუძველი ის წარუმატებელი გამოცდილება იყო, რომელიც მან 90-იან წლებში საქართველოში, პარტნიორებთან ერთად დაარსებულ ფირმა "ლიპეკის" საქმიანობისას იწვნია. ასევე, დაუდასტურებელი წყაროების ცნობით, შევარდნაძის ხელისუფლებამ მისი "ჩათრევა" სცადა გალის რაიონთან დაკავშირებულ გარკვეულ პროცესებში, რაც ასევე წარუმატებლად დასრულდა.

## სამომავლო გეგმები

**"ხომ უნდა გააკეთო ცხოვრებაში რამე კარგი?"** - ასეთი პასუხი გასცა გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ბენდუქიძემ კითხვას იმის თაობაზე, თუ რატომ დათანხმდა იგი საქართველოს ეკონომიკის მინისტრობას.

თუმცა, კახა ბენდუქიძის "პროგრამას", მეტი რომ არ ვთქვათ, "პოპულარულს" ნამდვილად ვერ დაარქმევ.

გუშინდელ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზებს ლიბერალური რეფორმების გატარებას, რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნებს და არ შეუშინდება იმას, რომ ზოგიერთებმა იგი, შესაძლოა, "კრემლის ხელად" აღიქვან.

ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა - ბენდუქიძე აპირებს, დაარწმუნოს საქართველოს ხელისუფლება იმაში, რომ საჭიროა სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სექტორში მსხვილი გარიგებების განხორციელება. **"მე შევეცდები დავარწმუნო საქართველოს ხელისუფლება, რომ ინფრასტრუქტურის ობიექტების ძალიან დიდ ფულად გაყიდვა სულაც არ ასუსტებს ქვეყნის უსაფრთხოებას,"** - ცხადია, მსგავსი განცხადებების გამო, საქართველოში "კრემლის ხელად" აღქმას იგი მართლაც ვერ ასცდება.

გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ მომხრეა პრივატიზაციისა რაც შეიძლება მეტ ფასად - დამატებითი პირობების გარეშე.

ბენდუქიძე ახმოვანებს მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ იგი საგადასახადო წნეხის წარმოებებიდან ხალხზე გადატანის მომხრეა, რაც, მისი აზრით, მოსახლეობის პასუხისმგებლობის გრძნობას აამაღლებს.

**"რეფორმების გასატარებლად საჭიროა ხალხის მხარდაჭერა და ნდობა, ამიტომ დღეს საუკეთესო დროა ასეთი რეფორმების განსახორციელებლად,"** - განაცხადა მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე და აღნიშნა, რომ ეკონომიკური რეფორმები, შესაძლოა, ქვეყნის გაერთიანების საფუძვლად იქცეს.

რამდენად "ეყოფა" ბენდუქიძისეული რეფორმების განხორციელებას საქართველოს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის კეთილგანწყობა, ძნელი სათქმელია.

ჯერ ისიც არ არის გარკვეული, რამდენად მოახერხებს იგი ამ პოზიციებში საქართველოს ხელისუფლების დარწმუნებას. მით უმეტეს, თავად კახა ბენდუქიძის განცხადებით, მას უკვე ჰქონდა საუბარი საქართველოს პრეზიდენტთან: **"მე ვხედავდი ადამიანს, რომელიც ყველაფერს ადეკვატურად აღიქვამს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიკამათეთ კიდეც..."**

## გამოხმაურება რუსეთში

საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას ასეთი "დადებითი" და ცალსახად აღფრთოვანებული ტონალობის რეზონანსი რუსეთში, კარგა ხანია, არ მოჰყოლია.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრად კახა ბენდუქიძის დანიშვნას მიესალმებოდნენ რუსი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მიესალმებოდა მედია:

რუსეთის ვიცე-პრემიერი ალექსანდრ ჟუკოვი გუშინ აცხადებდა, რომ **"ეს გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს გააუმჯობესებს"**;

ეკონომიკური განვითარების მინისტრი გერმან გრეფი ბენდუქიძის დანიშვნას ამ პოსტზე "გამორჩეულ ნაბიჯად" აფასებდა;

რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი არკადი ვოლსკი აცხადებდა, რომ **"ბენდუქიძე ამ პოსტზე გაცილებით მეტს შესძენს ქართულ ეკონომიკას, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი"**;

დადებით კონტექსტში აშუქებდნენ ამ მოვლენას რუსული ტელეარხები, საინფორმაციო სააგენტოები, ინტერნეტ-გაზეთები.

"გაზეტა.რუ"-მ კი გუშინვე "მოასწრო" ანალიტიკური სტატიის მიძღვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ **"საქართველოს ხელისუფლების, პრაქტიკულად, ყველა ნაბიჯი გამოიყურება, როგორც ეფექტური და არასტანდარტული პოლიტიკური ტრიუკი."** წერილში ნათქვამია ისიც, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში - პირველად, საქართველოს ხელისუფლება **"იმეორებს რეფორმატორული მთავრობების ლეგიონერებით ფორმირების ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისეულ გამოცდილებას და ანვითარებს სცენარს, რომელიც კლანურ-ფეოდალურ ლოგიკას ეწინააღმდეგება"**.

## გამოხმაურება საქართველოში

ეკონომიკის მინისტრის პოსტი საქართველოში, მიუხედავად სამინისტროს ფუნქციების მრავალმხრივობისა, დღემდე განსაკუთრებული მნიშვნელობისად ნამდვილად არ აღიქმებოდა. ეკონომიკის დღევანდელი სამინისტრო, რომან გოცირიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან ჰგავს "აჯაფსანდალს". სამინისტროს, ძირითადად, დარგობრივი სამინისტროს სახე გააჩნია. ახალი გადაწყვეტილების შედეგად, ცხადია, სამინისტრო გაძლიერდება სწორედ ამ - დარგობრივი, ქონების მართვის, ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, რაც, სავარაუდოდ, სამინისტროს ხელმძღვანელად გამოცდილი მენეჯერის - კახა ბენდუქიძის მოწვევის ერთ-ერთი საფუძველი გახლავთ.

ბოლოს, თუ კახა ბენდუქიძის ფინანსურ წარმომავლობას და დაახლოებულ ბიზნეს და პოლიტიკურ ჯგუფებს გავითვალისწინებთ, ცხადია, რომ სააკაშვილის გუშინდელი გადაწყვეტილება ქართულ საზოგადოებაში ერთაზროვნად ვერ აღიქმებოდა და არც აღქმულა. ჩანს, მოულოდნელობის ეფექტიდან გამომდინარე, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა კომენტარები საკმაოდ ზოგადი, უფრო სწორად - არაკატეგორიული იყო. ეს არც არის გასაკვირი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კომენტარების ჩაწერისას საქართველოში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოსმენილი კახა ბენდუქიძის პირველი "საპროგრამო კომენტარები":

სააკაშვილის გადაწყვეტილების კომენტირებისას, მაგალითად, "ახლების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ გუშინ განაცხადა, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნით საქართველოს ეკონომიკა ორიენტაციას რუსეთზე აიღებს.

**"თუკი სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობას გავლენა აქვს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კახა ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნა საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთის გავლენას გააძლიერებს. კახა ბენდუქიძეს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ვერ დავაბრალებ, თუმცა, ცნობილია, რომ პუტინის პერიოდშიც და მანამდეც, რუსეთში ბიზნესში წარმატების მიღწევა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია".**

რუსულ ეკონომიკურ ორიენტაციაზე, თუმცა - გაცილებით დადებით კონტექსტში, საუბრობდა გუშინ "მრეწველთა" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.

"ნაციონალები", ცხადია, ცალსახად მხარს უჭერდნენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

საკმაოდ კატეგორიული გახლდათ "24 საათისა" და "რუსთავი 2"-ის დამფუძნებლის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელის კომენტარი, რომელმაც განაცხადა, რომ **"ეს უნდა მომხდარიყო გუშინ"**.

ზოგადად, მინისტრად ბიზნესმენის დანიშვნა არასწორად მიაჩნია ლადო პაპავას და იგი აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში, კერძო ბიზნეს-ინტერესების ლობირების საშიშროება არსებობს.

რომან გოცირიძე კი ამ გადაწყვეტილების რამდენიმე მხარეზე საუბრობს: **"ერთი მხრივ, ეს არის რუსეთსა და საქართველოში პოლიტიკური დათმობის შედეგი, გარკვეული რევერანსი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს რუსული ინვესტიციების გარკვეული გარანტი საქართველოში."**

რომან გოცირიძემ "უკარნახა" "24 საათს" მასალის სათაური, განაცხადა რა, რომ ამ გადაწყვეტილებას იგი განიხილავს, როგორც "თამამ ექსპერიმენტს". **"თუკი რუსული კაპიტალი მართლაც წამოვიდა საქართველოში, წამოვიდა სოფლის მეურნეობის, წარმოების სფეროში და არა მხოლოდ იმ პოლიტიზირებულ სფეროებში, საითკენაც რუსეთი ყოველთვის ისწრაფვოდა, ანუ - ენერგეტიკისა და გაზის, ტრანსპორტის და ტელეკომუნიკაციების სეგმენტში, ანუ ისეთ სეგმენტში, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული, მაშინ ეს იქნება წარმატებული ექსპერიმენტი,"** - დაასკვნის იგი.

# რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ

### "საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი ისევ აკვირვებს საზოგადოებას არაორდინალური გადაწყვეტილებებით"

ლელა ანჯაფარიძე
რუსეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი

რუსეთის პრესის ფურცლებზე ცენტრალური ადგილი დაიკავა თბილისში ჩატარებულმა ფორუმმა და მის ფონზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივამ.

28 მაისის გაზეთში "რუსკი კურიერი" გამოქვეყნდა წერილი სათაურით "კრემლის ქართული არჩევანი". ავტორის, დმიტრი სუსლოვის აზრით, მოსკოვი არც თუ ისე დიდი ხნის წინ სპეციალურად ზღუდავდა ეკონომიკურ თანამშრომლობას საქართველოსთან, მაგალითად სავიზო რეჟიმის შემოტანის გზით. სულ რაღაც ორი თვის წინ, რუსეთი საქართველოს უწოდებდა "არშემდგარ" სახელმწიფოს, ბრალს სდებდა მას საკუთარ ტერიტორიაზე ტერორისტების დამალვაში და ღიად უჭერდა მხარს აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და იმ დროისათვის ცენტრის მიერ არაკონტროლებად აჭარას.

ამჟამად კი, არ გადის კვირა, რომ მოსკოვმა ხაზი არ გაუსვას თავის მეგობრულ დამოკიდებულებას საქართველოსადმი და იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის საქართველოსთან თანამშრომლობა.

ავტორის განცხადებით, პირველად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსკოვმა დაიწყო თბილისთან კავშირის გზების გამოძებნა და, თანაც არა საკუთარ, არამედ თბილისის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე.

სუსლოვის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს არ გააჩნია სხვა არჩევანი, თუ არა "აფხაზეთის დამოუკიდებლობის დასრულება". ამ ეტაპზე გაჩერება მისთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია. იგი არ წავა ამ ნაბიჯზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა გადაწყდება და გადაწყდება ისე, როგორც ეს საქართველოს სურს.

ავტორი პუბლიკაციას ასრულებს შემდეგი სიტყვებით: მოსკოვის წინაშე დღეს გაჩნდა დილემა. ან ბოლომდე მხარი დაუჭიროს სეპარატისტულ რესპუბლიკებს და საქართველოსთან ურთიერთობაში გადავიდეს "ცივი ომის" ფაზაში, ან ბოლო მომენტში დაამყაროს თბილისთან მეგობრული ურთიერთობები და ამით ერთგვარად შეუერთდეს ტერიტორიული გამთლიანების ქართულ მცდელობას.

პუბლიკაციის ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ მოსკოვი აირჩევს მეორე გზას.

■ ■ ■

31 მაისის გაზეთი "კომერსანტი" აცხადებს, რომ ყველა ეკონომიკური წარმატება, რომელიც ჩაისახა საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ფორუმის დროს, შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს ახალი ლიდერის დროს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში მომხდარი დადებითი ძვრების გამო.

"ერთმანეთის მიმართ პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის შემდეგ (საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც აჭარის კონფლიქტის მოგვარება), მხარეებმა გადაწყვიტეს ეკონომიკურ ურთიერთდათმობაზეც წასვლა," -წერს გაზეთი.

■ ■ ■

31 მაისის გაზეთი "ვედომოსტი" ცალსახად თვლის, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლამ გაუადვილა რუსეთის ბიზნესს ქვეყნის ბაზრებზე გასვლა.

■ ■ ■

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ფორუმის დასრულების შემდეგ, 31 მაისის "ნეზავისიმაია გაზეტაში" დაიბეჭდა წერილი სათაურით "პრეზიდენტი სააკაშვილი თავის გუნდს მოდუნების საშუალებას არ აძლევს და უარყოფს სკეპტიკოსების პროგნოზებს."

კერძოდ, წერილში, რომლის ავტორია იური სიმონიანი, ნათქვამია: "საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი აგრძელებს სკეპტიკოსების პროგნოზების მსხვრევას. იმ სკეპტიკოსების, რომლებიც თვლიდნენ, რომ სააკაშვილს ნოემბრის უხვი ენერგია მალე გაუნელდება. საქართველოს პრეზიდენტი კვლავ ხშირად ჩნდება ხალხმრავალ ადგილებში, პერიოდულად სარგებლობს საქალაქო ტრანსპორტით, ურთიერთობს უბრალო მოქალაქეებთან და ისევ აკვირვებს საზოგადოებას არაორდინალური გადაწყვეტილებებით."

■ ■ ■

ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ფრაზა: "Такие инвесторы на дароге не валяются", აიტაცეს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა. გაზეთმა "რუსკი კურიერმა" იგი "დღის ციტატად" გამოაცხადა, ხოლო გაზეთებმა "ვრემია ნოვოსტეი" და "ნეზავისიმაია გაზეტამ" საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ფორუმისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს სწორედ ამგვარი დასახელება მისცეს.

■ ■ ■

1 ივნისს რუსეთის პრესა გაივსო პუბლიკაციებით საქართველოს შესახებ.

გაზეთი "კომერსანტი" აქვეყნებს წერილს სათაურით "Грузия выступила", ავტორი ვლადიმირ ნოვიკოვი, რომელშიც ნათქვამია:

"გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანებისაკენ. საქართველოს ძალოვნების გადამწყვეტი მოქმედებები და თბილისის მტკიცე პოზიცია მოწმობს იმაზე, რომ, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ოპერაცია სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღსადგენად."

■ ■ ■

იმავე გაზეთში დაბეჭდილია სერგეი სტროკანის ანალიტიკური პუბლიკაცია, სათაურით "შეკითხვის ფასი". ავტორი აცხადებს, რომ პოლიტიკა ერთგვარად საველოსიპედო რბოლას ჩამოჰგავს, რომლის დროსაც გაჩერება პოზიციების დაკარგვის ტოლფასია. პრეზიდენტ სააკაშვილს, აჭარაზე კონტროლის აღდგენის შემდეგ თავისუფლად შეეძლო დაესვენა და "ტაიმ-აუტი" აეღო, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს ეჩქარება, რადგანაც მას მშვენივრად ესმის, რომ აღნიშნულზე გაჩერება არ შეიძლება. ავტორის აზრით, "მიხეილ სააკაშვილს აქვს თამაშის საკუთარი წესები და იგი ყველანაირად ეცდება, არ გაუშვას ხელიდან სტრატეგიული ინიციატივა. თანაც მას "ველოსიპედის გამოგონება" არ დასჭირდება, იგი იმ ველოსიპედს გამოიყენებს, რომლითაც ტრიუმფალურად შევიდა თბილისსა და ბათუმში."

■ ■ ■

გაზეთში "ვრემია ნოვოსტეი" დაბეჭდილია მიხაილ ვიგნანსკისა და არკადი დუბნოვის პუბლიკაცია, სათაურით "სამხედრო-რიტორიკული ბლიცკრიგი". წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით: "გუშინ თბილისმა კიდევ ერთხელ მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ ვინ არის ქართული სახლის ნამდვილი პატრონი. აიღო რა ძალაუფლება თბილისში, დააკანონა რა იგი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით, საქართველოს ახალი ხელისუფლება შეუდგა შემდეგი ამოცანის - სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენის გადაწყვეტას."

■ ■ ■

გაზეთი "კომსომოლსკაია პრავდა" აქვეყნებს წერილს, სათაურით "თბილისი მიდის ომით ცხინვალზე", რომლის ავტორი ვლადიმირ ვორსობინი აცხადებს: "არ გასულა ერთი თვეც ბათუმის აღების შემდეგ და პროფესიონალი რევოლუციონერი მიხეილ სააკაშვილი ემზადება მეორე ამბოხებული ქალაქის - ცხინვალის ასაღებად."

ავტორის აზრით, ქართველების მიზანი "დღესავით ნათელია". მათ სურთ, ზეწოლა მოახდინონ ცხინვალსა და მოსკოვზე, ამ უკანასკნელის პოზიციის დასუსტებამდე. სწორედ მაშინ საქართველოს პრეზიდენტი ვარდებით ხელში შევა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში და სახალხო ზეიმის ფონზე აბაშიძესავით "გამოაძუნძულებს" მოსკოვში კოკოითის.

■ ■ ■

გაზეთში "იზვესტია" დაბეჭდილია ალექსანდრე იაშვილის მასალა, სათაურით "თბილისი ბრალს დებს რუსეთის სამხედროებს კონტრაბანდისტების დახმარებაში". წერილი იწყება სიტყვებით: "თაფლობის თვე" საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოს დედაქალაქიდან კვლავ ისმის გაბრაზებული გამონათქვამები რუსების მიმართ".

უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიკაციების ავტორმა ნამდვილად იჩქარა აღნიშნული დასკვნის გაკეთება. მისი და რუსეთის საინფორმაციო ველზე შექმნილი საერთო პოზიცია სრულიად არ არის თანხვდენილი.

■ ■ ■

დღეისათვის რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში განთავსებული მასალების მთავარი გმირი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. თითქმის ყველა წამყვანი გაზეთი და ინტერნეტ-საიტი აქვეყნებს ნაწყვეტებს საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი გამოსვლიდან და განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის მიერ რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ნათქვამ თბილ სიტყვებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით საკონტროლო-სალარო აპარატებით მხოლოდ 11.678 ობიექტი, ანუ საერთო რაოდენობის 79.1 პროცენტი მუშაობს. საკონტროლო-სალარო აპარატების დადგმისა და გამოყენების წესების დარღვევისთვის აპრილში საგადასახადო სამსახურმა საჯარიმო სანქციები 341 ობიექტს დააკისრა. გასული ოთხი თვის განმავლობაში კი, სულ საჯარიმო სანქციები 567 ობიექტის მიმართ გატარდა. დარიცხული ჯარიმის საერთო რაოდენობამ 365.300 ლარს მიაღწია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა მაისში საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შეასრულა. დეპარტამენტმა გასულ თვეში საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში, 97.6 მლნ. ლარის ნცვლად, 117.1 მლნ. ლარი შეიტანა. საპროგნოზო მაჩვენებლები 120 პროცენტით შესრულდა. მაისის თვეში განსაკუთრებით მოიმატა საგადასახადო შემოსავლებმა მოგების გადასახადის მიხედვით. მობილიზებულმა თანხამ 29.4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2,7-ჯერ მეტია აპრილის თვის მაჩვენებელზე. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში მაისში 34,4 მლნ. ლარი ჩაირიცხა, გეგმის შესრულებამ 121 პროცენტი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს 34 347 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "ინტერ-პრესს" ბირჟაზე განუცხადეს, სავაჭროდ წარდგენილი შვიდი კომპანიის აქციებიდან გარიგება ხუთის აქციებზე დაიდო. კერძოდ, გარიგება დაიდო "ტრანსმშენის", "საქართველოს ბანკის", "ავტოშემკეთებლის", სასტუმრო "აჭარისა" და "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციებზე. გარიგებების ჯამურმა მოცულობამ - 70 741 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ღირებულებამ 34 347 ლარი შეადგინა. დღეს საფონდო ბირჟაზე რიგით 43-ე ვაჭრობა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძე დღეს ერევანში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელების საბჭოს 39-ე სხდომაში. საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელთა საბჭომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დსთ-ს საბაჟოთა წინაშე მდგარ საკითხებზე; დსთ-ს საბაჟო სამსახურების პირველი პირების მიერ შეთანხმების ოქმზე ხელმოწერის ცერემონია 3 ივნისს გაიმართება, რის შემდეგაც საბაჟო სამსახურების თავმჯდომარეები სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს შეხვდებიან. **მედია-ნიუსი**

# კონკურსი მეწარმეებისთვის

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადამამუშავებელი მრეწველობის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას იწყებს. უახლოეს ათ დღეში სამინისტრო საუკეთესო ბიზნესპროექტების გამოსავლენად კონკურსს გამოაცხადებს. გამარჯვებული მეწარმეების ვინაობა კი, სავარაუდოდ, ივლისის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი.**

მარიამ ჭაჭვაძე

საქართველოში გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებას სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორი ორგანიზაციების იმედად აპირებს, რადგან ამ დარგის განვითარებისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 300 ათასი ლარი სამი-ოთხი საწარმოს ამოქმედებასაც არ ეყოფა.

ეს თანხა, ძირითადად, კონკურსში გამარჯვებული ყველაზე საინტერესო, საცდელი პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

მინისტრის დავით შერვაშიძის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკმა ამ დღეებში მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოში გადამამუშავებელი მრეწველობის მხარდასაჭერად ფინანსები გამოეყო; წინასწარი მონაცემებით, ეს თანხა 10 მილიონ ამერიკულ დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. მსოფლიო ბანკის გარდა, ხსენებული დარგის ხელშეწყობისთვის წელს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი IFAD გარკვეული თანხების გამოყოფას აპირებს. შერვაშიძე ირწმუნება, რომ, დონორების გარდა, გადამამუშავებელ მრეწველობას კერძო ინვესტორებიც დააფინანსებენ. კონკურსამდე რამდენიმე დღით ადრე ცნობილი ხდება ის პრიორიტეტები, რომლებსაც სპეციალური ჟიური უპირატესობას მიანიჭებს. ესენია: მევენახეობა-მეღვინეობა, ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო წარმოება, ჩაის წარმოება-გადამუშავება, ციტრუსებისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოება-გადამუშავება, ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქციის წარმოება, თხილის წარმოება-გადამუშავება, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება და დაფასოება, საქართველოს შიდა წყლებში მოპოვებული თევზის წარმოება და გადამუშავება, მინერალური და მტკნარი წყლების ჩამოსხმა. კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, სადაც გამოყენებული იქნება ადგილობრივი ნედლეული და მუშახელი.

ადგილობრივი ფერმერებისა და მეწარმეების გაზრდილი შემოსავლები, ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდა და ახალი სამუშაო ადგილები - ეს არის ის მოსალოდნელი შედეგები, რომელსაც მინისტრი შერვაშიძე ამ პროგრამიდან უახლოეს ორ წელიწადში ელოდება.

გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად ინვესტორის მოძიებას და მათ პრეზენტაციას საზოგადოების წინაშე სოფლის მეურნეობის სამინისტრო იკისრებს.

# ქართული მენტალიტეტი ვერ შეეგუა გამჭვირვალობას

### შეუძლებელია განვითარდეს ბაზარი, როცა "საქართველოს რკინიგზა", "ფოთის პორტი" და მსგავსი მსხვილი საწარმოები შპს-ებია

ნინო ნარჩემაშვილი

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (ეგთო) საქართველოში არსებული კომპანიების კორპორაციული მართვის დონის შესწავლის საფუძველზე ქვეყნის კორპორაციული მართვის რეფორმისთვის შვიდი ძირითადი პრიორიტეტი განსაზღვრა.**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), რომელიც "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს" ახორციელებს და რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც სწორედ ქართულ კომპანიებში კორპორაციული მართვის გაუმჯობესება წარმოადგენს, ეგთო-ს კორპორაციული მართვის ევრაზიის მრგვალი მაგიდის შედეგები გამოაქვეყნა.

ინფორმაციისთვის - ევრაზიის მრგვალი მაგიდის ფორუმები ევრაზიის ქვეყნებისთვის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა, მონღოლეთი, ყაზახეთი, უკრაინა) ეგთო-სა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ინიციატივით 2000 წლიდან სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ეწყობა. მსგავსი შეხვედრა 2001 წელს საქართველოშიც გაიმართა. წლევანდელ, მეხუთე ფორუმს კი უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა, რომელზეც, მონაწილე ქვეყნების კომპანიებთან ერთად, IFC-ის "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის", საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საფონდო ბირჟის დელეგაციები იყვნენ წარმოდგენილნი.

რაც შეეხება პრიორიტეტებს, რომლებიც ამჯერად განისაზღვრა საქართველოში კორპორაციული მართვისა და მისი შესაბამისი კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის. ისინი ასე გამოიყურება - კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ღიაობა და გამჭვირვალობა, აქციონერთა უფლებების დაცვის, აგრეთვე მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა დაცვის ღონისძიებების შემუშავება, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის გაუმჯობესება, ბანკების როლის გაძლიერება ფინანსური დისციპლინების შემოღებისას.

IFC-ში აცხადებენ, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან დღეისათვის კორპორაციულ მართვაში ყველაზე კარგი შედეგები ყაზახეთს აქვს, სადაც საკმაოდ განვითარებულია კანონმდებლობა და პრაქტიკაში ინერგება საერთაშორისო გამოცდილება. საქართველოში კი ამ მხრივ ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან ჯერ კიდევ მრავლადაა სააქციო საზოგადოებები, რომელთაც ასეთი კომპანიების მხოლოდ ფორმა აქვთ. ამავე დროს, დახვეწას საჭიროებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული მენტალიტეტი ვერა და ვერ შეეჩვია გამჭვირვალობისა თუ ღიაობის მექანიზმსა და პრინციპს. არადა, ეს მნიშვნელოვანი პუნქტია ინვესტორებისთვის. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ჯიბუტის თქმით, ამ პირობის შესრულებას მსხვილი საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა შეუწყობს ხელს. ამიტომ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ინიციატივით გამოდის - ის საწარმოები, სადაც სახელმწიფოს წილი 50 ან მეტი პროცენტია, უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად, ხოლო პრივატიზაციის პროცესი, როგორც ყველა ცივილურ ქვეყანაში, საფონდო ბირჟის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ამით ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება წინა წლებში უთავბოლოდ ჩატარებული ე.წ. მასიური პრივატიზაცია. მიხეილ ჯიბუტის აზრით, შეუძლებელია ქვეყანაში განვითარდეს ბაზარი, როდესაც ისეთი მსხვილი და რენტაბელური კომპანიები, როგორიცაა "საქართველოს რკინიგზა" და "ფოთის პორტი", არა სააქციო საზოგადოებებს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს თუ შპს-ს წარმოადგენენ.




# ვენესუელა რეფერენდუმის მოლოდინში

ვენესუელას პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა განაცხადა, რომ მზად არის, ჩაატაროს საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მოქალაქეები მისი მმართველობის პერიოდს შეაფასებენ.

ჩავესის გამოსვლას წინ უსწრებდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული, ხელმოწერების მოგროვების სამდღიანი კამპანია, რომლის საშუალებითაც ვენესუელელები რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ. ოპოზიციის წარმომადგენლები ჰუგო ჩავესს ქვეყნის ეკონომიკის დაქცევაში და ავტორიტარულ მმართველობაში ადანაშაულებენ.



*პრეზიდენტმა ჩავესმა რეფერენდუმის შედეგებს დაასწრო და განაცხადა, რომ თუკი მოსახლეობის უმრავლესობა ოპოზიციის მოთხოვნას მხარს დაუჭერს, ის თანამდებობას დატოვებს.*

რეფერენდუმის ჩასატარებლად 2,5 მილიონი ხელმოწერაა აუცილებელი. ხელმომწერი პუნქტების დახურვისთანავე, ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვება. თუმცა, ამის დადასტურებას კიდევ რამდენიმე დღე სჭირდება, ვიდრე ყველა ხელმოწერა არ გადაითვლება და არ გადამოწმდება.

ხელმოწერების შეგროვების პირველი ეტაპი გასული წლის დეკემბერში დასრულდა, როდესაც ხელისუფლებამ ნახევარი მილიონი ხელმოწერა სიყალბის გამო ბათილად ცნო. ამჯერად კი ოპოზიციამ ამომრჩეველს მეორედ მისცა მოქალაქეობრივი ნების გამოხატვის საშუალება.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ჩავესმა რეფერენდუმის შედეგებს დაასწრო და განაცხადა, რომ თუკი მოსახლეობის უმრავლესობა ოპოზიციის მოთხოვნას მხარს დაუჭერს, ის თანამდებობას დატოვებს.

ჩავესმა ეს განცხადება საერთაშორისო დამკვირვებლებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. მათ შორის აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერიც იყო. დამკვირვებელთა მისიის მიზანს ვენესუელაში არსებული ვითარების შეფასება წარმოადგენს.

რეფერენდუმის მოთხოვნა ოპოზიციისათვის უკანასკნელი შანსია. ექვსი თვის წინ მათ 3 მილიონი ხელმოწერა შეაგროვეს, ბევრად მეტი, ვიდრე ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად იყო საჭირო. თუმცა, მაშინ მთავრობის მიერ დამტკიცებულმა საარჩევნო საბჭომ 1,2 მილიონი ხელმოწერა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბათილად ცნო. დღესაც, თუკი ასეთი რაოდენობის ხელმოწერები იქნება შეგროვებული, საქმე მაინც პრეზიდენტის მიერ კონტროლირებად უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნება. რაც შეეხება რეფერენდუმს, ის აგვისტოზე ადრე ვერ გაიმართება. თუკი რეფერენდუმი 19 აგვისტოს გაიმართება, რაც ჰუგო ჩავესის საპრეზიდენტო ვადის ნახევარია, კონსტიტუციის თანახმად, ჩატარდება არა განმეორებითი არჩევნები, არამედ მის პოსტს ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტი დაიკავებს. ეს კი ნიშნავს იმავე წესების დაცვას, რაც მანამდე იყო.

ამჟამად, სხვადასხვა შეფასებებით პრეზიდენტს მხარს ამომრჩეველთა მესამედი უჭერს. ჰუგო ჩავესი აკონტროლებს შეიარაღებულ ძალებს და უმნიშვნელოვანეს ნავთობის ინდუსტრიას, რასაც მისი ხელისუფლებისათვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს. ამიტომ, ბევრი ექსპერტი ჩავესის გადაყენების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ პრეზიდენტი ადვილად მიაღწევს 2007 წლის იანვრამდე, როდესაც ახალი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. რაც შეეხება ოპოზიციას, იგი საკმაოდ ჭრელი პოლიტიკური პარტიებისა და სოციალური ჯგუფებისგან შედგება. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, პრეზიდენტ ჩავესის თავიდან მოშორების სურვილია. ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ, საბოლოო ჯამში, მაინც მთავრობის გავლენის ქვეშ მოექცევიან, რაც მათი გადარჩენის საშუალებაც იქნება, ხოლო ბატონი ჩავესისათვის - დემოკრატიის ნიღაბი. ჯერჯერობით, ჰუგო ჩავესი უმკლავდება მტრებს, რომელთაც არა მარტო ვენესუელაში, არამედ კოლუმბიასა და აშშ-შიც ხედავს. ბევრი მოელოდა, რომ აშშ სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის საქმეებში უფრო აქტიურად ჩაერეოდა, რათა მასში დემოკრატიის რაღაც ნიშნები მაინც გადაერჩინა. სინამდვილეში, ბუშის ადმინისტრაციას ნამდვილად არ სურს ურთიერთობების ისე გამწვავება, რამაც შესაძლოა აშშ-ში, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ვენესუელას ნავთობის იმპორტი შეაფერხოს.

# "განდიდების მანიით" ყველაზე ძლიერად შეპყრობილი

უკანასკნელი გამოკითხვებით, "დიადმა" თურქმენბაშმა განდიდების მანიით ჩრდილოეთ კორეის ლიდერსაც გაუსწრო. ბრიტანული გაზეთი "თაიმსი" იუწყება, რომ თურქმენთა მამად წოდებულმა საპარმურატ ნიაზოვმა, ბოლო დროს, პოლიტიკაში ისეთი "მიღწევები" გამოავლინა, რომ ამგვარ კონკურსში გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა.

თურქმენბაშს უყვარს სხვადასხვა რაღაცების აკრძალვა - მან აკრძალა წვერის ტარება და ბალეტი, ოქროს კბილები და გრძელი თმა - ამასთან, მისი ნების არშესრულება, ქვეყნის კანონმდებლობით, სამშობლოს ღალატად ითვლება.

თურქმენეთის პრეზიდენტის ბოლო ახირებამ ყველა შოკში ჩააგდო. მისი ბრძანებით, 1 ივნისიდან ქვეყნის ტერიტორიაზე არათურქმენული დიპლომები ძალას კარგავენ. მან განკარგულება გასცა, სამსახურებიდან დაეთხოვათ ყველა სპეციალისტი, რომელსაც განათლება თურქმენეთში არ აქვს მიღებული, ასეთი კი პროფესიონალთა უმრავლესობაა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში განათლებას მოწყურებული თურქმენები მოსკოვსა და ლენინგრადში აგრძელებდნენ სწავლას. ათასობით ექიმმა, მასწავლებელმა და სხვა სფეროების მუშაკებმა უცერემონიო შეტყობინება მიიღეს - "თქვენი დიპლომი აღარ მოქმედებს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ 1 ივნისიდან დათხოვილი ხართ სამსახურიდან".

გასაკვირი არ არის, რომ ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებები მანამდეც შორს იყვნენ სრულყოფილებისაგან, სანამ თურქმენბაში სწავლის ხანგრძლივობას ორ წლამდე შეამცირებდა და ადგილების რაოდენობას გაანახევრებდა. სკოლები კი, საერთოდ, ნიაზოვის წესებით ცხოვრობენ. კვირაში ერთი დღე დათმობილი აქვს თურქმენბაშის შემოქმედებას. ეს არის "რუჰნამა", ე.წ. სულიერი კონსტიტუცია - ფსევდოფოლკლორული უაზრობით გავსებული 400 გვერდი, რომელიც მან "ალაჰის კარნახით" დაწერა. მასთან შედარებით, მაო ძე დუნის ციტატების კრებული "წითელი წიგნაკი" აზროვნების მწვერვალად მოგეჩვენებათ, - წერს ბრიტანული გამოცემა.

ნიაზოვს ძალიან უყვარს, როდესაც მის გამოჩენას აღტაცებით ხვდებიან. ამიტომ, მისი სახე ყველგან შეგიძლიათ ნახოთ - არა მარტო ბანკნოტებსა და შენობებზე, არამედ ალკოჰოლური სასმელის, ჩაის ეტიკეტებზე, ტელეარხების ლოგოტიპებზე. თურქმენთა მამის ოქროს ქანდაკება, მაშინ, როცა მოსახლეობის მესამედზე მეტი მშიერია, რბილად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავად გამოიყურება.

თურქმენბაშის სახელს არქმევენ არა მხოლოდ აეროპორტებს, გამზირებსა და პროვინციულ ქალაქებს, არამედ მისი და დედამისის სახელები წელიწადის თვეებსაც ეწოდათ.

მის ქმედებებში ლოგიკა მაინც გამოსჭვივის - ამ გზით ხომ ყველა ოპოზიციური აზრის საფუძველშივე ჩახშობა ხერხდება. მაგრამ მოკლე ხანში, ნიაზოვის ახირებების გამო, ქვეყანა პროფესიონალების გარეშე დარჩება.

რა დასკვნები შეიძლება აქედან გაკეთდეს? უცხოელებს ეს სასაცილოდ ეჩვენებათ და მხრებს იჩეჩავენ. მაგრამ სასაცილოდ საქმე ნამდვილად არ არის. კორუმპირებულ, პოლიციურ ქვეყანაში ავღანეთიდან ნარკოტიკები და ტერორისტები აღწევენ, რაც მთელ რეგიონს საფრთხეს უქადის.

თურქმენბაში კი განაგრძობს... გასულ წელს მან ბრძანა, მსოფლიოში უდიდესი ფეხსაცმელი დაემზადებინათ, რომელიც "თურქმენბაშის ოქროს ხანისაკენ" გოლიათური ნაბიჯებით მიმავალი თურქმენეთის სიმბოლო უნდა ყოფილიყო.

არსებობს ერთი ხალხური გამონათქვამი - "სიბრძნეს საზღვარი აქვს, ხოლო სისულელე უსაზღვროა". გაზეთის აზრით, დღევანდელი თურქმენეთის მაგალითი სწორედ ამ ანდაზის ნათელი დადასტურებაა.



# მოქთად ალ-სადრი - ერაყის გმირი და ირანის იმედი

ლაშა გიორგიძე

ერაყში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, საომარ შეტაკებებს კოალიციის ძალებსა და ადგილობრივ მებრძოლებს შორის, ხშირად თან სდევს რელიგიური ფაქტორის, რელიგიური დაპირისპირების არსებობა, რაც ერაყის კონფლიქტს კიდევ უფრო სახიფათოს ხდის. რელიგიის, ჩვენს შემთხვევაში - ისლამის ფაქტორი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც საომარი ოპერაციები მუსლიმთა წმინდა ქალაქებში ხორციელდება. ნებისმიერი ასეთი შეტევა კი თითოეული მუსლიმის თვალში პირადად მის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმება, ხოლო ამერიკელები და სხვა ოკუპანტები - კიდევ უფრო საძულველ დამპყრობლებად. უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე საკმაოდ მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა შიიტ მუსლიმთა წმინდა ქალაქებში - ქერბელასა და ნეჯეფში, რამდენიმე დღის წინ კი მათ რიცხვს კუფაც შეემატა. კოალიციის ჯარების და ძალების მთავარ მოწინააღმდეგედ კი რადიკალი შიიტი მოქთად ალ-სადრი სახელდება, რომელიც მის დაქვემდებარებაში მყოფ "მეჰდის არმიასთან" ერთად ოკუპაციის დაუძინებელი მტერია.

ისეთი საზოგადოებისათვის, როგორიც მუსლიმური, შიიტური თემია, და სადაც გამოცდილებასა და წლოვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რატომღაც აბსოლუტურად მისაღები აღმოჩნდა ალ-სადრის კანდიდატურა, როგორც შიიტთა ერთ-ერთი სულიერი ლიდერისა. მისი მოღვაწეობა, ამერიკელთა მიერ 2003 წელს ქვეყნის ოკუპაციამდე, ერაყელთათვის უცნობი იყო. ცნობილი გახლდათ მისი წარმომავლობა - იგი ერთ-ერთი შიიტი სასულიერო პირის, მუჰამედ სადიქ სადრის შვილია. მამამისი ჰუსეინის რეჟიმის მსხვერპლი აღმოჩნდა, იგი სადამის ბრძანებით 1999 წელს მოკლეს. ერაყში ბაასის რეჟიმის დამხობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ალ-სადრის ძლიერება საქველმოქმედო ორგანიზაციებს ემყარებოდა, რაც თავის დროზე მისმა მამამ დააარსა. ოკუპაციის პირველ რამდენიმე კვირაში მოქთად სადრის მიმდევრები გაჭირვებაში მყოფ ერაყელებს საკვებით ამარაგებდნენ. ასეთმა ქმედებებმა მას საკმაოდ დადებითი რეპუტაცია შეუქმნა, უფრო მეტიც, ბაღდადის შიიტურ უბანს, რომელსაც ადრე "სადამის ქალაქი" ეწოდებოდა, დღეს "სადრის ქალაქად" მოიხსენიებენ.

მოქთად სადრის სახელს უკავშირდება ყოველკვირეული გაზეთის "ალ-ჰავზას" დაარსება, რომელიც, ანტი-ამერიკული პროპაგანდის გამო, აპრილიდან აიკრძალა. ბატონი სადრი მომხრეა იმისა, რომ სასულიერო პირები ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ერეოდნენ. თუკი აშშ-ს ერაყში შესვლიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებს თვალს გადავავლებთ, თითქმის არ არსებობს ფაქტი, რომ სუნიტ ან შიიტ სასულიერო პირს რაიმე გადაწყვეტილება მიეღოს, რაც ქვეყნის პოლიტიკაში რეალურად აისახებოდა. ეს, რა თქმა უნდა, აშშ-ს პირდაპირ ინტერესებში შედის, რადგან მას რეგიონში ახალი ისლამური ფუნდამენტალიზმის კერის გაჩენა არ სურს, იქნება ეს შიიტური თუ სუნიტური. ვაშინგტონის მთავარი მიზანი რადიკალიზმის აღმოფხვრაა, რაც ხშირ შემთხვევაში, სწორედ ფუნდამენტალიზმთან არის გაიგივებული.

მოქთად ალ-სადრმა პირდაპირ მოუწოდა ქვეყნის სასულიერო პირებს და, უპირველეს ყოვლისა, დიდ აიათოლას ალი სისტანის, რათა ერაყის მომავალი პოლიტიკის განსაზღვრაში ჩაერიოს. მისი მიმართვები და მისი ქადაგებები ბოლო დროს ყველა შიიტი მუსლიმისათვის გასაგები და მისაღები გახდა. ალ-სადრის ანტი-ამერიკულ კამპანიაში, უფრო სწორად, ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მისი გაზეთი "ალ-ჰავზა". ერთ-ერთ თავის მიმართვაში, რომელიც აღნიშნულ გაზეთში დაიბეჭდა, ალ-სადრმა განაცხადა: **"მე ამერიკელებთან თანამშრომლობას მაშინ დავიწყებ, როდესაც მათი ქვეყანა იტყვის, რომ იგი აქ დასაპყრობად კი არა, გასათავისუფლებლად მოვიდა... ჩვენ ვართ ოკუპაციის და არა ამერიკის მტრები... მე მსურს ისეთი მთავრობა, რომელიც თავისუფლებასა და ხალხის მმართველობაზე იქნება დაფუძნებული. ცხადია, ასეთი მთავრობა მხოლოდ ისლამური შეიძლება იყოს."**

რაც შეეხება ერაყში არსებულ "მეჰდის არმიას," როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ამერიკელთა წინააღმდეგ მიმართული მთავარი იარაღია. მისი ჩამოყალიბება 2003 წლის ზაფხულში დაიწყო და ახალი წევრების, ძირითადად, მოხალისეების მიღება დღემდე გრძელდება. მათი რაოდენობა კი, შეიძლება ითქვას, არ კლებულობს, რადგან ერაყის ოკუპაციით უკმაყოფილოთა რიცხვი არც ისე მცირეა. კიდევ უფრო მეტია იმ შიიტების რაოდენობა, რომლებიც წმინდა ტაძრების დასაცავად და გადასარჩენად მზად არიან. "მეჰდის არმიის" აბსოლუტურ დაქვემდებარებას მოქთად ალ-სადრისადმი ნებისმიერი შიიტი აღიარებს. თვით არმიის წევრებშიც ერთიანი აზრია ამის შესახებ: **"ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ რა არის არმიის მთავარი მიზანი, ან როდის მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ალ-სადრის ბრძანებებს დავემორჩილებით,"** - აცხადებენ მეჰდის არმიის წევრები.

ახლო წარსულში ერაყის მიერ ან მის წინააღმდეგ წარმოებულმა ბრძოლებმა ქვეყანაში დიდი რაოდენობის იარაღის დაგროვება გამოიწვია, რასაც თავის დროზე ხელს თვით აშშ-ს ხელისუფლება უწყობდა. სადამის მილიტარისტული რეჟიმის დასრულების შემდეგ, იარაღის ბევრი საწყობი მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. მართალია, თვით მოქთად სადრი იარაღის არსენალის არსებობას უარყოფს, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია, როდესაც ბაღდადსა თუ ნეჯეფში გამართული ბრძოლების დროს უბრალო მოსახლეობასაც კი შინიდან გამოჰქონდა იარაღი. რაც შეეხება ალ-სადრს, მისთვის სხვა ფასეულობები უფრო მნიშვნელოვანია: **"ჩვენი არმია არ ფლობს საომარ იარაღს, იგი ერთგულებითაა შეიარაღებული... ჩვენი მიზანია, საკუთარ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შექმნა... ჩვენი მიზანია ნგრევისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება მანამ, სანამ პოლიტიკის, დიპლომატიისა და მოლაპარაკებების გზა ხსნილია."**

ქერბელაში, ნეჯეფსა და კუფაში გამართული შეტაკებების შემდეგ ბატონმა სადრმა, ალბათ, მართლაც დაინახა დიპლომატიისა და მოლაპარაკებების გზა. რამდენიმე დღის წინ მან შიიტთა წმინდა ქალაქ ნეჯეფიდან თავისი არმიის ნაწილების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ერაყის ეროვნული უშიშროების საკითხებში მრჩეველმა მოვაფაკ ალ-რუბაიმ განაცხადა, შიიტი ლიდერის ასეთი გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ქალაქების ნგრევის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მოქთად სადრს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ ასეთი კონსენსუსის სახით ევლინება. მისი სიტყვები ბრძანებასავით ისმის: **"მე ვეთანხმები შემდეგ გეგმას - დამთავრდეს შეიარაღებული გამოსვლები და მთავრობის, ოფისებისა და სხვა ინტიტუტების ოკუპაცია. მეჰდის არმიის ის ნაწილები, რომლებიც ნაჯაფის მცხოვრებლები არ არიან, გავლენ ქალაქიდან."**

მოქთად სადრის მიერ გაკეთებული განცხადებები მას კიდევ უფრო ამაღლებს მოძმეთა თვალში, რადგან ამერიკელთა ოკუპაციის შეურიგებელი მოწინააღმდეგე დათმობებზე შიიტური წმინდა ქალაქების გადარჩენის მიზნით მიდის. ამ ამაგს კი შიიტები "მეჰდის არმიის" მეთაურს არ დაუკარგავენ. საინტერესოა, სად წავლენ "მეჰდის არმიის" ეს ნაწილები. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი იარაღს დაყრიან და მშვიდობიან ცხოვრებას განაგრძობენ. იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ არმიის წევრები, ძირითადად, ულარიბესი ოჯახებიდან არიან, რომელთაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ არაფერი მოუტანა, მოქთად სადრი კი მათთვის ერთადერთი ნათელი წერტილია, ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ "მეჰდის არმიის" დასუსტებისათვის, რათა რადიკალ შიიტთა ჯგუფი გააუვნებელყონ, ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, თუკი აშშ-ს მთავრობა მათ ერაყის არმიაში სამსახურს შესთავაზებს. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ერაყის არმიაც რეალურად ვაშინგტონის დაქვემდებარებაშია, საკითხავია, ისურვებენ თუ არა ალ-სადრის ხელქვეითები უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა განკარგულებების შესრულებას.

შიიტურ წმინდა ქალაქებში გამართული ბრძოლების დროს ირანის, ბაჰრეინის, საუდის არაბეთისა და ლიბანის შიიტები პროტესტს გამოხატავდნენ. მათთვის ამ ქალაქებში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები იგივეა, რაც შეიძლება კათოლიკეთათვის ვატიკანზე შეტევა იყოს. თუმცა, არც ისე იშვიათია უკმაყოფილება მოქთად სადრის მიმართაც, რომელსაც ამერიკელებთან ერთად თანაბრად ადანაშაულებენ ქერბელაში, ნაჯაფსა და კუფაში მომხდარ შეტაკებებში.

ხშირად საუბრობენ მოქთად ალ-სადრის კავშირზე ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. ფაქტია, რომ არც ისე იშვიათია მისი შეხვედრები ირანის შიიტ ლიდერთან აიათოლა ალი ხამენეისთან. შიიტური თემის გაძლიერება ერაყში არავის ისე ხელს არ აძლევს, როგორც თავად ირანს, რადგან ამით გარანტირებულია გავლენა მეზობელ სახელმწიფოზე, რომელიც საკუთარი ნავთობის მარაგით მსოფლიოში მეორე ადგილზე დგას. ამ გავლენის მოსაპოვებლად კი ირანი არანაირ ძალას არ დაიშურებს. შესაბამისად, ანტი-ამერიკულმა გამოსვლებმაც თეირანში, კოალიციის წევრი ქვეყნების საელჩოების წინ, საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ირანელები უცხო ქვეყნის ჯარების ერაყის ტერიტორიიდან გაყვანას მოითხოვენ. ასე რომ, ერაყელი მოქთად ალ-სადრის შიიტური მოძრაობა უფრო მეტად ირანის ინტერესებში შედის, ვიდრე ერაყის.

## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**2 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ილია ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), თამარაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს

**2 ივნისს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
არალეთის, ახალდაბის, ბაგინეთის, ბეჟანიშვილის, ბენდელიანის, ბჟოლითის, ჩაქვის, ჩარგლის, ცისარტყელას, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), დაისის, დიდი ჯიხაიშის, დიდუბის დასახლებას, დვირის, ედისის, ერისთავის, გოგაშენის, გრუზინსკის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), გვაზაურის, იფნის, ილურიძის, იმერეთის, ჯავის, ჟველაურის, კნოლევის, კოკინაკის, კვერნაულის, ლიახვის, ლომთათიძის, მოლითის, ნათაძის, ქართლის, ქართველიშვილის, ქსოვრელის, ქუთათელაძის, რიონჰესის, ღოღობერიძის, ღრმაღელის, სააკაძის, თმოგვის, ტოროშელიძის, ტრიკოტაჟის, ვაზიანის, წიწამურის, ჭიჭინაძის, ჭოპორტის, ჭყონდიდელის, ხრესილის, ხვინგიას, ზედაზენის, ზესტაფონის, ზვარეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**3 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
თამარაშვილის შესახვევის მაცხოვრებლებს

# ქართული სასწავლებლის გასაჭირი

*თბილისის საავტორო საგანმანათებლო კომპლექსი "ქართული სასწავლებელი" აერთიანებს ზოგადსაგანმანათლებლო, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებს. სკოლაში 650 ბავშვი სწავლობს; მასწავლებელთა კონტინგენტში ხუთი დოქტორი და ოცდახუთი მეცნიერებათა კანდიდატია. "ქართული სასწავლებელი" სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულებაა და მასწავლებელთა ხელფასი 30-დან 100 ლარამდე მერყეობს.*

ნინო ბერელიძე

ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით საავტორო საგანმანათლებლო კომპლექსში გაიმართა მუსიკალური სკოლის შემაჯამებელი ღონისძიება. ნაწარმოებები შეასრულეს მოსწავლეებმა პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით.

**"კომპლექსის შექმნის იდეა ჩემს შვილებთან ურთიერთობისას დამებადა და პროექტიც შევადგინე, რომლის განხორციელებაში განათლების სამინისტრო დამეხმარა. სრულყოფისათვის შენობაა საჭირო. ამ შენობაში იჯარით ვართ; თანხას - 200-200 დოლარს მშობლები იხდიან. ძალიან რთულია, იარსებო ისეთი მცირე ბიუჯეტით, ჩვენ რომ გვაქვს,"** - გვითხრა "ქართული სასწავლებლის" გენერალურმა დირექტორმა ეთერ სვანიძემ.

კონცერტის პატარა მონაწილეებს პირველი კლასიდან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მუსიკასთან. პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ პიროვნების ჰარმონიულობისათვის, რათა ბავშვმა გამოიმუშაოს ხელოვნების დარგებს შორის ურთიერთკავშირის აღქმის უნარი. სასწავლებელს თავისი ფილიალი აქვს ახალციხეში. მისი პარტნიორია გერმანიის ერთ-ერთი სკოლა. მოსწრების მაჩვენებელი 80 პროცენტია. სასწავლებელს სამომავლოდ დიდი გეგმები და პროექტები აქვს განსახორციელებელი, რისთვისაც საჭიროა დაფინანსება, მაგრამ ვის უნდა მიმართონ, არ იციან. სკოლის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ახალ ხელისუფლებას ჯერ მათთვის არ მოუცლია.

# 365 დღე ბავშვების კეთილდღეობისთვის

*"თქვენი შვილების მიმართ პასუხისმგებლობას თქვენთან ერთად ჩვენც ვგრძნობთ. მინდა, აღგითქვათ, რომ ბავშვების კეთილდღეობისთვის მხოლოდ 1 ივნისს კი არა, წელიწადის 365 დღეს ვიზრუნებთ," - ასეთი სიტყვებით მიმართა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა სამინისტროში შეკრებილი ბავშვების მშობლებს.*

თამარ დვალი

ორი დღის წინათ 30 ოჯახს მოულოდნელი სიხარული ეწვია - თვეების და წლების განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროში სავარძელ-ეტლების რიგში დგომის შემდეგ მათ ახალი ეტლები გადასცეს.

5 წლის ქუთაისელი ანა ლიკლიკაძე, უკვე სამი წელიწადია, რაც ეტლის მოლოდინშია. როდესაც ლიკლიკაძეების ოჯახმა დახმარების ყოველგვარი იმედი დაკარგა, ანამ ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყველაზე საჭირო საჩუქარი მიიღო.

**"სამი წლის წინათ ჯანდაცვის სამინისტროში სულ სხვა რამისთვის ვიყავი და შემთხვევით გავიგე, რომ არსებობდა სია, რომლის მიხედვითაც, ეტლებს არიგებდნენ. დავწერე განცხადება და იმის შემდეგ არავინ შემხმიანებია. ახლა, როდესაც ყოველგვარი იმედი დაკარგული მქონდა, დამირეკეს და მითხრეს, რომ დღეს მოვსულიყავი. ნეტა ისეთი ხელით წამეღოს, შვილო, ეს ეტლი, რომ ყველა ბავშვს თავისით გაევლოს და ეტლი აღარ დასჭირვებოდეს,"** - გვითხრა ანას ბებიამ, რომელიც სამინისტროში შვილიშვილთან ერთად იყო მისული. მართალია, ანა კარგად ვერ ხვდებოდა, რისთვის გამოატარეს ამხელა გზა და რას ჰპირდებოდა მინისტრი, მაგრამ დღეიდან გასეირნებას რომ შეძლებდა, ამას მიხვდა.

გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში საქართველოს, თითქმის, ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები. ბავშვებს შორის ყველაზე პატარა ერთი წლის ნიკა იყო, ყველაზე დიდი კი - 12 წლის თამაზი.

28 მარტს თამაზს ფეხები მატარებელმა დაუზიანა. მშობლები იმედს არ კარგავენ, რომ ცოტა ხანში მათ შვილს ეტლი აღარ დასჭირდება და კვლავ გაივლის.

გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში შეკრებილ მშობლებს ერთი სატკივარი და ერთი სიხარული აერთიანებდათ. მინისტრმა ისინი ტკბილი სიტყვებით, დახმარების იმედითა და მათთვის ესოდენ აუცილებელი საჩუქრით გაისტუმრა.

# საქველმოქმედო აქცია ბაგრატოვანთა სამფლობელოში

თამარ დვალი

სოფელი მუხრანი, რომელიც კასპის რაიონში მდებარეობს, ქართველთა დიდგვაროვნების ბაგრატიონ-მუხრანელების მშობლიური მხარეა. გუშინ ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ალექსანდრე ბაგრატიონი მეუღლესთან ერთად მშობლიურ მხარეს პირველად სტუმრობდა. ელენე ბაგრატიონი ფონდ "ბანოვანის" წევრია, რომლის ორგანიზებითაც, გუშინ მუხრანში მცხოვრებ ბავშვებს საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ. სოფლის ამბულატორიაში 200-მდე მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. **"დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც დღეს ჩვენი შვილები გაახსენდა. წელიწადი ისე გავა, რომ ბავშვი თუ მძიმე ავადმყოფი არ არის, ექიმთან ვერ მიგვყავს ქალაქში. სოფელში მხოლოდ პირველადი დახმარების გაწევა თუ შეუძლიათ ექიმებს - აპარატურა ამათ არ აქვთ და მედიკამენტები. ჩემი ოჯახისთვის ეს ჩასაცმელებიც დიდი დახმარებაა,"** - გვითხრა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელიც სოფლის ამბულატორიაში სამ შვილთან ერთად იყო მოსული. მან გუშინ ფირმა Counterpart-ისაგან და "ამქორისაგან" ბავშვის ჩასაცმელები და ჰიგიენური საჩუქრები, ხოლო "ავერსისაგან" საბავშვო მედიკამენტების შეკვრა მიიღო. თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის ექიმებმა პატარებს სრულყოფილი ინსტრუმენტულ-ლაბორატორული კვლევები ჩაუტარეს.

ბაგრატოვანთა ოჯახის წარმომადგენლები სოფლის მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდნენ: **"დიდი ხანია, საქართველოში არ ვყოფილვართ და ასეთ მდგომარეობას ნამდვილად არ ველოდით. თბილისში სამედიცინო მომსახურეობა ნელ-ნელა ადის ევროპულ დონეზე, მაგრამ რაიონებში მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება. ვინაიდან ჩვენ საფრაგეთში ვცხოვრობთ, დახმარების მისაღებად გვინდა, იქაური ფირმები მოვიზიდოთ. ჩვენი წინაპრები ამ კუთხიდან იყვნენ და გული გვტკივა, როდესაც აქ გაჭირვებულ ხალხს ვხედავთ. "ბანოვანის" დახმარებით, ალბათ, კიდევ რამდენიმე ღონისძიებას გავმართავთ,"** - აღნიშნეს ალექსანდრე და ელენე ბაგრატიონებმა.

სოფელ მუხრანში ორი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. გუშინ ორივე ბაღის აღსაზრდელებს სპეციალური საჩუქრები და სათამაშოები დაურიგდათ. **"შვიდი წელიწადია, რაც ბაღის შენობას სარემონტო სამუშაოები აღარ ჩატარებია. ოთახებში ელემენტარული ინვენტარიც არ გვაქვს, სათამაშოებზე რომ არაფერი ვთქვათ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მუხრანის №2-ე ბაღის გამგემ ამალია ომანაშვილმა. საჩუქრების სანაცვლოდ, ბავშვებმა სტუმრებს პატარა ზეიმი მოუწყვეს.

გუშინდელი საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორი გახლდათ ფონდი "ბანოვანი ქალი". როგორც ამ ფონდის თავმჯდომარემ რუსუდან დვალმა გვითხრა, ისინი მსგავს საქველმოქმედო აქციებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აწყობენ. მათი დახმარებით, გუშინ სოფელ მუხრანში 200-ზე მეტი ბავშვი დასაჩუქრდა.

# "თორმეტამდესთან" ერთად



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ზოოპარკში დღესასწაული შედგა თუ არა, ამას ბავშვები თავად გადაწყვეტენ და თუ მათი აზრით, არა, ეს შემდეგ წელს გამჟღავნდება, როცა "თორმეტამდეს" მეორე დაბადების დღეზე უკეთესი ორგანიზაცია და უფრო მეტი პრიზი ექნება.*

პირველი გვერდიდან

რეალობას ასტროლოგებიც ადასტურებენ - ტყუპების ზოდიაქოში დაბადებული გაზეთი და ტელევიზია იღბლიანი და წარმატებული ყოფილა.

ჩვილობის კვალობაზე კი, "თორმეტამდე" ძალიან პოპულარულია.

მართალია, უფროსები ხშირად სათაურზე ხუმრობენ: რა, ოცდაოთხი ორზე გაყავით და თორმეტი მიიღეთო?!

არა! მათთვის ვინც ჯერ კიდევ არ იცის: "თორმეტამდე" გაზეთია თორმეტ წლამდე ასაკის მოზარდებისთვის, იმიტომ, რომ ისინი კითხულობენ, ათვალიერებენ, ხატავენ, წერენ, იგებენ და ელოდებიან შემდეგ ნომერს; სუპერ-პრიზს - ერთკვირიან მოგზაურობას პარიზის დისნეი ლენდში ხომ ელოდებიან და ელოდებიან.

გუშინ გაზეთმა "თორმეტამდე" ზოოპარკში დისნეი ლენდის ორივე საგზური გაათამაშა: ეკა სანიკიძე და ქეთი ბარბაქაძე პარიზში წავლენ. პრიზები დანარჩენი 16 ფინალისტისთვისაც გათამაშდა; ერთი ეგაა, გოგოების უმეტესობა წუწუნებდა, - ბიჭის სათამაშოებიაო; ჩემს ძმიშვილს ვაჩუქებო, - თქვა ელენემ, რომელმაც ფინალური გათამაშების შანსი ლიტერატურულ კონკურსში მოიგო, ფინალურმა შანსმა კი მაგარი, მაგრამ, რა გაეწყობა, მაინც, მოტოციკლი მოაგებინა. რუსთაველ ლაშას კი ველოსიპედი ერგო და იმაზე სულ არ ნერვიულობდა, - სახლამდე როგორ მივიტანო. ფინალური გათამაშების შემდეგ ნინომ და ტატომ ახალი ნომრები გაათამაშეს - დღეიდან ხომ მორიგი სუპერ-პრიზისთვის გაზეთის კითხვა დაიწყება. ზოოპარკში ის ბავშვებიც იყვნენ, რომლებიც დღემდე "თორმეტამდეს" არ კითხულობდნენ - თურმე, არ იცოდნენ მისი არსებობა და იმიტომ!

"ახლა ყოველთვის ვიყიდი; სექტემბერში, იქნებ, მეც მოვიგო სუპერ-პრიზი," - ამბობს ბიჭი და დედა ნაყინისკენ მიჰყავს.

ნაყინი კი, "თოლიას" უფასო ნაყინით გამასპინძლების პროცესი, მეტი რომ არაფერი, უსიამოვნო იყო - შესაძლოა, გამოუცდელი საზოგადოების, შესაძლოა გამოუცდელი ორგანიზატორების გამო ან ორივესი ერთად: ნაყინის ყუთებს მანქანიდან ხალხში ყრიდნენ და იდგა წიოკი - ვინ დაიჭერდა. გამარჯვებულები მონაპოვრით გარბოდნენ და უნაყინოდ დარჩენილების ბრაზიანი მზერა მიჰყვებოდათ. "არც ნაყინი შეგვხვდა და, საერთოდაც, მოგვატყუეს, გაზეთები გაასაღეს," - რას არ იტყვის უნაყინოდ დარჩენილი ბავშვის დედა!

უკარუსელოდ დარჩენილი ბავშვის დედა კი ზოოპარკის დირექციას ამუნათებდა: "პატარკაციშვილმა, - უფასო იქნებაო, - თქვენ კი ბილეთებს ყიდით."

ირგვლივ ძალიან ბევრი ბავშვი და ამდენივე უფროსი იყო. გალიაში ხმაურისგან გათანგულ ძუ ლომს ეძინა; დათვი რომ გაცეცდება - წარმოიდგინეთ, რა ამბავი იყო; სამი თავდავიწყებული მგელი გალიაში ბოლთას სცემდა; თხებს და მაიმუნებს არაფერი უჭირდათ - სიტუაციას იფერებდნენ.

დღეიდან "თორმეტამდეს" მკითხველები გააგრძელებენ გაზეთის კითხვას და მორიგი - სექტემბრის გათამაშებისთვის მოემზადებიან. ისევ გამუდმებით დარეკავს რედაქციის ტელეფონი და "თორმეტამდეს" რედაქციას მოუბეზრებელი ბავშვური ინტერესი "შეაწუხებს".

რედაქციის თხოვნით, გადმოგცემთ, რომ შეპირებული საჰაერო ბუშტები და ჯუჯალარებით ბაზრობა, მათგან ძალიან დამოუკიდებელი მიზეზით, ბოლო წუთებში ჩაიშალა, თორემ "თორმეტამდე" ბავშვებს არასდროს ატყუებს.

# ქართველი და ამერიკელი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა

*ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქართველი და ამერიკელი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენა თბილისის მთავრობის, თბილისის მერიის კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ინიციატივით გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიის მოსწავლეები, ბავშვთა ნევროლოგიის და რეაბილიტაციის კვლევითი სასწავლო ცენტრი; ლოგოპედიური სკოლა; №1 დამხმარე სკოლა; აფხაზეთიდან ლტოლვილი №5 საშუალო სკოლა; არასამთავრობო ორგანიზაცია "პირველი ნაბიჯი". ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი იყო 35 ნამუშევარი სან ხოსეს ბავშვთა Discoveri Museum-იდან.*

თამარ ჯაჯანიძე

გამოფენის გახსნაზე გალერეის წინ ღონისძიებები გაიმართა. უნარშეზღუდული და ჯანმრთელი ბავშვები ერთად ხატავდნენ აკვარელებით და საკუთარ ნამუშევრებს იქვე, მშობლების დახმარებით, ამაგრებდნენ გაბმულ თოკებზე. საპატიო სიგელებით და დიპლომებით დააჯილდოვეს შარშან ეგვიპტეში, თურქეთში და ფინეთში ბავშვთა გამოფენებზე გამარჯვებულები. ბავშვებმა თოჯინების სპექტაკლიც გამართეს. ეს იყო ნაწყვეტი ბიზეს "კარმენი"-დან. უკრავდა ბავშვთა სასულე ორკესტრი.

თავად გამოფენა ძალიან საინტერესო გამოდგა. სასიამოვნო იყო ამდენი ლამაზი ნახატის ხილვა. რამდენიმე სურათი დასათაურებულიც კი იყო; ჭარბობდა ქართული დროშის გამოსახულებები. 13 წლის ნუცა გურეშიძეს ქალბატონი დაუხატავს დროშებიანი კაბით, მეორე გოგონას - დიდი დროშა სახელწოდებით "საქართველოს ერთიანობა", სხვებს - "მხიარული დღე", "მოგზაურობა ბათუმში", "ჯოჯოხეთში იმ დროს, როცა მივიღებ ორიანს", სამი მუშკეტერი, დონ კიხოტი და სანჩო პანსა ქარის წისქვილებთან; უმთავრესად კი, რა თქმა უნდა, ყვავილები, სახლები, უამრავი წითელ-ყვითელი მზე და უღრუბლო ცა.

რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა ამერიკელი ბავშვების სურათები. თემაზე A look at Myself. ეს იყო კომპიუტერული სურათები: ქრომატოგრაფია და ციფრული ავტოპორტრეტები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ავტოპორტრეტები - კომპიუტერულად დამახინჯებული, ნიღბებს დამსგავსებული ან კოპირებული სახის ნაწილები. 11 წლის მულატი ბიჭის ჯასმინ ვალდოვინოსის დეფორმირებული სახე და 13 წლის რონი ლონგლის კომპიუტერული აბსტრაქცია სრულიად არაამქვეყნიურ შთაბეჭდილებას ქმნიდა.

**"ეს გამოფენა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი არის მიძღვნილი. ჩვენი უპირველესი მიზანია ბავშვთა ინტეგრაცია. ივლისის თვეში ჩვენც გავგზავნით ამერიკაში ქართველი ბავშვების ნამუშევრებს,"** - აღნიშნა გალერეის თანამშრომელმა ლია გორგაძემ, რომელიც ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. გამოფენის შემდეგ ბავშვები მაკდონალდსის საჩუქრებით დააჯილდოვეს.




# ფრთხილად, ფარული ვიდეოკამერა გიღებთ!

თამარ კაციტაძე

*"ახლა გადაიხადეთ და ამის შემდეგ ჩვენთან რომ მოხვდები, მწვანე გექნება ანთებული," – ეს ფრაზა იმ საგზაო პოლიციელს ეკუთვნის, რომელიც მძღოლისთვის ფულის გამოძალვის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ "დაგებულ" ფარული ვიდეოკამერის "მახეში" მოყვა. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნული "გაიშნიკის" ხელში მძღოლები აღარ მოხვდებიან. შინაგან საქმეთა მინისტრი ირწმუნება, ამ ფაქტის დაფიქსირებისთანავე იგი პოლიციის მუნდირს დაემშვიდობა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*შინაგან საქმეთა მინისტრი სისტემის რეფორმის მეორე ეტაპზე გადადის*

ფარულ ვიდეოკამერას მხოლოდ ერთეული საგზაო პოლიციელი არ გამოუვლენია. გიორგი ბარამიძის ინფორმაციით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ბრძოლის ამ მეთოდით შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს 50-ზე მეტი ულირსი პოლიციელი გამოეთხოვა. ეს კი, მინისტრის თქმით, იმ რეფორმას ეხმიანება, რომლის განხორციელებაც გიორგი ბარამიძემ გამინისტრებისთანავე დაისახა მიზნად და რომლის დასაწყისი ეტაპიც, მისივე თქმით, დასასრულს უახლოვდება.

**"ის, რომ საგზაო პოლიციაში სხვადასხვა დარღვევებისა და ქრთამის გამოძალვის მხრივ საშინელი მდგომარეობაა, ჩვენთვის უცხო არ ყოფილა. ამ სენის აღმოსაფხვრელად ბოლო პერიოდში უამრავი ღონისძიება გავატარეთ, დავაწესეთ მატერიალური წახალისებებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, საგზაო პოლიციელები ძველ ჩვევას ვერ ღალატობენ და იმავე გზით უნდათ მუშაობის გაგრძელება, რასაც ჩვენ ვერ შევეგუებით,"** - აღნიშნა გაუშინ საგზაო პოლიციის თემისადმი საგანგებოდ მიძღვნილ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა და მასმედიას იმ ვიდეოფირის მცირე ნაწილი აჩვენა, სადაც ქართული რეალობა, ანუ პოლიციელების და მძღოლების უკანონო გარიგებებია დაფიქსირებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და კიდევ ორი შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებულ ვიდეომასალებზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოკვლევა, ანუ დგინდება ფირზე აღბეჭდილი პოლიციელების ზუსტი ვინაობა, რის შემდეგაც მასალები გენერალურ პროკურატურაში გადაიგზავნება.

ბარამიძის თქმით, ეს იქნება სერიოზული გაკვეთილი იმ პოლიციელებისთვისაც, რომლებიც თავად არიან დამნაშავეები, რაც საზოგადოებისთვის ორმაგად საშიშია. თუმცა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე მინისტრმა მძღოლებიც გააფრთხილა: **"კანონით ისჯება ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემიც."** ასე რომ, ამის შემდეგ ფარული ვიდეოჩანაწერების მძღოლებსაც უნდა ეშინოდეთ, რადგან კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

პოლიციის რიგების წმენდა კი რეფორმირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამზადებელი ეტაპია.

**"შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯერჯერობით, ისევ ძველი სახით ფუნქციონირებს. აქამდე ჩვენ მხოლოდ რამდენიმე რეალური ნაბიჯი გადავდგით. ახალი წლიდან კი თბილისში უკვე რეფორმირებული პოლიცია გვეყოლება,"** - განაცხადა მინისტრმა.

ბარამიძის თქმით, სხვა ფუნქციებთან ერთად, პრიორიტეტული იქნება ადამიანის უფლებების დაცვა, რისთვისაც სამართალდამცველები სამთვიან მოსამზადებელ კურსებს გაივლიან. ამასთან, რეფორმის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სტრუქტურული ცვლილება, ანუ სისტემის პერსონალურ პასუხისმგებლობაზე გადასვლა, რაც, ბარამიძის აზრით, ხელმძღვანელ პოლიციელთა პასუხისმგებლობას კიდევ უფრო აამაღლებს. სამომავლო გეგმის თანახმად, საგზაო პოლიცია შემდეგი სახით მოიაზრება: საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარება საესკორტო და რეგიონალური საგზაო პოლიციების სამსახურები, ანუ აღნიშნული სამმართველო იქნება პასუხისმგებელი საქართველოს მთელ საგზაო დანაშაულზე. გამონაკლისი იქნება მხოლოდ თბილისის საგზაო პოლიცია, რომელიც ძველ სტატუსს შეინარჩუნებს, თუმცა საგზაო პოლიციელისა და მძღოლის ურთიერთობა რომ მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებებით არ დაიხვეწება, ეს მინისტრსაც კარგად მოეხსენება. ამიტომ გიორგი ბარამიძე სამომავლოდ კანონმდებლობის დახვეწასაც გეგმავს; კერძოდ, ახალი კონონმდებლობით, პოლიციელს ფულთან შეხება აღარ ექნება. დაჯარიმებულ მძღოლს ნებისმიერ ბანკში შეეძლება თანხის გადახდა, რისი საშუალებაც აქამდე არ არსებობდა. ამასთან, მაქსიმალურად მოწესრიგდება თავად ჯარიმებიც, რადგან სწორედ ხელოვნურად გაზრდილი საჯარიმო თანხა ხდება ხშირ შემთხვევაში მძღოლისა და "გაიშნიკის" გარიგების საბაბი.

**"საკანონმდებლო ცვლილებებით ვგეგმავთ, შევამციროთ არა მარტო ჯარიმები, არამედ მკვეთრად განვსაზღვროთ გადასახადი თანხა, ანუ პოლიციას არ მივცეთ საშუალება 10-სა და 50 ლარს შორის ივაჭროს. ეს კი მძღოლებს სტიმულს მისცემს, რომ თანხა პოლიციელს კი არ გადაუხადოს, არამედ ბანკში შეიტანოს",** – ამბობს მინისტრი. მოკლედ, ეს იმ გეგმათა მცირე ნაწილია, რისი განხორციელების შემდეგაც საქართველოს რეფორმირებული საგზაო პოლიცია ეყოლება.

თუმცა, რჩება მთავარი პრობლემა - დაფინანსება, რის გამოც კორუფცია თვით პოლიციის რიგებშიც კი ხშირად უკიდურესი აუცილებლობით აიხსნება. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ირწმუნება, ორი თვეა, რაც პოლიციელები გაზრდილ ხელფასს იღებენ. ბარამიძის თქმით, ხელფასები სამართალდამცველებს დამსახურების მიხედვით დაენიშნათ, მაგრამ მინისტრისეულმა "დამსახურების პრინციპით" ხელფასების ზრდამ ბევრი პოლიციელი არც თუ დაუმსახურებლად გაანაწყენა. მათი თქმით, სამინისტროში ხელფასები პირადი სიმპათიების მიხედვით ინიშნება. ეს კი, ალბათ, ბარამიძეც დაგვეთანხმება, რომ თანამშრომლების უფლებების დარღვევაა.

# დაცვა არასრულწლოვან პატიმრებსაც სჭირდებათ

ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულების № 1 საპყრობილეს სტუმრობდა, სადაც, დღევანდელი მონაცემებით, 60 არასრულწლოვანი პატიმარი იხდის სასჯელს. ამ დღესთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრომ არასრულწლოვანი პატიმრები საპყრობილის ახალგარემონტებულ საკნებში გადაიყვანა. სწორედ ამ ახალ საკნებში გადასცა მინისტრმა ბავშვებს საჩუქრები - ლეიბები, თეთრეული და ტკბილეული.

მსჯავრდებულებს მინისტრთან გუშინ გულღია საუბარი ჰქონდათ. გიორგი პაპუაშვილმა შეიტყო, რომ არასრულწლოვან განსასჯელებს წინაწარ პატიმრობაში ერთი და ორი წელიც უწევთ ყოფნა (კანონით განსაზღრული ცხრა თვის ნაცვლად). ამ ფაქტმა მინისტრი შეაშფოთა და განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, რათა შეიმუშაონ ახალი კანონპროექტი, რომლის მიზანიც არასრუწლოვანთა მიმართებაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაცია იქნება.



*ახალგაზრდა იუსტიციის მინისტრი არასრულწლოვანი პატიმრების ბედით დაინტერესდა*

ახალი პროექტით, თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, წინასწარი გამოძიება დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღრული სამი თვის ნაცვლად, ორ თვეში უნდა დამთავრდეს, ხოლო წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება ხუთი თვით ანუ ოთხი თვით ნაკლები ვადით. არასრულწლოვანი განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის მაქსიმალური ვადა კი იქნება ექვსი თვე, განსხვავებით არსებული 30-თვიანი ვადისა.

კანონპროექტში ასევე ჰუმანური ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პრობლემაც.

**"იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არა აქვს ჩადენილი მძიმე დანაშაული, არ არის აუცილებელი, რომ მას პატიმრობა შეეფარდოს, როგორც დღეს არის დამკვიდრებული; რადგან ციხის გარემოში მოხვედრილი მოზარდის გამოსწორების შესაძლებლობა მაქსიმალურად მცირეა,"** - განაცხადა №1 საპყრობილეში მყოფმა იუსტიციის მინისტრმა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ არასრულწლოვანი პატიმრების ბედზე ზრუნვა ამით არ ამოიწურება. სამომავლოდ გიორგი პაპუაშვილი გეგმავს, რომ არასრულწლოვანი პატიმრები ცალკე შენობაში გადაიყვანონ. იქ ისინი უფროსი თაობის კრიმინალებისგან იზოლირებულნი იქნებიან. ეს კი მაქსიმალურად გამორიცხავს მოზარდებზე ნეგატიურ გავლენას.

*24 საათი*


გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

UNHCR

## ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.**


# გატაცებულ მანქანებს პოლიციელები ხელმეორედ კარგავენ

თამარ კაციტაძე

*მანქანების გატაცება თბილისში გავრცელებული ყაჩაღობებიდან ყველაზე კარგად ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. მასთან ბრძოლის არაეფექტურობას სამართალდამცველები დიდი ხნის განმავლობაში ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენით ხსნიდნენ და პასუხისმგებლობასაც ადვილად იხსნიდნენ. დღეს საქართველოში მოქმედი "შავი სამყაროს" უმეტესი ნაწილი ციხეშია გამოკეტილი. ამასთან, როგორც დღევანდელი ხელისუფლება ირწმუნება, მათ საპყრობილეებიდან გარე სამყაროს მართვის ბერკეტებიც აღარ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, მანქანების გატაცება ოდნავაც არ შემცირებულა. სად უნდა ვეძებოთ მთავარი დამნაშავეები?*

ამირან ბრეგვაძის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ებრძვის ქართული პოლიცია მანქანების გამტაცებლებს და რამდენად არიან დაინტერესებულნი სამართალდამცველები რეალური დამნაშავის გამოვლენით.

ბრეგვაძის და მისი კომპანიონის - დავით ნარიმანიძის ტრაგედია, მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში დაიწყო და მას ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახური იძიებს; თუმცა ოთხი თვის განმავლობაში საქმის წარმოებაში ყოფნას უნდა დაერქვას თუ არა რეალური გამოძიება, ძნელი სათქმელია.

**"გამთენიისას, 5 საათზე შემთხვევით გამეღვიძა, აივანზე გავედი და დავინახე, რომ ჩემი ავტოფარეხიდან ჩემივე კუთვნილი სამარშრუტო ტაქსი გაჰყავდათ. ყვირილი დავიწყე, ხმაურზე გაღვიძებულმა მეუღლემ მაშინვე დიდი დიღმის პოლიციის განყოფილებაში დარეკა და პოლიციას შეატყობინა, რომ ავტომობილს გვპარავდნენ. მორიგე პოლიციელმა უპასუხა - საშუალება არ გვაქვს, გამტაცებლებს რომ გავეკიდოთ, ამიტომ ვერ მოვალთო და ყურმილი დაუკიდა,"** - ასე იხსენებს 7 თებერვლის ღამეს დაზარალებული.

ამირან ბრეგვაძის ავტოფარეხიდან იმ ღამეს ორი "ფორდის" მარკის სამარშრუტო ტაქსი გაიტაცეს. პოლიცია კი ბრეგვაძეების ოჯახში გატაცებიდან დაახლოებით ნახევარ საათში მივიდა, როდესაც გატაცებული მანქანების კვალიც აღარ ჩანდა. დაზარალებულის თქმით, სამართალდამცველებმა გატაცებული მანქანების მონაცემები ჩაიწერეს და თან სამარშრუტო ტაქსის პატრონი დაარიგეს: ოთხი დღის განმავლობაში შენი ძალებით (ანუ ქურდების დახმარებით) მოძებნე მანქანები და ჩვენც ჩვენსას ვეცდებითო.

**"ქურდებთან წასვლის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, ამიტომ დაკარგული მანქანების ძებნა თბილისის ავტოსადგომებზე თავად დავიწყე. სამი დღის შემდეგ ერთ-ერთი სამარშრუტო ტაქსი (სახელმწიფო ნიმრით MMW-864) გლდანის ავტოსადგომზე მართლაც ვიპოვე, არადა, ჩენს მანქანებს ტრანზიტული ნომრები ჰქონდა, რადგან ჰოლანდიიდან ახალი ჩამოყვანილი მყავდა. მაშინვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს ზაზა ფერაძეს დავუკავშირდით, რომელიც ჩვენი ნაცნობია,"** - გვითხრა ამირან ბრეგვაძემ.

ახლობელმა პოლიციელმა შემთხვევის ადგილზე მაშინვე გაგზავნა ხუთკაციანი ოპერატიული ჯგუფი. სამართალდამცველები დაზარალებულებს შეუთანხმდნენ - ამ სამარშრუტო ტაქსს აქ ვუყარაულებთ, გავიგებთ, ვინ მოაკითხავს, დამნაშავეებს დავიჭერთ და მეორე მანქანასაც ვიპოვითო. გარიგების თანახმად, პატრონი ვინმეს რომ არ ეცნო, ავტოსადგომის ტერიტორიაზე არ უნდა გამოჩენილიყო.

**"პოლიციის ნათქვამში ეჭვი არ შეგვიტანია. ისინი ტელეფონით გვიკავშირდებოდნენ და საქმის კურსში გვაყენებდნენ,"** - ამბობს დაზარალებული.

პოლიციური თვალთვალიდან მესამე დღეს სამართალდამცველებმა ამირან ბრეგვაძეს დაურეკეს და შეატყობინეს, რომ მისი სამარშუტო ტაქსი დაუდგენელმა პირებმა ავტოსადგომიდანაც გაიტაცეს.

**"მესამე ღამეს დიდი დიღმის პოლიციის მორიგეობის ჯერი იყო. სწორედ მაშინ მოახერხეს ქუდებმა მანქანის ხელმეორედ გატაცება, თან ისე, რომ სამართალდამცველებმა დადევნება კიდევ ვერ მოახერხეს. ამიტომ გამიჩნდა ეჭვი, რომ ჩემი სამარშრუტო ტაქსების გატაცებაში დიღმის პოლიციელებიც იყვნენ ჩართულები,"** - იხსენებს ბრეგვაძე.

თავად პოლიციელები კი დაზარალებულებთა დაუჯერებელი ისტორიით იმართლებენ თავს.

**"რომ დავინახეთ, სამარშრუტო ტაქსი გაჰყავდათ, ავტომატიდან ვისროლეთ, რასაც დამნაშავეებმაც სროლით უპასუხეს. ვინაიდან იმ ღამეს ძალიან ციოდა და მანქანის ძრავი გაყინული იყო, ამიტომ მისი დროულად დაქოქვა ვერ შევძელით. ასე მოახერხეს მანქანის გატაცება და მათ კვალს ვერსად მივაგენით,"** - უთხრეს მორიგე პოლიციელებმა უმბრიშვილმა, ჩაჩანიძემ, ტატიშვილმა და გოგოხიამ დაზარალებულს;

თუმცა მანქანების გამტაცებლებთან პოლიციას საეჭვო კავშირი რომ ჰქონდა, დაზარალებულს კიდევ ერთმა ფაქტმა აფიქრებინა.

**"სამარშრუტო ტაქსის ხელმეორედ გატაცებიდან მეორე დღეს სახლში დიდი დიღმის რაიონიდან ორი პოლიციელი მოვიდა, მათ შორის - სამძებრო სამსახურის უფროსი გოჩა ცაგარეიშვილი, რომელმაც მკითხა: რას იკისრებთ, მანქანას თუ გაპოვნინებთო? სამართალდამცველები ჩვენი მხრიდან მხოლოდ მადლობის თქმით არ დაკმაყოფილდნენ – ეს საკმარისი არ არისო და წავიდნენ,"** - იხსენებს ამირან ბრეგვაძე.

სამარშრუტო ტაქსების გატაცებასა და პოლიციის მხრიდან დაშვებულ "უკანონობასთან" დაკავშირებით დაზარალებულები მათი საქმის მწარმოებელს, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამომძიებელს დავით ჩაჩანიძეს საქმის კურსში სისტემატურად აყენებდნენ, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ამის შემდეგ ბრეგვაძე და მისი კომპანიონი იძულებულები გახდნენ, რომ საკუთარი ტრაგედიის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივნისთვის, გენერალური პროკურორისა და შს მინისტრისთვის მიეწერათ.

სწორედ უშიშროების საბჭოდან გადაგზავნილი წერილი გახდა იმის საბაბი, რომ შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შეესწავლათ ბრეგვაძის საქმესთან დაკავშირებული პოლიციელების საქმიანობა, რაც საბოლოოდ პოლიციელების - უმბრიშვილის და ჩაჩანიძის - თანამდებობიდან გათავისუფლებით, ხოლო ტატიშვილისა და გოგოხიას სისტემიდან დათხოვნით დასრულდა. თუმცა, პოლიციელების ბრალეულობის გარკვევა ამით არ დასრულებულა. როგორც შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა ირწმუნება, მოკვლეული მასალები გენერალურ პროკურატურაშია გადაგზავნილი და პოლიციელების მანქანების გატაცებასთან კავშირიც სწორედ ამ გამოძიების შემდეგ გამოიკვეთება.

ამასობაში კი თითქმის ოთხი თვე გავიდა. რა სტადიაშია ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილში აღძრული საქმის გამოძიება, თავად დაზარალებულებისთვისაც უცნობია. როგორც ამირან ბრეგვაძემ გვითხრა, გამომძიებელი მათ საქმის მასალებს არ აცნობს, რაც კანონით დაუშვებელია.

ჩვენი საუბარი კი დავით ჩაჩანიძესთან ტრადიციული ფრაზით შემოიფარგლა: **"გამოძიება მიმდინარეობს და ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით."**

თუმცა, ვიდრე გენერალური პროკურატურა და ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილი ერთი და იმავე საქმეზე დამნაშავეების დადგენას შეეცდებიან, ამასობაში ამირან ბრეგვაძესა და დავით ნარიმანიძეს დაკარგულ მანქანებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევთ ჰოლანდიელ პარტნიორთან.

**"სამარშრუტო ტაქსები ჰოლანდიელი პარტნიორის საკუთრება იყო, რომელთანაც ანგარიშვალდებულები ვართ. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ ქართველი სამართალდამცველები მანქანებს არ თუ ვერ იპოვნიან, პოლიციისგან მოვითხოვთ ზარალის ანაზღაურებას, რადგან ნაპოვნი მანქანის ხელმეორედ დაკარგვაში ბრალი სწორედ პოლიციელებს მიუძღვით,"** – ასეთია დაზარალებულის არცთუ უსაფუძვლო სურვილი.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზეთი ეკოლოგიური საფრთხის წინაშეა

*ასეთი განცხადება საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი ინფორმაციით, პარტიის ხელთ არსებული ექსკლუზიური მასალები ადასტურებს, რომ საქართველოს ამ ტერიტორიაზე ეკოლოგიურ კატასტროფას მიახლოებული არაერთი კერა არსებობს.*

ნინო ბერელიძე

**"მე ვფლობ ოფიციალურ ინფორმაციას იმ რეალურ მდგომარეობაზე, რაც აფხაზეთშია შექმნილი და სულაც არ არის ისე კარგად საქმე, როგორც მასმედიის საშუალებებიდან გვესმის,** - აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე, - **აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს, სასწრაფოდ იშოვოს დიდი ფული, რითაც რუსეთში ან თურქეთში უნდა გაიქცეს. პარალელურად, თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ქმედებებს ახორციელებს: სეპარატისტულმა სახელმწიფო კომპანია "აფხაზთევზმა" ხელშეკრულება გააფორმა ორ თურქულ თევზმჭერ ფირმასთან - "კილ კარდიშლერთან" და "კანსულთან" - რომლის საფუძველზეც, თურქებს აფხაზეთის აკვატორიაში თევზის რეწვის შეუზღუდავი უფლება ეძლევათ. თევზის რეწვას თურქული გემები აკრძალული ფსკერული ტრალით ახორციელებენ, რომელიც დიდ ზიანს აყენებს შავი ზღვის ფსკერს და მის ფლორას ანადგურებს".**

მწვანეთა პარტიის ლიდერის განცხადებით, პრობლემა უამრავია - როგორც მთლიანად საქართველოდან, ასევე, აფხაზეთიდან გაედინება დიდი რაოდენობის ხე-ტყე; ყოველ წელს 50-60 ათასი კუბური მეტრი ხე-მასალა საზღვარგარეთ გააქვთ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან გატანილი ხე-ტყის ღირებულებამ 21 მილიონი დოლარი შეადგინა; მხოლოდ აფხაზეთიდან კი ერთ წელიწადში 16 მილიონის ღირებულების ხე-ტყე გაიყიდა. ძვირად ფასობს იმერული წაბლი და მუხა, რომელიც განადგურების პირასაა მისული. ამ სახეობის ერთი კუბური მეტრი 300-400 დოლარი ღირს. მოჭრილი ხის მორები სოხუმისა და გაგრის საზღვაო ნავსადგურებიდან გაედინება. უკონტროლო ჭრების გამო, საშიშროება მოელის აფხაზეთის მთიან რაიონებს, სადაც მეწყერის ჩამოწოლის საშიშროება იმდენად რეალურია, რომ სეპარატისტთა ე.წ. სახელმწიფო გეოლოგიურმა სამსახურმა შექმნა საშიში ზონების რუკა და რაიონებს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად დაუგზავნა.

**"აფხაზეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: სპილენძით, ვერცხლით, თუთიით, ვერცხლისწყლით, მოსაპირკეთებელი ქვა-გრანიტითა და მარმარილოთი. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, აგრეთვე, ნავთობი. ეს გარკვეულ იმედს უსახავს სოხუმის ხელისუფლებას, რომ ეძებოს ინვესტორი კომპანიები შავ ზღვაში ბურღვების გასახორციელებლად,** - შეშფოთებულია გიორგი გაჩეჩილაძე, - **მეტსაც გეტყვით: სეპარატისტული მთავრობის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ტყვარჩელის ქვანახშირის კარიერის "ხუძგას" თურქული ფირმა "ადა მადენდჟელიკ სან ლტდ"-სთვის გადაცემის თაობაზე. კონტრაქტით გათვალისწინებულია 100 ათასი ტონა ქვანახშირის გატანა, რომლის ღირებულება ერთ ტონაზე სამი ათას დოლარს შეადგენს. თურქულმა ფირმამ თავის თავზე აიღო რკინიგზის გაყვანის ხარჯები ტყვარჩელიდან ოჩამჩირემდე. განზრახულია, გაღრმავდეს ოჩამჩირის ყურეში ზღვის ფსკერი, რათა 500 ტონა წყალწყვის გემები იქ თავისუფლად შევიდნენ".**

მწვანეთა პარტია სთხოვს ხელისუფლებას, ამ ფაქტებს გამოეხმაუროს და საქართველოს სახელმწიფო ინტერესები დაიცვას. **"აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, პრობლემის კონტროლზე აყვანა საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა მოსთხოვოს,** - ამბობს "მწვანეთა" ლიდერი, - **პარტიის სახელით მოვითხოვ, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტმა მიიღოს დადგენილება აფხაზეთში არსებულ კრიტიკულ ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით".**

გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ასეთივე მძიმე მდგომარეობაა აჭარაშიც; ამის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას პარტია უახლოეს მომავალში წარმოადგენს.

## ნაციონალური შერიგებისა და მშვიდობის პროექტი

*საქართველოს ხელისუფლებაში ქვეყნის ფედერალური მოწყობის საკითხი განიხილება. ამის დადასტურება იყო პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სააღლუმო გამოსვლაც, რომლის დროსაც მან აფხაზებს ფედერალური მოწყობა პირდაპირ შესთავაზა. ამ თემას ეხება "აფხაზთა ალიანსის" პრეზიდენტის დოქტორ ინალ კაზანის მეორე წერილი, რომელიც მან ნიუ იორკიდან გამოგვიგზავნა.*



*"აფხაზთა ალიანსი" ალტაცებულია საქართველოს პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში მიმდინარე ბოლოდროინდელი განხილვებით აფხაზეთის მომავალი სტატუსის შესახებ.*

ორგანიზაცია "აფხაზთა ალიანსი" ალტაცებულია საქართველოს პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში მიმდინარე ბოლოდროინდელი განხილვებით აფხაზეთის მომავალი სტატუსის შესახებ. როგორც ჩანს, პოლიტიკური გარღვევა დაიწყო. აფხაზური დიასპორა მიესალმება კონსტრუქციულ დიალოგს და ამ საქმეში პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ღვაწლს. აფხაზეთის კრიზისი რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის წყაროა, ამიტომ, დროა გამოინახოს საერთო პოზიცია.

აფხაზეთის საკითხის პოლიტიკური დარეგულირების უნიკალური შანსი გაუჩნდა პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს და სტატუსს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. მჯერა, რომ იგი ამ შესაძლებლობას გამოიყენებს.

დარწმუნებული ვარ, დიასპორასაც მიეცა უნიკალური შანსი, იყოს მშვიდობიანი პროცესის შუამავალი. დიასპორა საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზებისაგან შედგება, რომელთაც არძინბას რეჟიმმა სამშობლოში დაბრუნების უფლება წაართვა. ეს საბჭოთა გამოცდილების გაგრძელებაა.

აფხაზურ დიასპორას, რაღა თქმა უნდა, აქვს სამშობლოში დაბრუნების უფლება ისევე, როგორც კონფლიქტის დროს გაძევებულ ქართველ დევნილებს. აფხაზური დიასპორის თვითმარქვია წარმომადგენლებისა და მათი სოხუმელი პატრონების არაოფიციალური შეხვედრები ჩვენი ხალხის მოტყუებაა, რაც სრულიად მიუღებელია. თუ გვინდა, რომ აფხაზეთში დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვონ, მშვიდობიან მოლაპარაკებებში ნამდვილი დიასპორა უნდა მონაწილეობდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ორგანული დიქტატურის მრავალეროვანი საზოგადოებით შეცვლა აფხაზეთში.

მოვიდა იმის დრო, რომ ნაციონალური შერიგებისა და ერთიანობისათვის საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციური ცვლილებები მოახდინოს, იურიდიულად აღიაროს აფხაზური დიასპორა და, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საფუძველზე, აფხაზებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. თურქეთში მშვიდობიანად თანაცხოვრობს მილიონზე მეტი ეთნიკური ქართველი და ნახევარ მილიონზე მეტი ეთნიკური აფხაზი. ეს არის დინამიური და ჰარმონიულად განვითარებადი საზოგადოება, რომელსაც ამდიდრებს თითოეული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ტალანტი, განათლება, საქმის ცოდნა და სხვა რესურსები. ყოველივე ეს, შესაძლებელია, ქართულ-აფხაზური აღორძინებისათვის გამოვიყენოთ. სამწუხაროა, რომ ჩვენი სამშობლოს ბოლშევიკურმა მემკვიდრეობამ ორ მოძმე ხალხს შორის უნდობლობისა და პარანოის ატმოსფერო შექმნა. თუ გვინდა, საერთო მიზნისაკენ ვიაროთ, ეს ფსიქოლოგიური ბარიერი აუცილებლად უნდა გადავლახოთ.

ორი წლის წინათ, "აფხაზურმა ალიანსმა" პრეზიდენტ შევარდნაძესა და მის მთავრობას სამშვიდობო ინიციატივების პროექტი წარუდგინა. ჩვენი, დიასპორის ეს პროექტი ბევრი რამით ჰგავს ბოდენის პროექტს, მაგრამ უფრო ფართოა. იგი ითვალისწინებს აფხაზეთის ტერიტორიის თვითკონტროლს პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ოღონდ, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. შევარდნაძის რეჟიმმა და არძინბას რეჟიმმა არც ერთი პროექტი არ მიიღო. არადა, ორივე ოპტიმისტური პროექტია და გადახედვას იმსახურებს.

ჩვენს დიდ და უძველეს ხალხებს შორის ნამდვილი მშვიდობა მხოლოდ მაშინ დაისადგურებს, როცა ურთიერთობები თანაბარუფლებიანობის პრინციპებზე აგებული იქნება. კომპრომისი მართებს ორივე სახელმწიფოს ხელისუფლებას. კომპრომისის ალტერნატივა - შეიარაღებული დაპირისპირება სიკეთის მომტანი არავისთვის იქნება. ეს იქნება ახალი ნგრევა. ამ გზის მომხრენი სამშვიდობო ინიციატივის შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებენ.

საერთო მიზნით გაერთიანებულ აფხაზებსა და ქართველებს ძალუძთ კავკასიაში რივიერის შექმნა. წინ მშვიდობა, პროგრესი და აყვავება გველოდება.

***ინალ კაზანი***

## მატრიარქატი დევნილებში

*"გალში ქალების დომინირება იგრძნობა. ენგურის ხიდზე გადამსვლელთა უმეტესობა ქალია. ქალები მიათრევენ საკუთარი მხრებით მძიმე ტვირთს, ქალები არიან ყველგან: ბაზარში, მაღაზიაში, სკოლაში, ყანასა და ბოსტანში. ქალები იყინებიან ციტრუსების პლანტაციებში, მალულად კრეფენ საკუთარ ბაღებში თხილს და შემდეგ ყიდიან. ერთი სიტყვით, არსებობისთვის, ოჯახისა და ქვეყნის გადარჩენისათვის, ფაქტობრივად, ქალი იბრძვის. ომს მამაკაცები იწყებენ და შემდეგ, ყველა საშინელება, რომელიც ომს მოაქვს, ქალის მხრებზე გადადის," - ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა თავის მოხსენებაში - "გლობალიზაცია და იძულებით გადაადგილებული ქალები" ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი თამარ საბედაშვილი.*

ლელა მარგიანი

1993 წლის ოქტომბერში ათასობით ადამიანი იძულებული იყო, საკუთარი მიწა-წყალი დაეტოვებინა და ფეხით გადმოეკვეთა სვანეთის მთები.

თამარ საბედაშვილი: **"ოფიციალური ინფორმაციით, სვანეთის გზაზე 200-350 დევნილი სიცივისა და შიმშილისაგან დაიღუპა, უმეტესობა მათ შორის ქალი და ბავშვი იყო. რამდენიმე ქალმა არაადამიანურ პირობებში, გზაში იმშობიარა, იყო მშობიარეთა და ჩვილების სიკვდილის შემთხვევები. კონფლიქტის შედეგად, 262 ათასი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა, მათი უმეტესობა ეთნიკური ქართველია. დევნილთა შორის 168 ათას 877, ანუ საერთო რაოდენობის 55 პროცენტი ქალია, 36 პროცენტი - ბავშვი, ხოლო 11,5 პროცენტი - 63 წელს გადაცილებული მოსახლეობა".**

მომხსენებლის ინფორმაციით, დევნილები, ძირითადად, 3600-მდე კომპაქტურად ჩასახლების ადგილში ცხოვრობენ, ძალიან მძიმე პირობებში. უმეტესად ერთ პატარა ოთახში, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება, უბრალოდ, საავადმყოფოს პალატა იყოს, ოთხი-ხუთი სული ცხოვრობს. მათ არა აქვთ წყალი, უზრუნველყოფილი არ არის მათი ჯანმრთელობის დაცვა, ირგვლივ გამეფებულია ანტისანიტარია. ისინი გარკვეულ იზოლაციაში იმყოფებიან, რამაც ხელი შეუწყო მათ შემდგომ "სტიგმატიზაციას", ანუ კიდევ უფრო მეტად გაუცხოებას ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისაგან. კონფლიქტის შედეგად მიყენებულ სტრესს ისიც დაერთო, რომ არ იყო მიღებული შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1992-1997 წლებში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მიღებული 50-ზე მეტი ნორმატიული აქტიდან არც ერთი არ ეხებოდა დევნილ ქალებს.

საბედაშვილის ინფორმაციით, 1999 წელს საქართველოს შვიდ ქალაქსა და ორ სოფელში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ "დევნილი ქალების უმეტესობა უკან, შინ დაბრუნებას ნატრობს. მიუხედავად ამისა, ქალები უფრო ადვილად შეეგუენ ახალ პირობებს, მეტი სიცოცხლისუნარიანობა და აქტიურობა გამოამჟღავნეს, ვიდრე მამაკაცებმა".

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დედობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქალთა გადარჩენისათვის სწრაფვაში. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, დევნილ ქალებს მაინც მიაჩნიათ, რომ "ოჯახზე პასუხისმგებელი მამაკაცია. მართალია, რეალურად ქალები ინახავენ ოჯახებს, მაგრამ ოჯახის მეთაურებად კვლავ მამაკაცებს მიიჩნევენ. ისინი თითქოს "უგებენ" ქმრებს, არ უნდათ შეურაცხყონ მამაკაცები. მეორეს მხრივ, შეიძლება მათ, უბრალოდ, მამაკაცების მხრიდან ძალადობისა ეშინიათ.

ახალგაზრდა მეცნიერის ინფორმაციით, არ მომხდარა კონფლიქტის დროს ძალადობით ტრავმირებული ქალების რეაბილიტაცია. ამჟამად, დევნილი ქალები, რომელთა უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს, იძულებულნი არიან, მათთვის უცხო საქმით დაკავდნენ. იმუშაონ არაფორმალურ სექტორში, ივაჭრონ ქუჩაში, მოუარონ შეძლებული ოჯახების ბავშვებს. სოფელში მაცხოვრებლები სოფლის მეურნეობას მისდევენ, მაგრამ არის დევნილ ქალთა არცთუ მცირე რაოდენობა, ე.წ. სეზონურად მომუშავე ქალები, ანუ ისინი, ვინც გალის რაიონში გადადის, თავის მიტოვებულ ბაღებში მალულად მუშაობს, კრეფს თხილს და შემდეგ თვითონვე, საკუთარი მხრებით გადმოაქვს თხილი ენგურის ხიდზე.

"სოფელ რუხში ვნახეთ დევნილი ქალები, რომლებიც რუს სამხედროებს 5 ლარს ქრთამს აძლევენ და ისე გადადიან ენგურზე. სექსუალური ძალადობის შიშით, გალის ტერიტორიაზე ახალგაზრდა ქალები ვერ შედიან. ამიტომ გალში მუშაობენ მოხუცები, რომლებსაც ძალადობა არ ემუქრებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები აქვთ. მათ ძალიან უჭირთ თხილის კრეფა, მაგრამ სხვა გზა არა აქვთ. ისინი თხილის "ბიზნესით" საკუთარ ოჯახებს არჩენენ," - აღნიშნა ახალგაზრდა მკვლევარმა.

*აფხაზური ისტორია*

## საქორწინო მოგზაურობა

მე ჩვეულებრივი დიასახლისი ვარ. თუმცა, შეიძლება არც ვყოფილიყავი დიასახლისი, თავის დროზე რომ არ გავთხოვილიყავი...რომ მესწავლა, გამოვსულიყავი ექიმი, მერე სპეციალობით დამეწყო მუშაობა...ყველაფერი შეიძლება სულ სხვაგვარად ყოფილიყო...

მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან მე...გავთხოვდი. უფრო სწორად, მე მომიტაცეს, ძალით "გამაბედნიერეს"...და მორჩა, ამით დამთავრდა ჩემი კარიერა. მერე იყო: ბავშვი, საფენების რეცხვა, ოჯახი და ა. შ.

მხოლოდ მოტაცების, "გაბედნიერების" შემდეგ გავიგე, რომ ჩემს ძვირფას ქმარს სმა ძალიან უყვარდა, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, იგი თითქმის ჩამოყალიბებული ალკოჰოლიკი იყო.

და მე, ოცდარვა წლის სულელი, რომელსაც არასდროს მენახა სმის ზედმეტად მოყვარული ადამიანი და რომელმაც არაფერი ვიცოდი ამ დაავადების შესახებ, პირისპირ შევეჯახე კაცობრიობის საშინელ პრობლემას - ალკოჰოლიზმს.

მე ჩემთვის მაშინვე გადავწყვიტე - ან ვიცხოვრებ ალკოჰოლიკთან, ანუ შევეგუები მის დაავადებას, ან გამოვასწორებ ქმარს.

წესისა და რიგის მიხედვით, მოტაცება-ქორწილის შემდეგ საქორწინო მოგზაურობაში წავედით. თაფლობისთვის გასატარებლად, როგორც მაშინ მოდაში იყო, მოსკოვში ჩავფრინდით. რა თქმა უნდა, საქმე "ჩაწყობილი" გვქონდა და მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში დავბინავდით.

დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, სასტუმროში დაბინავებულს ის-ის იყო ჩამეძინა, რომ კარზე რაღაც ხმაურის ხმა გავიგე. აი, სწორედ მაშინ შევეჯახე პირისპირ საშინელ პრობლემას - ალკოჰოლიზმს. კარზე ატეხილი ხმაურით შეშინებულმა სასწრაფოდ გავაღე კარი და ჩემი უგონოდ მთვრალი "ქმარუკა" შემრჩა ხელში. მან გასაღების მორგება ვერ შეძლო, კარი ვერ გააღო და ამით გამწარებული იგინებოდა და ყვიროდა.

კარი რომ გავუღე, გაბრაზებული შემოვარდა ოთახში და იქაურობა მილეწ-მოლეწა.

მე ძალიან შევშინდი, დავიბენი, არ ვიცოდი, რა მექნა, ვისთვის დამეძახა საშველად. ადმინისტრატორი მამაკაცი დამეხმარა. კიდევ კარგი, მილიცია არ გამოიძახა. ახლა რომ მომხდარიყო ეს ყველაფერი, დარწმუნებული ვარ, მილიციაში ამოგვაყოფინებდნენ თავს მეც და ჩემს მთვრალ, გონწართმეულ ქმარსაც... რაც მაშინ იქ ხდებოდა, იმის გახსენებაც არ მინდა...

ამ ამბის შემდეგ, მოსკოვში კიდევ რამდენიმე დღე დავრჩით, ცოტა გავერთეთ, დავათვალიერეთ ქალაქი, პუშკინის მუზეუმშიც კი შევძელი ქმრის "შეთრევა", პირდაღებული ათვალიერებდა მუზეუმს. პირველი "გმირობის" შემდეგ, იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, მოსკოვში რომ დავრჩით, ჩემმა ქმარმა ორივე ხელის გადასერვა და თაბაშირში ჩასმა მოასწრო. ბოლოს, ხელებზე დადებული "გიფსებით" სასტუმროდან გამოგვყარეს. სასტუმროს დიასახლისების მთელი ბრიგადა ერთი საათის განმავლობაში აფიქსირებდა ჩემი ქმრის გმირობის ფაქტებს. სასტუმროში დამტვრეული ავეჯისა და ჭურჭლისთვის საკმაო ჯარიმა გადაგვახდევინეს. უკან, სოხუმში დასაბრუნებელი ბილეთის საყიდელი ფული ქმრის ვაჟკაცობამ შეიწირა, სასტუმროდან გამოგვყარეს და ასე აღმოვჩნდით, "თაფლობისთვის" მოსკოვში ჩასულები უფულოდ, ორი ჩემოდნით ქუჩაში. არ ვიცოდით, სად წავსულიყავით - გვშიოდა, გვციოდა და ძალიან გვეძინებოდა. არ ვიცოდით, რა გვექნა...

ბოლოს ჩემს ქმარს გაახსენდა ერთი ძველი ნაცნობი ქალის მისამართი. ალბათ, დაოჯახებამდე ხშირად სტუმრობდა იქ. ძლივს მივაღწიეთ იმ მისამართამდე. იქ მშვენიერი ქალბატონი დაგვხვდა - ისეთი სუფრა გაგვიშალა... დავნაყრდით, დავლიეთ, გამოვიძინეთ. ის ქალი აეროპორტის სალაროში მუშაობდა, ბილეთიც გვიშოვა და, როგორც იქნა, შინ, სოხუმში გამოვფრინდით.

სახლში კი ჩემს "საყვარელ" ქმარს ვუთხარი: "ჩემო ძვირფასო, ორიდან ერთი შეგიძლია აირჩიო - ან მე, ან - ლოთობა!".

მან დაიფიცა, რომ არასდროს აღარ დალევდა და, მართლაც, პირობა შეასრულა - უკვე ცამეტი წელია, ერთად ვართ და არ დაულევია.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი,*
*რადიოპროექტი –*
*"ცხოვრებისეული ისტორიები"*
*ხორციელდება ბრიტანული*
*საერთაშორისო ორგანიზაციის*
*"შერიგების რესურსების" მიერ.*
*ჩანაწერები მოგვაწოდა*
*რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*

*თვალსაზრისი*

## ჰერალდიკის ავტორთა ჭგუფს

უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილს გწერთ სოხუმიდან დევნილი, ამჟამად ქუთაისში დამკვიდრებული კაცი, რომლისთვისაც თავის დროზე მიუღებელი აღმოჩნდა არძინბას სეპარატისტული ხელისუფლების მიერ თითქმის ძალად, ქართველი მოსახლეობის სურვილისა და ნების იგნორირებით ავტონომიის სუვერენიტეტის გამომხატველი სიმბოლიკის მიღება. მართალი გითხრათ, მაშინ, პირადად ჩემთვის საკითხის ემოციური მხარე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პოლიტიკურ-პრაგმატული. ეს სიმბოლიკა აქამდე ძნელად მისაღები რჩება ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, მაგრამ თუ რამდენიმე მომენტს გავითვალისწინებთ, შესაძლებელი უნდა იყოს წინააღმდეგობის მოხსნა და მიუღებელის ჩვენთვის სასურველ მომენტად გარდასახვა. ბოლო, რატომ ვუსვამ ხაზს იმას, რომ აფხაზური სიმბოლიკა მიუღებლად მიმაჩნდა, წერილის ბოლომდე ჩაკითხვის შემდეგ გახდება ცხადი.

იქიდან გამომდინარე, რომ ახალი ქართული გერბის გარშემო დიდი აჟიოტაჟი და აზრთა გაცვლა-გამოცვლაა ატეხილი, და იქიდანაც, რომ პარლამენტმა მისი საბოლოო ვარიანტის დამტკიცება ჯერჯერობით ვერ შეძლო, გადავწყვიტე, ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენთვის რამდენიმე მოსაზრება გამეზიარებინა. მათი მიღება-არმიღება, რასაკვირველია, თქვენი საქმეა, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი საინტერესოა თუნდაც იმის გამო, რომ ამ კუთხით პრობლემისათვის არავის შეუხედავს, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი მსჯელობისათვის თვალი და ყური არსად მომიკრავს.

საქმე ისაა, რომ ავტორთა მიერ წარმოდგენილია ქართული და არა საქართველოს, როგორც რამდენიმე ძირეული ეთნოსისაგან შემდგარი, სახელმწიფოს გერბი. მის ფარზე დატანილი ყოველი დეტალი ქართული რეალობიდან არის აღებული, ჩვენი ერის კულტურულ არეალს ასახავს და არა სახელმწიფოს მიერ გავლილ ისტორიულ გზას. არადა, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის პოლიეთნიკური იყო. მის ჩამოყალიბებაში მონათესავე ხალხების, უპირველესად აფხაზთა, დამსახურების გამოძახილი მოისმის უძლიერესი ეპოქის ქართველ მეფეთა ტიტულატურის ამგვარად დაწყებაში: მეფე აფხაზთა, ქართველთა... და ა.შ.

მიმაჩნია, რომ პოლიეთნიკურობის მომენტის ასახვა გერბზე, კეთილი და სათანადო ბრძნული ნების გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სავსებით ადვილად არის შესაძლებელი. ეს საშუალებას მოგვცემს რამდენიმე მტკივნეული წინააღმდეგობა ერთდროულად მოვხსნათ.

როგორც ცნობილია, აფხაზების, ოსების და სხვა ჩრდილოკავკასიელი ჩვენი მეზობელი და ისტორიულად მოკავშირე ტომების მითოსის საფუძველს ნართების ეპოსი წარმოადგენს. იგი მრავალი ხალხისათვის საერთოა და ისეთივე ძვირფასი და საამაყოა მათთვის, როგორც ქართველური სამყაროსათვის პრომეთე-ამირანისა და ოქროს საწმისის მითოლოგიური ციკლები.

ისიც ცნობილია, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გერბზე სწორედ ნართთა ეპოსის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟი ნართ-სასრიყვაა გამოსახული, გაჭენებულ რაშზე ამხედრებული ზეშეტყორცნილი ისრით რომ ცეცხლოვან ვარსკვლავს წყვეტს ზეციდან.

ეს მითოლოგიური სახე-სიმბოლო სხვადასხვა სახელდებით (ოსებთან - სოსლანი) ერთგვარად ძვირფასია ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეებისათვის. საქართველოს გერბზე დატანის შემთხვევაში ეს სიმბოლო ზოგადკავკასიური მასშტაბით სულ სხვა სიღრმითა და დატვირთვით გაიჟღერებდა. ამასთან, დარწმუნებული ვართ, რომ მას არაფერი აქვს საერთო აფხაზეთში დღეს მოქმედ სეპარატისტულ რეჟიმთან და რამდენადაც აფხაზი ხალხისათვის სასურველ და აღიარებულ სიმბოლოს წარმოადგენს, შესაძლოა, ის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შესული აფხაზური ავტონომიის გერბის საფუძვლად დარჩეს.

ასევე მოიხსნებოდა საქართველოს გერბზე წმიდა გიორგის ორგზის გამოსახვის პრობლემაც. ქვედა წმიდა გიორგის ადგილს ნართთა ეპოსის მხედარი დაიკავებდა.

მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, ქართული გერბი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იქცევა, ამ გზით შესაძლებელი გახდება ამჟამად არსებული წინააღმდეგობის მოხსნა ქართულ და აფხაზურ სიმბოლიკათა შორის და მათი ერთმანეთთან მორიგებით ერთიანი საერთოსახელმწიფოებრივი გერბის შექმნა. თანაც, იგივე სიმბოლო, როგორც ითქვა, არც ოსებისთვის უნდა იყოს უცხო და მიუღებელი.

ვფიქრობ, საქართველოს გერბზე აღნიშნული ელემენტის გამოსახვა წარმოჩნდებოდა, როგორც ახალი სახელმწიფოს მესაძირკვლეების მიერ დეკლარირებული მეგობრული და მშვიდობიანი თანაცხოვრების დასტურად ხელის გაწოდების კიდევ ერთი რეალური ნიშანი (ავტონომიის ტერიტორიაზე ლარის აფხაზური ვარიანტის მიმოქცევისა და სახელმწიფო ენებად აფხაზურისა და ქართულის კონსტიტუციურად დაკანონების გვერდით).

ვფიქრობთ, რომ ამ წინადადების გაზიარება შესაძლებელია და იმედი გვაქვს, მას გამზიარებლები გამოუჩნდებიან, ამიტომაც ვბედავთ და მას თქვენი სამსჯავროს წინაშე წარმოვადგენთ. გვერწმუნეთ, ეს მოსაზრება ქართველი და აფხაზი ხალხების შერიგებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების გზების ძიების წყურვილით არის ნასაზრდოები.

ულრმესი პატივისცემით

***სერგო წურწუმია***
***მწერალი, ჟურნალისტი, გაზეთ "ჩემი ქუთაისის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი***

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## ამაოების კოცონი



კულტურული კატასტროფების საერთო ქრონიკაში საათჩის საწყობის ხანძარი საერთოდ არ "გატარდება" – ასეთია დასკვნა, რომელსაც პიტერ კონრადი პირველივე აბზაცებში აკეთებს.

B3

## კონიუნქტურიდან არქიტექტურისაკენ?

ქართველი არქიტექტორები სულ რაღაცის მოლოდინში ვართ - იმპერატორის შეცვლის, სახალხო ხელისუფლების მოსვლის, ჯერ სტალინური პრემიების, მერე კი სტალინის სიკვდილის, ხრუშჩოვის წასვლის, ვილაცეების მოსვლის, პერესტროიკის, თავისუფლების, კორუფციისაგან განთავისუფლების.

B6

## "ბაიერნიდან" კანი მიდის

"ბაიერნის" ბოლო ათწლეულის სიმბოლო ოლივერ კანი მიუნხენურ კლუბს ტოვებს. მას გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტი უნდა დაეკავებინა.



B4

# კიდევ ერთი რევოლუცია

მაკა ჭაიანი

*რა სჭირდება ადამიანს? - ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ, მაინც ზეიმი, რომელიც მაშინაც გრძელდება, როცა გგონია, რომ დასრულდა. ასეთი ზეიმი გუშინ მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გაიმართა. ქართველი და უცხოელი, ოფიციალური თუ არაოფიციალური პირების თანდასწრებით, იქ საქართველოს სინამდვილეში პირველი, თანამედროვე ტიპის ბავშვთა გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილება გაიხსნა. სპეციალისტებმა ამას რევოლუცია უწოდეს.*

სამედიცინო ტერმინოლოგიით რომ არ დაგღალოთ, იმის ასახსნელად, თუ რას ნიშნავს ასეთი განყოფილება საავადმყოფოსთვის, ცნობილ ამერიკულ ტელესერიალ "სასწრაფოს" გაგახსენებთ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ "რუსთავი-2"-ის ეთერში გადიოდა. ამიერიდან ქართველ ბავშვებს საშუალება ეძლევათ, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ ასეთი სწრაფი და მაღალკვალიფიციური პირველადი დახმარება მიიღონ.

**"ეს არის იმ ტიპის გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილება, როგორიც მანამდე არსებულ არც ერთ მიმღებ განყოფილებას არ ჰქონია,** - აცხადებს მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი ირაკლი სასანია, - **ყველა საჭირო სამედიცინო ჩარევა პაციენტს ადგილზევე ჩაუტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ძვირფასი დრო, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია გადაუდებელი დახმარების გაწევისას. განყოფილებას ერთბაშად ათამდე ბავშვის მიღება შეეძლება. აქ მათ სულ რამდენიმე საათით დააყოვნებენ, დაუსვამენ კვალიფიციურ დიაგნოზს და საჭირო განყოფილებაში გადააგზავნიან."**

დიაგნოზს აქ უცხოეთში სპეციალურად განსწავლული ექიმები დასვამენ; მომსახურება მოსახლეობისთვის უფასო იქნება; მისი დაფინანსება დღეს, ძირითადად, გადაუდებელი შემთხვევების მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხდება. თუმცა, კლინიკის ხელმძღვანელობა დაფინანსების სხვა გზებზეც ფიქრობს.

ირაკლი სასანია: **"უკვე ვამზადებთ სპეციალურ პროგრამას ამ განყოფილებისთვის. გადაუდებელი შემთხვევების მართვა, მით უმეტეს - ბავშვთა ჯანმრთელობაში, რა თქმა უნდა, პრიორიტეტია. დღეს აქ საფუძველი ჩაეყრება ახალ ფონდს, რომელიც სწორედ ამ საკითხებზე იზრუნებს. იმედი გვაქვს, ჩვენი ქართველი და უცხოელი მეგობრები მის დაფუძნებაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ."**

გადაუდებელი დახმარების მიმღებ განყოფილებას მხარში ამოდგომას ჰპირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილიც: **"ჩვენ სერიოზული მოლაპარაკება გვაქვს მსოფლიო ბანკთან, სხვა ორგანიზაციებთან, რომ ეს საქმე შესაბამისად განვითარდეს. გადაუდებელი მიმღებების შექმნა, არა მხოლოდ ერთი, ცალკე აღებული კლინიკისთვის, ყველა სამკურნალო დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან მკურნალობის ხარისხს და შედეგიანობას აუმჯობესებს. დღეს აქ მოვიტანეთ ეტლები ბავშვებისთვის, უახლოეს მომავალში კი ვაპირებთ, განყოფილებას სასწრაფო დახმარების მანქანა შევუძინოთ."**







ბესო გულაშვილის ფოტოები

## რევოლუციის ავტორი

**"ასეთი ცენტრი ყველაზე მეტად სჭირდებათ ბავშვებს, რადგან, უსახსრობის გამო მშობლებს ბოლო წუთამდე არ მიჰყავთ ბავშვები ექიმთან, არ ხდება მათი დროული და საჭირო სამედიცინო დახმარება. ამ განყოფილების გახსნით საქართველოში დიდი პრობლემა წყდება,"** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ პრეზენტაციაზე. **"ეს არის რევოლუცია ქართულ მედიცინაში,"** – თქვეს უცხოელმა ექსპერტებმა.

ამ რევოლუციის ავტორიც "რუსთავი-2"-ია. მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების მიმღებ განყოფილებას საფუძველი ზუსტად ორი წლის წინათ, "რუსთავი-2"-ისა და Georgia Online-ს მიერ დაფუძნებული გაზეთის "24 საათის" პრეზენტაციაზე ჩაეყარა. მაშინ საგანგებოდ ამ პროექტისთვის გახსნილ ფონდში შესული 45 ათასი აღმოჩნდა პირველი აგური, რომელსაც გუშინდელი პრეზენტაციის ობიექტი დააშენეს.

**"ეს საავადმყოფო ავირჩიე იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მისი ხელმძღვანელები ჩემი მეგობრები არიან; მეორე - იმიტომ, რომ მე თვითონ პედიატრი ვარ; მესამე მიზეზი ის გახლავთ, რომ ჯანდაცვის სისტემაში სწორ რელსებზე გადასვლა, რეფორმა იქიდან უნდა დაიწყოს, საიდანაც უნდა დაიწყოს – ადამიანის დაბადებიდან,** - *ამბობს "რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი **ეროსი კიწმარიშვილი,*** **- გაზეთის დაფუძნების დღეს ვთქვით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ. სამწუხაროდ, ორი წელი დაგვჭირდა ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. სამაგიეროდ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად და ხარისხიანად გაკეთდა. დღეს ჩვენ ვაცხადებთ ახალ პროექტს ამ კლინიკის განვითარებისთვის და ვქმნით ახალ ფონდს, რომელიც მიმართული იქნება ექიმების ხელფასების გაუმჯობესების, სტაციონარის მედიკამენტებით თუ ტექნიკურად უზრუნველყოფისა და სტაციონარში ახალი პრინციპების შესაბამისი მენეჯმენტის განხორციელებისთვის".**

ამ დამსახურებას "რუსთავი-2"-ს ნამდვილად არავინ უკარგავს - საპატიო ადგილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეთა დაფაზე; მადლობის სიტყვები საქართველოს პრეზიდენტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, კლინიკის ხელმძღვანელობისგან... მთავარი მაინც ის განწყობაა, რომელიც ამ რევოლუციის ავტორებს აქვთ. საკუთარ ათი წლის იუბილეზე ბავშვებისთვის საჩუქრის გაკეთებას ისინი უცნაურად სულაც არ მიიჩნევენ.

*ეკა ხოფერია*, *"რუსთავი-2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი:* **"როდესაც ვფიქრობდით ათწლიან იუბილეზე, გვინდოდა, ეს არ ყოფილიყო ძალიან პომპეზური, მოსაბეზრებელი რამ – მართლაც, ისე აეწყო ეს ათი წელი, რომ მუდმივად ყურადღების ცენტრში ვართ. გვინდოდა, უფრო სხვებისთვის გაგვეკეთებინა რაღაც. ამდენად, ძალიან მეამაყება, რომ სწორედ ჩვენი და გაზეთ "24 საათის" იუბილეს ემთხვევა ეს პრეზენტაცია. მე მგონი, ყველაფერი კანონზომიერია – ასეთი საქმის გაკეთება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სადმე შეკრება და, უბრალოდ, დროის გატარება." "სიმბოლური და საინტერესოა ასეთი იუბილე,** - *ამატებს ჟურნალისტი **ნინო ჯაფიაშვილი**,* **- თუ სასიამოვნოს სასარგებლოს შეუთავსებ, კარგია. დღევანდელი დღე ბავშვებისთვისაა. არც ჩვენ ვართ ძალიან დიდები - ათი წელი ტელევიზიისთვის ბავშვობის ასაკია. მიუხედავად ამისა, "რუსთავი-2"-მა ბევრი რამ გამოიარა - ბევრჯერ იყო კრიტიკულ ზღვარზე, გადალახა ის, თავის თავი იპოვა და, ალბათ, ახლაც იპოვის. მაყურებელი, საზოგადოება უკვე სხვა ტელევიზიას ითხოვს. ამას გრძნობენ "რუსთავი-2"-ში და მზად არიან, ეს სიახლე შესთავაზონ მათ."**

## რევოლუციის თანამონაწილენი

გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილების შექმნაში მონაწილეთა საპატიო დაფაზე, რომელიც განყოფილების კედელზე თვალსაჩინო ადგილას კიდია, "რუსთავი-2"-თან ერთად კიდევ ოცდაერთი სპონსორის - პიროვნებისა თუ ორგანიზაციის სახელია ამოტვიფრული. ესენი გახლავან: მაგი-სტილი, რომლის წყალობითაც, განყოფილების არაჩვეულებრივად ფერადოვანი ინტერიერი შეიქმნა; ამერიკის განვითარების სააგენტო, რომელიც განყოფილებას მუდმივ ტექნიკურ და თეორიულ დახმარებას უწევს; ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ალიანსი; კომპანია "ჯეოსელი"; კენ უოკერი – მედიცინის პროფესორი, საქართველოს ყველაზე ხანდაზმული ამერიკელი მეგობარი; სტივ ლინსკი – ემორის უნივერსიტეტის პროფესორი; ატლანტა-თბილისის პარტნიორობის პროექტი; სამხატვრო აკადემია, რომლის სტუდენტებმაც განყოფილების ექსტერიერი გაალამაზეს - არაჩვეულებრივად მოხატეს კედლები; ირაკლი რუხაძე, რომელიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და GTZ-ს – ლეიკოზიან ბავშვებს კლინიკაში მთლიანად მისი დახმარებით მკურნალობენ; კომპანია "ნესტლე"; შვედეთის განვითარების სააგენტო; შვედეთის ჯანდაცვის კავშირი; პრინცი ვიქტორ დადიანოვი ავსტრალიიდან და ლევან დადიანი – საქართველოდან; ფონდი "გამარჯვება"; ნიკო ლეკიშვილი; გაერთიანებული ქართული ბანკი; "მაკდონალდსი"; საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი; "ჰუმან-დიაგნოსტიკ-ჯორჯია"; დავით ფულარიანი.

გუშინ მათ საზეიმოდ გადაეცათ ბავშვთა საავადმყოფოს მეგობრის სიგელი. ასეთი სიგელი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გახსნილი გადაუდებელი დახმარების მიმღები განყოფილება საქართველოს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერი მოქალაქის მიღებისთვისაა მზად, ობიექტური მიზეზების გამო, მისი ძირითადი პაციენტები დედაქალაქელი ბავშვები იქნებიან. ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი შეღავათია თბილისის ახალი ხელმძღვანელობისთვისაც. თუმცა, ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინდელ პრეზენტაციას სხვა კუთხითაც აფასებს: **"ისეთი მწირი ბიუჯეტის პირობებში, როგორიც ქალაქს აქვს, ფუნდამენტურად აუცილებელია, საზოგადოების ბაზისური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ინიციატივა გამოიჩინოს კერძო ბიზნესმა. რაც დღეს ხდება, ამის პრეცედენტია - ერთ-ერთმა კერძო სტრუქტურამ, კერძოდ, "რუსთავი-2"-მა აჩვენა, რომ არ არის საჭირო, გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად მაინცდამაინც სახელმწიფოს დაველოდოთ. ბევრი რამ შეიძლება თვითონ საზოგადოებამაც იტვირთოს."**

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 არქიტექტურა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




**ეთნოგრაფიული მუზეუმი**

**ფოლკლორის ფესტივალი Art-გენი**
15:00 სთ. – თითების თეატრი
17:00 სთ. - ფოლკლორი: ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ლეჩხუმი
21:00 სთ. – "მწვანე ოთახი"

**თეატრები**

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ფესტივალ "საჩუქრის" გახსნა:
მიხეილ თუმანიშვილის წიგნის პრეზენტაცია
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზების გადაცემა. ლაურეატები: მედეა კუჭუხიძე, გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე
დას: 18:00 სთ.

მოსკოვის თეატრი სტანისლავსკის სახლთან
"კინოსეანსის წინ"
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"მუუ..."
რეჟ. ზურაბ ქიქოძე
დას: 20:00 სთ

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი ვაჭარი"
რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
დათა გულუა
"მე იალქანი უნდა გავშალო"
ავტორი და შემსრულებელი: მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ.

**უცხო ენების ინსტიტუტი**
(სააქტო დარბაზი)
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის
თეატრალური დასის წარმოდგენა
დას: 16:00 სთ.

**კინოთეატრები**

**ამირანი**
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**გამოფენები**
**საქართველოს ხელოვნების მუზეუმი**
"XX საუკუნის ქართული ხელოვნება"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
აჭარელ, აფხაზ და ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი**
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

**"ჰობი"**
გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**6 ივნისს**
გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 3 ივნისს,** 17:00 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება" - გიგი სულაკაური თემა: "მოგონებების მოლეკულები"

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## ნიკოლოზ ცისკარიძე სცენას უბრუნდება

ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სახალხო არტისტი ნიკოლოზ ცისკარიძე სცენას დაუბრუნდა. 13 ივნისს იგი ჩაიკოვსკის ბალეტში "მძინარე მზეთუნახავი" მთავარ პარტიას შეასრულებს. შემოდგომაზე კი ნიკოლოზ ცისკარიძე ყველა თავის სარეპერტუარო სპექტაკლში იცეკვებს. როგორც ცნობილია, მოცეკვავემ შარშან, პარიზში ყოფნისას ფეხის ტრამვა მიიღო. *მედია-ნიუსი*

## პაატა ბურჭულაძე თბილისში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ივნისში გასტროლიორებს უმასპინძლებს.

ოპერის თეატრის პირველი სტუმარი 5-6 ივნისს ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე იქნება. ცნობილი ბანი თბილისში ჯუზეპე ვერდის "დონ-კარლოსში" იმღერებს.

პაატა ბურჭულაძის წარმოდგენები საქველმოქმედოა. შემოსული თანხა უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდში - "ივნანა" გადაირიცხება. ოპერის თეატრის სცენაზე სანქტ-პეტერბურგის მარიას თეატრის სოლისტები: მზია ნიორაძე და იური ალექსეევი ჟორჟ ბიზეს "კარმენში" იცეკვებენ. წარმოდგენა 19 ივნისს გაიმართება. საგასტროლო ტურნეს 27 ივნისს კუბის ნაციონალური ბალეტი დაასრულებს. სოლისტები: ლაურა ჰორმიგონი და ოსკარ ტორადო მინკუსის "დონ კიხოტს" იცეკვებენ. *მედია-ნიუსი*

# საშიში კომედია თუმანიშვილის თეატრში

თეონა ჯაფარიძე

ეტყობა მოლიერის "ტარტიუფი" მაგნიტივით იზიდავს წვრილმან თუ მსხვილმან სახელმწიფო ინტრიგებს. ამბობენ, ბატონ ჟან ბატისტს არც ერთი თავისი პიესისათვის არ უბრძოლია ისე, როგორც "ტარტიუფისათვის" იბრძოლა. პიესა ხელისუფლებამ აკრძალა სამღვდელოების ზეწოლით. მაგრამ, სამღდელოებას ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ პიესის ისტორიის დროს აუცილებლად მოიხსენიებენ მოლიერის დასისა და უშუალოდ ამ სპექტაკლის მფარველს, ანუ როგორც დღეს ამბობენ, სპონსორს, ფილიპ ორლეანელსაც.

სიტყვამ მოიტანა და ფესტივალი "საჩუქარი" გუშინ საღამოს სწორედ დავით საყვარელიძის რეჟისურით დადგმული "ტარტიუფით" უნდა გახსნილიყო. არა, სპექტაკლის აკრძალვისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, უბრალოდ, ფესტივალმა გადაინაცვლა ერთი დღით გვიან და პრემიერა თავისი პროგრამიდან ამოვარდა იმ მიზეზით, რომ სპექტაკლის სპონსორის – "მაგთის" წარმომადგენელთა მოწვევას პრემიერაზე (რაც ოდითგანვე თეატრალურ ეთიკაში მიღებული ჟესტია) ფესტივალის დირექცია მოერიდა. არადა, ალბათ ჯერ კიდევ შარშანდელ "საჩუქარზე" დიდად ბედნიერად ჩათვლიდა თავს ფესტივალის დირექცია, ზემოთ აღნიშნულ პიროვნებებს პატივი რომ დაედოთ იქ მიბრძანებით. იმის თქმა კი არ მინდა, რომ "დრონი მეფობენ და არა მეფენი" (ჩვენ ხომ თეატრზე ვსაუბრობთ და არა პოლიტიკაზე), არამედ იმის შეხსენება მინდა, რომ "ტარტიუფი" გახლავთ პიესა მლიქვნელობაზე, ტარტიუფი კი ცნობილი მლიქვნელი პერსონაჟია, რომელიც ისევ მეფემ დასაჯა მლიქვნელობისათვის.

და ისევ პიესის ისტორიას ვუბრუნდებით: როგორც ამბობენ, ვერსალში ჩვენების შემდეგ სამღვდელოებამ ის "საშიშ კომედიად" მონათლა, პარიზის არქიეპისკოპოსმა კი ამ პიესის ყურება კი არა, არამედ წაკითხვა და მოსმენაც კი აკრძალა. რატომ? იმიტომ რომ, მთავარი გმირი ტარტიუფი, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანის სახელით ყველას მორალს უკითხავს, წარამარა იწერს პირჯვარს, ლოცვის დროს ყოველ ოთხ წამში ერთხელ მუხლს იყრის ღვთის წინაშე. რა თქმა უნდა, ყველას დასანახად, სინამდვილეში საღმრთო რჯულს არად დაგიდევთ და ცოდვას ცოდვაზე სჩადის. ეს ისე, უბრალოდ, პიესის მოკლე შინაარსი შეგახსენეთ, თორემ რა შეხსენება გვჭირდება. რეალობაში ასეთ სიტუაციას ბატონი მოლიერის გარეშეც მშვენივრად ვიცნობთ.

მაგრამ, მოდით, ბოლოს და ბოლოს, გუშინდელ პრემიერაზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა: რეჟისორმა სცენა ორჯერ გაზარდა და ამფითეატრში ღრმად შეიჭრა. მაყურებელთა სკამები კი სცენის სამივე მხარეს განალაგა (განახლებული თეატრის ახალი სცენა ამის შესაძლებლობას იძლევა). მსახიობები ძალიან ახლოს აღმოჩნდნენ მაყურებელთან, მაგრამ ამ რისკიანმა ნაბიჯმა, პირიქით, უფრო გაზარდა მათი თამაშის ხარისხი. გუშინდელი საღამო, პირველ რიგში, ნინელი ჭანკვეტაძის გახლდათ (ელმირას როლი), მაგრამ, ვფიქრობ ტარტიუფზე – გიორგი ნაკაშიძეზე ხომ არ უნდა მეთქვა იგივე? მეტად ექსტრავაგანტული სახე შექმნა ახალგაზრდა მსახიობმა ვანო თარხნიშვილმა (ვალერის როლი). სცენაზე კინომსახიობთა თეატრის ძველი გვარდია ძველებურ ფორმაში წარდგა: ლაურა რეხვიაშვილი, ნინო ბურდული, პაატა ბარათაშვილი და გია აბესალაშვილი. ზურაბ გეწაძემ კლეანტის საინტერესო სახე შექმნა. დამწყები მსახიობი ნათია ფარჯანაძე (მარიანას როლი) კი მშვენივრად მოერგო კინომსახიობთა თეატრის სცენასა და ესთეტიკას. პირველი მოქმედების შემდეგ კი, თეატრის ფოიეში ყველა პოლინა რუდჩიკის კოსტიუმებზე ლაპარაკობდა. მეორე მოქმედება კიდევ უფრო დინამიკური და ცოცხალი აღმოჩნდა. ეტყობა, მსახიობები "გახურდნენ". ბოლოს კი ფინალში "ქორწილის" სცენის დროს, რომელიც იმავდროულად "პაკლონიც" გახლდათ (ფეიერვერკული რევერანსებით), დარბაზში თეატრალები ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: "ეტყობა, რომ რეჟისორს მიხეილ ივანიჩის სკოლა აქვს გავლილი".

დათო საყვარელიძის "ტარტიუფი" ზუსტად მოერგო კინომსახიობთა თეატრის არქიტექტურასაც და ამ თეატრის თავდაპირველ იდეაში ჩადებულ ესთეტიკასაც, რასაც მიხეილ თუმანიშვილის ესთეტიკას უწოდებენ, ოღონდ, რასაკვირველია, ინდივიდუალური და სიახლის ელემენტების თანხლებით.

და ისევ ისტორიიდან: მას შემდეგ, რაც ლუდოვიკო მეთოთხმეტემ ბატონ მოლიერს "ტარტიუფის" თამაშის ნება დართო, მსახიობებმა იმ სეზონზე პიესა 37-ჯერ ითამაშეს, თეატრმა კი 85 ათასი ლივრის მოგება ნახა.


*გიორგი ნაკაშიძე და ნინელი ჭანკვეტაძე*


თემურ სუხიტაშვილის ფოტოები

*სცენა სპექტაკლიდან "ტარტიუფი"*

# ტრადიციული ზეიმი

მერი დავითაშვილი ახალი თაობის სამსახურში რჩება

ნანა ბასილაშვილი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე გუშინ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეებმა კომპოზიტორთა კავშირში "ბავშვთა მუსიკის კვირეულის" გახსნით აღნიშნეს. ეს არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა გახლდათ. ბოლო დროს ჩვენში თუკი ზედიზედ, ორი წლის მიყოლებით, რაიმე ღონისძიება გაიმართება, მას თავისუფლად ტრადიციულის სტატუსი ენიჭება. ამის ფონზე, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მიერ დაარსებული "საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულს" მხოლოდ ტრადიციული რომ ვუწოდო, მეცოტავება კიდეც. აგერ უკვე 33 წელიწადია, რაც მერი დავითაშვილის თაოსნობით, მუსიკალური საზოგადოება ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანი კვირეულების მომსწრე ხდება. საბავშვო კომპოზიტორმა 33 წლის წინათ, იგი სწორედ 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დააარსა და მას შემდეგ ყოველ წელს ბავშვებთან ერთად აღნიშნავს.

33 წლიანი ისტორიის მქონე კვირეულის მონაწილეთაგან დღეს ბევრი უკვე ჩამოყალიბებული მუსიკოსია. ამ წლების განმავლობაში კვირეული, ალბათ, ბევრი საინტერესო მოვლენის მომსწრე გამხდარა. ყოველწლიურად ფართოვდება კვირეულის მასშტაბები პატარა ნიჭიერი მუსიკოსებით. წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეთა ტრადიციული სიმფონიური მუსიკის კონცერტი სამ (ორმოქმედებიან) კონცერტად დაიყო. კონცერტს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ტაკიძე დირიჟორობდა. კვირეული პირველკლასელებმა გახსნეს. პატარა, შემსრულებლებში ედუარდ სააკაშვილიც იყო. გახსნას საქართველოს პირველი ლედიც ესწრებოდა. ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენისა და შუმანის ნაწარმოებების მაღალ დონეზე შესრულებისთვის, მაყურებელი ქართული მუსიკალური გიმნაზიის მოსწავლეებს მქუხარე ტაშითა და ყვავილებით აჯილდოვებდა.

**"ამ კონცერტს მთელი წლის განმავლობაში ვამზადებთ. დღევანდელი დღე მხოლოდ ჩემი დამსახურება ნამდვილად არ არის, ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი თავად ბავშვებს მიუძღვით. ძალიან მახარებს, რომ ეს ბავშვები სწორი მიმართულებით ვითარდებიან. ჩვენი მიზანი სწორედ ის არის, რომ აქ მოსული ბავშვები, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან დაბალი ხარისხის ესტრადის წარმომადგენლებისაგან, სრულფასოვნად აღიზარდონ. ვცდილობთ, ჩავუნერგოთ ჭეშმარიტი მუსიკის ცოდნა და სიყვარული. მიუხედავად საბოლოო პროფესიისა, მჯერა, რომ მუსიკა მათი ცხოვრების განუყრელი ნაწილი იქნება. ვიმეორებ - ჩემი უპირველესი მიზანია, აღვზარდო ყველა ბავშვი, არ არის სავალდებულო მათგან ყველა მუსიკოსი გამოვიდეს, თუმცა თუკი ამის სურვილი ექნებათ, შესაბამისი კადრები ნამდვილად გვყავს"**, - ამბობს კომპოზიტორი მერი დავითაშვილი.

"საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულის" პროგრამა ძალზედ საინტერესო, მრავალფეროვანი და ყველაფერთან ერთად, საკმაოდ დატვირთულია. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბოლო დროს მუსიკალურ სფეროში საკმაოდ დიდი აღმავლობა იგრძნობა (ამ შემთხვევაში საბავშვო მუსიკალურ სფეროს ვგულისხმობ). ამას ხელს უწყობს ისიც, რომ საკმაოდ ხშირად იმართება კონკურსები, სადაც უამრავი ნიჭიერი კადრები იკვეთება. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ეს პატარები გვევლინებიან საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართული კონცერტების ლაურეატებად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ყველაფრისა ("ბავშვთა მუსიკალურ კვირეულს" წელს კომპოზიტორთა კავშირი მასპინძლობს, რადგანაც ქართული სამუსიკო გიმნაზიის დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია), მუსიკალური სასწავლო პროცესი, ჩვენში საკმაოდ მაღალ დონეზეა.

სიმფონიური მუსიკის კონცერტი გუშინ წარმატებით დასრულდა. "ბავშვთა მუსიკის კვირეულს" დღეს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები განაგრძობენ. კვირეულში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების მოსწავლეები, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე. ქართული მუსიკის კონცერტს ნორჩ შემსრულებელთა IV საქალაქო კონკურსის ლაურეატები გამართავენ. "საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულის" ერთ-ერთი საინტერესო მოვლენა ქართველ კომპოზიტორთა ახალი საბავშვო ნაწარმოებებისა და ნორჩ კომპოზიტორთა შემოქმედების წარმოდგენა იქნება.

**"მეამაყება, რომ მუსიკალურ სფეროს ასეთი ბავშვები ეზრდება. ისინი XXI საუკუნის მუსიკოსების მაღალი დონის კადრები არიან. ჩვენს კვირეულს საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა აქვს და მასში უფრო და უფრო მეტი ბავშვი მონაწილეობს. თუმცა, მასშტაბური მრავალმხრივობით ვერ ვიამაყებთ. არადა, იყო დრო, როდესაც მთავრობიდან დაფინანსება გვქონდა და "ბავშვთა მუსიკის კვირეულს" მთელი საქართველოს მასშტაბით ვმართავდი, სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რაც არეულობის შემდეგ გაქრა, მაგრამ, ალბათ, ეს ყველაფერი კვლავაც აღდგება"**, - იმედოვნებს მერი დავითაშვილი და რიგით 34-ე "ბავშვთა მუსიკის კვირეულისთვის" ემზადება.


იური ლობოდინის ფოტო

*დირიჟორი ტაკიძე და ნორჩი პიანისტი*

# ამაოების კოცონი

### ის, რაც ისტორიას ამახსოვრდება







*"განადგურებული ვარ", - ეს იყო პირველი კომენტარი, რომელიც ცნობილმა ბრიტანელმა კოლექციონერმა ჩარლზ საათჩიმ ხელოვნების ნიმუშებით სავსე საწყობში გაჩენილი ხანძრის შემდეგ გააკეთა. იმ დღეს დაიწვა ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი მხატვრების ცნობილი და სკანდალური ექსპონატები – დემიენ ჰირსტის, ტრეისი ემინის და ძმები ჩეპმენების ხელოვნების ნიმუშები. თუმცა, ამ შოკური ახალი ამბიდან რამდენიმე დღის თავზე გაზეთმა "გარდიანმა" საათჩისთვის არანაკლებ შოკური წერილი გამოაქვეყნა. საერთო ვიშვიშის ფონზე პიტერ კონრადმა ლეიტონის საწყობში მომხდარი ხანძარი კულტურის სფეროში მომხდარ ძველ კატასტროფებს შეადარა და დაასკვნა, რომ ხელოვნების ისტორია, რომელიც მომავალში დაიწერება, საათჩის ახლახან დამწვარ კოლექციას არც მოისაკლისებს და არც გაიხსენებს. წერილის დასაწყისში დასმული კითხვა დაახლოებით ასე ჟღერს – როგორ შეაფასებს 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებული ექსპონატების დაწვის ფაქტს ისტორია? ტრაგედია იქნება ეს თუ უბრალოდ უბედური შემთხვევა? აი, როგორია პიტერ კონრადის პასუხი – ცნობილი ავტორისა, რომლის წიგნიც ორსონ უელსის ცხოვრების შესახებ გამომცემლობა "ფაბერმა" წელს გამოცა.*

კულტურული კატასტროფების საერთო ქრონიკაში საათჩის საწყობის ხანძარი საერთოდ არ "გატარდება" – ასეთია დასკვნა, რომელსაც პიტერ კონრადი პირველივე აბზაცებში აკეთებს.

ის იხსენებს ქრისტეს დაბადებამდე 50 წლით ადრე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვის ფაქტს – საშინელ ხანძარს, რომელმაც კლასიკური ლიტერატურის მთელი კორპუსი გაანადგურა ესქილეს 90 ტრაგედიისა და არისტოფანეს 30 კომედიის ჩათვლით.

არანაკლებ მასშტაბურმა ხანძარმა 1577 წელს ფერფლად აქცია დოჟის სასახლე ვენეციაში და ტიციანის ტილო საბრძოლო სცენით. ხოლო 1698 წელს მსახურის უყურადღებობის გამო დაიწვა უაითჰოლის სასახლე და ჰოლბეინის ფრესკა, რომელზეც ჰენრი მერვე იყო ასახული ოჯახითურთ.

არანაკლებ დიდი ზიანი მიაყენა ხელოვნებას წყლის სტიქიამაც. 1966 წელს საშინელმა წყალდიდობებმა ფლორენციის ისტორიული ღირსშესანიშნაობები 600 ათასი ტონა შლამითა და ჭუჭყით აავსო – ტაძრები, ბიბლიოთეკები – სტიქიას ვერაფერი გადაურჩა.

"აი, ეს ტრაგედიაა. ხოლო, ის, რაც ლეიოტონში მოხდა, ან უბედური შემთხვევაა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დაგვიანებული ესთეტური წმენდაა", - ასკვნის კონრადი და რეჟისორ ჯეიმს კამერონის კრიმინალსაც იხსენებს, რომელმაც მსგავსი ტრაგედია ბლოკბასტერ "ტიტანიკში" თვითონ გამოიგონა: ფილმში კეიტ უინსლეტის გმირს ნიუ იორკში უძვირფასესი ტილოები მიაქვს – პიკასოს ავინიონელი ახალგაზრდა ქალები, მონეს წყლის შროშანებით სავსე ტბა და დეგას ბალერინა. მაგრამ, როდესაც უინსლეტი გემბანიდან გარბის, თან მხოლოდ საქმროს ნაჩუქარი ძვირფასი სამკაული მიაქვს, ნახატები კი არც ახსენდება. ასე წირავს რეჟისორი ოკეანის ფსკერზე წყლის ბინადართა "მუზეუმისთვის" მხატვრობის შედევრებს. ახლა, თუ კამერონის ფანტაზიას ვენდობით, მონეს შროშანებიანი ტბის "ნაპირას" ოკეანის თევზები დაცურავენ.

კონრადის დასკვნით, შეუძლებელია აზრი და ლოგიკა ეძებო იმ სტიქიებსა და კატასტროფებში, რომელთაც ხელოვნების ნიმუშები ეწირება. თუმცა, მისი აზრით, რაღაცების ახსნა მაინც შეიძლება. ხანდახან ადამიანთა მახსოვრობიდან იმიტომ იშლება ხოლმე გარკვეული ფაქტები, რომ შემდეგ კაცობრიობამ ახლის შექმნა შეძლოს. ეს, ასე ვთქვათ, ისტორიული კანონზომიერებაა.

კონრადი გვიყვება: ხელოვნების ნიმუშების განადგურება ის რიტუალია, რომელსაც თითქმის ყველა დროის ხალხი საზეიმოდ აღასრულებდა – გუთები არბევდნენ რომს 410 წელს; პურიტანები ამსხვრევდნენ ინგლისური ტაძრების უმშვენიერეს ვიტრაჟებს 1640-იან წლებში; თალიბები აფეთქებდნენ ბუდას გიგანტურ ქანდაკებებს სულ რაღაც ორიოდე წლის წინ; ხოლო ყაჩაღები პირწმინდად ასუფთავებდნენ ბაღდადის მუზეუმებს ისტორიული განძისგან – შარშან.

ეს "საზეიმო ვანდალიზმი" მოდერნისტების პროგრამაშიც აქტუალურ თემად იქცა. ფუტურისტმა მარინეტიმ მუზეუმი მთქნარებისმომგვრელ, მოსაწყენ სასაფლაოდ შერაცხა. მარსელ დუშამმა კი მუზეუმების მესვეურებს ირონიულად შესთავაზა, რემბრანდტები გალერეების კედლებიდან ჩამოეხსნათ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ჩაეშვათ, მაგალითად, საუთოო დაფების როლში. მათ ტოლს არც მილან კუნდერას "უკვდავების" პერსონაჟი უდებდა. მალერის სიმფონიები დავანაკუწოთ და საპირფარეშოს ქაღალდის სარეკლამო რგოლებში თანმხლებ მუსიკად გამოვიყენოთო, - ამბობდა ის.

ძველ ხელოვანებს სურდათ ისეთი ნიმუშების შექმნა, რომლებიც დროს გაუძლებდა. შექსპირი და სპენსერი საკუთარ ნაწარმოებებს აღიქვამდნენ საყვარელ პირმშოებად, რომელთაც მათთვის უკვდავება მოჰქონდა. დღეს კი, კონრადის თქმით, ხელოვანები სხვაგავრად ფიქრობენ. ისინი საკუთარ შემოქმედებას არ განიხილავენ ძვირფასი შთამომავლობის რანგში, რომელიც მათ გენს საუკუნეების მანძილზე აჩუქებს სიცოცხლეს. მეტიც, ტრეისი ემინის ტენტზე, მისი თანამეცხედრეების სახელებთან ერთად, ამოქარგულია იმ ბავშვის შესაძლო სახელიც, რომლის აბორტიც თვითონ გაიკეთა. და მუცლის მოშლა რა არის სხვა, თუ არა მომავალსა და შთამომავლობაზე უარის თქმა? – ასკვნის მწერალი და რამდენიმე აბზაცის შემდეგ თვით ამ აურზაურის მიზეზს, ჩარლზ საათჩის მოქალაქე კეინს ადარებს. ორსონ უელსის ეს სახელგანთქმული პერსონაჟიც აგროვებდა სტატუეტებს და ძალზე იშვიათად ახსენდებოდა ისინი. თავისი კოლექციით სავსე სახლში ცხოვრება არც საათჩის შეეძლო და, როგორც კონრადი აცხადებს, ისინი მას მხოლოდ პოპულარობის მოსაპოვებლად სჭირდებოდა. ჰირსტისა და ემინის უსარგებლო ხელოვნებაში გადახდილი აბსურდული თანხები სინამდვილეში ჭკვიანური ინვესტიცია იყო, რომლითაც საათჩიმ სახელი "ამოიგო".

მთელი ამ ისტორიული ექსკურსისა და მსჯელობის შემდეგ პიტერ კონრადის საბოლოო დასკვნა ასეთია: გლოვისთვის მიზეზი არ არსებობს – ხელოვნება, რომელიც ხანძარმა გაანადგურა, ისედაც გადასაყრელი იყო. "საინტერესოა, რომ ჰირსტმა თავისი შემოქმედებითი პორტფოლიო გაამრავალფეროვნა და რესტორნების გახსნა დაიწყო: ჭამაც ხომ ხელოვნებაა, წამიერად გემრიელი და ლამაზი და შემდეგ – საპირფარეშოში ჩარეცხილი... წყალი შეიძლება ჭუჭყიანი – იმ ტალღების მსგავსად 1966 წელს ფლორენცია რომ წალეკა, მაგრამ ცეცხლი კი თვითონაც სუფთაა და სხვასაც განწმენდს. მოკლედ, რა საჭიროა კრიტიკა, როცა ალტერნატივად შეიძლება კრემაცია მოგვევლინოს" – ასეთია ქარაგმებითა და ირონიით სავსე დასასრული, რომელიც, სავარაუდოდ, ჩარლზ საათჩის კიდევ უფრო "გაანადგურებს", ვიდრე საწყობში გაჩენილი ხანძარი.

# „ხარისხის ნიშნის" კავალერი

### დევიზით: "ჯანსაღ გარემოში ჯანსაღი დროსტარება"

ვერა ნეფარიძე

*დღეს ბოულინგ-ცენტრში ფონდი "ქართული ხარისხი" ხარისხის ნიშანს GMC-ჯგუფს მიანიჭებს. დაჯილდოების ცერემონიალი "ბოულინგ ცენტრის" დაბადებიდან ხუთი წლისთავის იუბილესაც ემთხვევა - GMC-ჯგუფი ხომ რამდენიმე კვების პუნქტის გარდა, თბილისში პოპულარულ დასასვენებელ-გამაჯანსაღებელ ცენტრსაც აერთიანებს.*



რა საერთო აქვს რუსულ რესტორან "მატრიოშკას", ტრადიციული სუფრის მოყვარულების ბოლო დროის ნავსაყუდელს "ძველ სახლს", თბილისში იაპონური სამზარეულოს პიონერს "ტოკიოს", ბათუმში ფრანგული სტილის კაფე "პორტო ფრანკოსა" და "ბოულინგ ცენტრს?" ეს საერთო თითოეული ობიექტის ხარისხია, - ასე გადაწყვიტა "ქართულმა ხარისხმა". გადაწყვეტილებას კი რამდენიმე მოტივიც უმაგრებს ზურგს. თუნდაც ის, რომ თბილისში ბოლო დროს მნიშვნელოვან სტუმრებს აქ უმასპინძლდებიან (მათ შორის რუს ბიზნესმენებსაც), უკვე მეტყველებს ამ რესტორნის სტატუსზე.

საქართველოში რამდენიმე კაფე-რესტორნის მფლობელობა ახალი ნამდვილად არ არის. მაგრამ, სულ სხვაა, როდესაც იაპონურ, ქართულ, რუსულ და ფრანგულ საკვებ პუნქტებში რაღაც საერთო ხელწერას აღმოაჩენ. ამ ხელწერით, ერთიანი მენეჯმენტით არსებობს GMC-ჯგუფი. მასში დღესდღეობით შვიდი ობიექტია გაწევრიანებული. მათ შორის ყველაზე ახალი 26 მაისს ბათუმში გახსნილი ლუდის რესტორანი "პორტო ფრანკოა". "ეს სახელწოდება რესტორანს განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს, რადგანაც როდესაც ეს სტატუსი ბათუმს 1778 წელს მიენიჭა, ქალაქმა შეინარჩუნა ის მდგომარეობა, რომ სიდიდით მესამე საპორტო ქალაქი ყოფილიყო რუსეთის იმპერიაში; აჭარის ეკონომიკამ კი მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა უცხოურ კაპიტალდაბანდების ხარჯზე", - ამბობს GMC-ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მაკო ჯაოშვილი. სხვათა შორის, აჭარის ეკონომიკური წინსვლა "პორტო ფრანკოს" სტუმრიანობაზეც აისახება. ამ რესტორნის ერთი ნაწილი ხომ სწორედ ბიზნესმენებზეა გათვლილი – საქმიანი სადილებისთვის თუ კონფერენცია-შეხვედრებისთვის. მათ კი, ვინც "უსაქმოდ" შეივლის რესტორანში, შეუძლია არჩევანი გააკეთოს რაინდთა და მონადირეთა დარბაზებს შორის. ბათუმი GMC-ჯგუფისთვის ნაცნობი ქალაქია. "პორტო ფრანკომდე" ჯგუფმა ფრანგული სტილის კაფე "პრივეტ იზ ბატუმა" გახსნა და ამჟამად ქალაქის ერთ-ერთი პოპულარული საკვები პუნქტიცაა. მართალია, ჯგუფს თბილისში ასეთი სახის ობიექტი არ გააჩნია, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვით, რომ მისი ობიექტები ქალაქში პოპულარული არაა. მარტო რამდენიმე სახელის – "ძველი სახლისა" და "მატრიოშკას" ხსენებაც კი კმარა.

"ჩვენი კომპანიის სამუშაო მიმართულებაა, ყოველ მის ობიექტს, გარკვეული დატვირთვა ჰქონდეს. მაგალითად, გვაქვს ნაციონალური სამზარეულოს წარმდგენი რესტორანი, სადაც ინტერიერიც კი ეროვნული იერ-სახისაა - ხეში და ქვაშია შესრულებული. "ძველი სახლი", ფაქტობრივად, მინიეთნოგრაფიული მუზეუმია; ყოფითი საგნების სხვადასხვა აქსესუარებით დაწყებული, მუსიკალური პროგრამის ჩათვლით. ჰყავს საკუთარი მედუდუკეთა ანსამბლი; "მატრიოშკაში" რუსული სულია, რაც გამდიდრებულია რუსული ფოლკლორის ელემენტებით. ჩვენ გავხსენით თბილისში პირველი იაპონური რესტორანი "ტოკიო" – ცნობილია, რომ იაპონური სამზარეულო ჯანსაღი კვების წესს ამკვიდრებს; ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას ცდილობს, ასევე, "ბოულინგ ცენტრი", - GMC-ჯგუფის კომპანიის მენეჯმენტის თავისებურებებზე საუბრობს მაკო ჯაოშვილი. კომპანიას აქვს საკუთარი დევიზი - "ჯანსაღ გარემოში ჯანსაღი დროსტარება" და ცდილობს მიაღწიოს, შექმნას ესთეტიკური გარემო სოციალური სტრესებით დამძიმებული საზოგადოებისთვის; რამდენად ართმევს ამ ყველაფერს თავს, ამაში GMC-ჯგუფის კაფე-რესტორნების მონახულების შემდეგ დარწმუნდებით. თუ, რასაკვირველია, ფინანსურადაც შესაბამისად ხართ მომზადებულნი.

როგორ იქცა ცურვის ვარსკვლავი კინოს ლეგენდად

## ჯონი ვაისმიულერი ასი წლისაა




### რამდენიმე საინტერესო ფაქტი

## ფეხბურთი

# კანი "ბაიერნიდან" მიდის



ოლივერ კანი საფეხბურთო კარიერას უცხოეთში გააგრძელებს

"ბაიერნის" ბოლო ათწლეულის სიმბოლო ოლივერ კანი მიუნხენურ კლუბს ტოვებს. ფეხბურთელს, რომელსაც 2006 წელს გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტი უნდა დაეკავებინა, სურს, საფეხბურთო კარიერა საზღვარგარეთ განაგრძოს.

"მინდა, უცხოურ ტოპ-კლუბში გადავიდე - განაცხადა კანმა სააგენტო SID-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, - და ამ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა და ეროვნული ჩემპიონატი მოვიგო". კანმა განაცხადა, რომ თავისი სურვილის შესახებ უკვე აცნობა კლუბის ხელმძღვანელობას - ფრანც ბეკენბაუერს, კარლ-ჰაინც რუმენიგეს და ული ჰიონესს. "თუ ჩემი წასვლის ვარიანტი არსებობს, ეს მხოლოდ ამ ზაფხულს მოხდება", - შეფები ფაქტის წინაშე დააყენა 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა.

განვლილი სეზონი კანისთვის, მართლაც, წარუმატებელი აღმოჩნდა. სუპერ-ოლის საშინელმა შეცდომებმა ბევრ შემთხვევაში განაპირობა კიდეც ის, რომ "ბაიერნმა" ვერ შეძლო ეროვნული ჩემპიონატის მოგება. კანის საბედისწერო ფოკუსმა კი მადრიდის "რეალთან" შეხვედრაში "ბაიერნის" წინაშე შლაგბაუმი აღმართა და კლუბს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. დაბოლოს, რუმინეთის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში კანმა მოახერხა და პირველივე ტაიმში ოთხი გოლი გაუშვა, რის გამოც რუდი ფიოლერი იძულებული გახდა, მეკარე შეეცვალა.

ამის შემდეგ გახშირდა ჭორები იმის თაობაზე, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარს არა კანი, არამედ იენს ლემანი დაიცავს. ფიოლერის გადაწყვეტილება ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ კანმა რაღაც უნდა შეცვალოს, რათა პლანეტის საუკეთესო მეკარის რეპუტაცია შეინარჩუნოს. სპორტული ხასიათის პრობლემებს დაემატა პრობლემები პირად ცხოვრებაშიც. შარშან კანი მეუღლეს გაეყარა და ცხოვრება დაუკავშირა გოგონას, რომელიც მასზე 10 წლით უმცროსია. რომანი საბინა კერტთან, რომელიც კანს საქორწინოდ მადრიდშიც კი გაჰყვა, მტკიცე არ აღმოჩნდა. აპრილში ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

"ბაიერნიდან" კანის წასვლა მიუნხენური კლუბისთვის კატასტროფა არ უნდა იყოს. უკვე დიდი ხანია, რაც თავის შანსს ელოდება კანის დუბლიორი, გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე მიხაელ რენზინგი, რომელიც ამჟამად ული შტილიკეს გუნდში 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გერმანიის ნაკრების კარს იცავს.

პრინციპში, კანისთვის დაპირებული გენერალური მენეჯერის პოსტი არსად დაიკარგება. კარლ-ჰაინც რუმენიგე კლუბის ვიცე-პრეზიდენტია, მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლების შუაში მილანის "ინტერის" ღირსებას იცავდა. ამდენად, საფიქრალია, რომ რწმენაშერყეულ კანს გუნდიდან უპრობლემოდ გაუშვებენ. ამასობაში მიუნხენში სხვა ფეხბურთელის ვარსკვლავი ამოდის. კარსტენ რამელოვის უარის შემდეგ ნაკრებში გამოიძახეს მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველი ბასტიან შვაინშტაიგერი. აქამდე ეროვნული ნაკრების ღირსება მას არასოდეს დაუცავს.

# საესი ნაკრებში 2006 წლამდე დარჩება

ინიაკი საესმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გააგრძელა. ახალი შეთანხმების საფუძველზე, საესი ესპანეთის ნაკრებს 2006 წლამდე უხელმძღვანელებს.

საესის კონტრაქტს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გასდიოდა ვადა. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ მწვრთნელი იღებდა ვალდებულებას, გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაეყვანა. მას შემდეგ, რაც ესპანელებმა გადათამაშებაში ნორვეგიის ნაკრებს სძლიეს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. საესი დიდი ხნის განმავლობაში უარზე იყო, მაგრამ ჩინოვნიკებმა, რომლებსაც ამ საკითხში სიტუაციის გარკვევა სურდათ, თავისი გაიტანეს. ახალი შეთანხმება 2006 წლამდე იქნება ძალაში. საესს არაერთხელ უთქვამს, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს. ახლაც, ახალი შეთანხმების კომენტირებისას, მან განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი გახდა ფედერაციისა და მოთამაშეების მხარდაჭერა.

ინიაკი საესი ესპანეთის ნაკრებს 2002 წლის 2 ივლისს ჩაუდგა სათავეში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საკუთარი სურვილით ნაკრების მწვრთნელის პოსტი დატოვა ხოსე ანტონიო კამაჩომ, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, თუ როგორ მოექცნენ მსაჯები მის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ მეოთხედფინალურ მატჩში ესპანელებმა ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო მსაჯმა არც ერთი არ ჩათვალა.

კამაჩოს გადადგომის შემდეგ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელის შეცვლის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი ჰქონდა. ყველაზე მეტი ყურადღებით განიხილეს ხავიერ ირურეტასა და ლუის არაგონესის ვარიანტები. ორივე გამოცდილი მწვრთნელია, რომლებმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, თუმცა, შეთანხმებას წინ აღუდგა მოქმედი კონტრაქტები, რომლებიც მწვრთნელებს, შესაბამისად, "დეპორტივოსა" და მადრიდის "ატლეტიკოსთან" აკავშირებდა. ამიტომ ფედერაციის არჩევანი შეჩერდა ინიაკი საესზე, რომელიც 1996 წლიდან ესპანეთის სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებს ედგა სათავეში.

ექვსი წლის განმავლობაში ის სხვადასხვა გუნდს ავარჯიშებდა და მუდმივად წარმატებას აღწევდა. მისი ხელმძღვანელობით ესპანეთის 20 წლამდე ასაკის ნაკრებმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები, ევროპის ჩემპიონატი (19 და 21 წლამდე) და სამჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები ევროპის ჩემპიონატებზე (21 და 18 წლამდე). შედეგი - ექვს წელიწადში შვიდი საპრიზო ადგილი. საესს კარგი შედეგები აქვს ქვეყნის მთავარ გუნდშიც, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, 1994 წელს მოახერხა ევროპის ჩემპიონატის მოგება.



ინიაკი საესი ესპანეთის ნაკრებს 2006 წლამდე გაწვრთნის

საესმა ეროვნულ გუნდთანაც წარმატებით დაიწყო მუშაობა. პირველი ოთხი მატჩიდან გუნდმა სამი მოიგო - საბერძნეთთან, ჩრდილოეთ ირლანდიასთან და სომხეთთან, უკრაინელებს კი საშუალება მისცა, მეორე დამატებით წუთზე გაეთანაბრებინათ ანგარიში. შემდეგ ესპანელებმა ორი შეცდომა დაუშვეს. შინ, ბერძნებთან წააგეს და ორი ქულა დაკარგეს ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრაში. ბერძნებთან წაგება საესის ერთადერთი მარცხია მას შემდეგ, რაც ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. თუმცა, სწორედ ამ მარცხმა დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ ევროპის ჩემპიონატზე ესპანელთა გასვლა. ჯგუფში ესპანეთმა მეორე ადგილი დაიკავა და მას გადათამაშებაში მონაწილეობა მოუხდა. საკუთარ მინდორზე ნორვეგიასთან მატჩში ესპანელები მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ძლივს გაიმარჯვეს. მატჩის მსვლელობისას სკანდინავიელები იგებდნენ კიდეც, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა უაღრესად სერიოზული იყო. თუმცა, იმის საშიშროება, რომ ნორვეგიელები საპასუხო მატჩში სწრაფ გოლს გაიტანდნენ და შემდეგ ყრუ დაცვაში გამწესდებოდნენ, მაინც არსებობდა. ფეხბურთისთვის საბედნიეროდ, მატჩი აბსოლუტურად სხვა სცენარით განვითარდა. მეორე შეხვედრა 3:0 დასრულდა საესის გუნდის სასარგებლოდ. ალბათ, უსამართლობა იქნებოდა, რომ შესანიშნავად მოთამაშე ესპანელები ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენილიყვნენ.

მწვრთნელის მეორე მიღწევა მისი მუშაობის განმავლობაში გუნდის გაახალგაზრდავება გახდა. ამხანაგურ მატჩებში ესპანეთი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. რაულმა და კომპანიამ დაამარცხეს პერუსა და დანიის გუნდები. შემდეგ კი ფრედ ითამაშეს იტალიის ნაკრებთან მეტოქის მოედანზე. 5 ივნისს საესის გუნდი ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავს ანდორის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ესპანელებს უკვე ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრები ელოდება.

# რანიერი თავისუფალია

ინგლისის საფეხბურთო კლუბმა "ჩელსიმ" ოფიციალურად გამოაცხადა მთავარი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის გათავისუფლების შესახებ. იტალიელი სპეციალისტის შემცვლელი, რომელიც, სავარაუდოდ, "პორტუს" ყოფილი დამრიგებელი ჟოზე მოურინიოა, 48 საათში გამოცხადდება.

ჩუკოტკის გუბერნატორმა პრაქტიკულად განახორციელა ის, რასაც მთელი წლის განმავლობაში აპირებდა. "ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი გათავისუფლებულია.

რანიერის გათავისუფლების შესახებ ხმები მაშინვე გავრცელდა, რაც რუსმა მილიარდერმა კლუბი შეიძინა და ბოლო დრომდე არ წყდებოდა. თუმცა, თუ 2003 წლის ზაფხულში ბუნდოვანი იყო, რატომ უნდა გაეშვა აბრამოვიჩს ნიჭიერი იტალიელი სპეციალისტი, 2004 წელს განშორების ბევრი მიზეზი დაგროვდა. აბრამოვიჩმა ახალი ფეხბურთელების შეძენაზე 110 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი დახარჯა, მაგრამ ადეკვატური შედეგი ვერ მიიღო. გუნდმა კლაუდიო რანიერის ხელმძღვანელობით ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო. "ჩელსიმ" დათმო ქვეყნის თასი, ლიგის თასი, ვერ მოიგო პრემიერლიგის ჩემპიონატი და არც ჩემპიონთა ლიგა დაემორჩილა.

"კლაუდიომ კლუბში კოლოსალური სამუშაო შეასრულა და მომავალი წარმატების საფუძველი შექმნა. ჩვენ მას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებთ", - ნათქვამია გუნდის განცხადებაში. ამასთან, კლაუდიო რანიერიმ აღიარა, რომ პრემიერლიგაში დარჩენას აპირებს. "ვიმედოვნებ, რომ უკან დავბრუნდები. მე ინგლისში მუშაობა ძალიან კარგად გამომდის. მოხიბლული ვარ აქაური შემართებითა და ატმოსფეროთი, ამიტომ მსურს, მუშაობა აქ გავაგრძელო", - ამბობს რანიერი.

ლონდონური კლუბის წარმომადგენელმა რანიერის მემკვიდრის ვინაობა არ გაამხილა, მაგრამ პირობა დადო, რომ მწვრთნელის ვინაობა 48 საათში გაცხადდება. თუმცა, პრაქტიკულად ეჭვი არავის ეპარება, რომ ლონდონურ კლუბს სათავეში "პორტუს" მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ჩაუდგება.



რომან აბრამოვიჩმა, როგორც იქნა, გაუშვა კლაუდიო რანიერი

ბოლო ორი წლის განმავლობაში მოურინიოს ხელმძღვანელობით "პორტუმ" უაღრესად შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. შარშან გუნდმა უეფას თასი მოიგო, წლეულს კი - ჩემპიონთა ლიგა. ამასთან, "პორტუ" მთელი სეზონის განმავლობაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა.

ამასთან, მოურინიო არასდროს მალავდა, რომ ინგლისის პრემიერლიგაში მუშაობა ეწადა. "ეს ტურნირი საუკეთესოა მსოფლიოში. ნებისმიერს უნდა ხიბლავდეს პერსპექტივა, იმუშაოს ინგლისში და როცა ასეთი პერსპექტივა ჩნდება, ის უნდა გამოიყენო, - განაცხადა ჟოზე მოურინიომ, - იმედი მაქვს, ზაფხულში ინგლისში ვიქნები".

ისიც შესაძლებელია, რომ მოურინიომ ზაფხულში მოსკოვიც იხილოს. საქმე ის არის, რომ "ჩელსისა" და მოსკოვის ცსკას ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ზაფხულში ჩაატაროს რამდენიმე მასტერ-კლასი ინვალიდების, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისა და ეზოს გუნდებისთვის. ამის შესახებ გავრცელებულ პრესრელიზში ამბობს რუსეთში დიდი ბრიტანეთის საელჩო.

ეს მასტერ-კლასები დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - "სპორტი ყველასთვის" ფარგლებში ტარდება. პროექტის ძირითადი მიზანია, "მოხდეს სპორტის სფეროში საზოგადოებრივი დიპლომატიის უნიკალური გამოცდილების დემონსტრირება".

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 2 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "BOSTON CELTICS"- "NEW JERSEY NETS". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. იტალია – ხორვატია
14:55 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. ბელორუსია – სერბეთი და მონტენეგრო
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. შედეგები
17:50 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:20 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" – "მილანი"
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. გერმანია – პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:10 "დარტყმა გოლისთვის"
23:25 ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი – ბულგარეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:10 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. შვეიცარია – შვედეთი
02:55 02:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილ ლემბირი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. მე-7 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:20, 22:30 პრესცენტრი
11:20, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:35 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი". მეოთხედფინალი
13:50 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
14:55 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:00) პრესცენტრი
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 "Power week – NHL-ის კვირა"
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. მე-6 თამაში
01:30 ახალი ამბები
01:45 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" მონტე კარლოში
03:15 03:15-დან 05:35-მდე შესვენება
05:35 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ბრაზილია – არგენტინა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 თანამედროვე პენტატლონი. მსოფლიო თასი ჩინეთში
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური საბერძნეთში
13:00 მულტისპორტი
13:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
01:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
01:30 ახალი ამბები
01:45 ცხენოსნობა. ნაციის თასი - სამსუნგი იტალიაში
02:45 გოლფი. ევროპული ტური დიდ ბრიტანეთში
03:15 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
04:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლუიშ ფიგუ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ნაკრებს დატოვებს. პორტუგალიელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სერიოზულად გადაწყვიტა სანაკრებო კარიერის დასრულება. "ვფიქრობ, ნაკრებიდან წავალ. თუმცა, შეიძლება აზრი შევიცვალო. ყველაფერი ევროპის ჩემპიონატის შედეგებზე იქნება დამოკიდებული", - განაცხადა ფიგუმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საბერძნეთის საფეხბურთო კავშირმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა უახლოეს პერიოდში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფორვარდ დემის ნიკოლაიდისთან დაკავშირებით. ექიმები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელს ორკვირიანი მკურნალობა სჭირდება და პრაქტიკულად ვერ ითამაშებს ჯგუფური ტურნირის პირველ ორ მატჩს პორტუგალიასა და ესპანეთთან. ნიკოლაიდისის შემცვლელის რანგში განიხილება გერმანული "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი იანის ამანატიდისი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი დღემდე ვერ გარკვეულა, რომელ კლუბში გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას. ახლა მორიენტესი "რეალში" დაბრუნდა. ფორვარდი ელოდება კლუბის მწვრთნელის ხოსე ანტონიო კამაჩოსა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას. შეიძლება მორიენტესი კიდევ ერთხელ გაასხვისონ. მისი სატრანსფერო ფასი 30,6 მილიონი დოლარია. მინდა ვიცოდე, სად ვითამაშებ მომავალ წელს, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჯერჯერობით არ ვნერვიულობ", - განაცხადა მორიენტესმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ლონდონურ კლუბს კომპენსაციის სახით 8 მილიონ გირვანქას სთხოვს. იტალიელს ცალმხრივად კონტრაქტის გაწყვეტის გამო, მართლაც, ეკუთვნის კომპენსაცია, მაგრამ დოკუმენტში აღნიშნულია 6 მილიონი გირვანქა. როგორც ჩანს, საბოლოო თანხას იურისტები დაადგენენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა შემადგენლობის დასახელება გადადო. ბარიჩს შემადგენლობა ჯერ კიდევ გუშინწინ უნდა გამოეცხადებინა, მაგრამ მან მოცდა გადაწყვიტა, რადგან შეიძლება ნაკრების რომელიმე პოტენციურმა კანდიდატმა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოიჩინოს თავი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფილიპ კოკუ უახლოეს პერიოდში შეიძლება ნისლიან ალბიონზე გადაბარგდეს. ასეთი განცხადება ფეხბურთელის აგენტმა რობ იანსენმა გააკეთა. აგენტის თქმით, კოკუს სერიოზული წინადადებები აქვს სოლიდური ინგლისური კლუბებიდან. მაისში კოკუს "ბარსელონასთან" კონტრაქტი გაუთავდა და გუნდმა აღარ ისურვა მისი გაგრძელება. კოკუს "პსვ ეინდჰოვენიც" იწვევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის "რეალ-სოსიედადმა" კონტრაქტი გააფორმა მილანის "ინტერის" მცველ ჯერემი ბრეშესთან. 25 წლის ფეხბურთელი ბასკურ კლუბში იჯარის წესით ითამაშებს. ადრე ის "ლიონისა" და "ბრეშას" ღირსებას იცავდა. ბრეშეს შეუძლია ითამაშოს მარცხენა მცველის პოზიციაზე და დაცვითი ტიპის ნახევარმცველის ფუნქციაც შეასრულოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკმა" კონტრაქტი გააფორმა პსჟ-ის ნახევარმცველ ფრედერიკ დეიუსთან. დეიუმ, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა მარსელს, გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბრონდბიუს" ნახევარმცველი ტომას კელენბერგი დანიის ნაკრებში გამოიძახეს. ის ტრავმირებულ მორტენ ვიგჰორსტს შეცვლის. ვიგჰორსტმა მუხლი დაიზიანა და ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდინიო გამოტოვებს სამხრეთ ამერიკის ზონის შესარჩევი ციკლის ცენტრალურ მატჩს არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. ამის მიზეზი გახდა ფეხის ტრავმა, რომელიც ფეხბურთელმა ვარჯიშზე მიიღო. მას "სან-პაულუს" ფორვარდი ლუის ფაბიანო შეცვლის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნიუკასლის" პრეზიდენტმა ფრედი შეფერდმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაფხულში გუნდის სამ წამყვან ფეხბურთელს გაყიდის. საუბარია ტიტუს ბრამბლზე, კრეიგ ბელამისა და კირონ დაიერზე. "ეს ვარაუდები აბსოლუტურად ბრიყვულია", - თქვა შეფერდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ტოტენჰემის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სურთ, "ბარსელონიდან" ჰოლანდიელი მცველი მიქაელ რაიციგერი შეიძინონ. ადრე რაიციგერის თაობაზე კატალონიელებთან მეორე ინგლისური კლუბი "მანჩესტერ სიტი" აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** აშშ-ის ჩემპიონატზე სპრინტერმა მორის გრინმა 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა - 9,78 წამი. ამასთან, ქარის სიმძლავრე ნორმას აღემატებოდა და წამში 3,7 მეტრს შეადგენდა.

რაგბი

# თბილისისკენ ლონდონის გავლით

პაატა თოთაძე

თბილისის შვიდკაცამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს ნაკრებს გენერალური რეპეტიციის გავლა ლონდონში, IRB-ს (რაგბის საერთაშორისო საბჭო) მსოფლიო სერიის დასკვნით მერვე ეტაპზე მოუწევს. ისევე როგორც ევროპის შვიდკაცაში, მსოფლიო სერიაშიც საქართველოს ნაკრებს ორ ეტაპზე უწევს ასპარეზობა. აქედან ერთზე, ბორდოს შვიდკაცაზე, ბორჯღალოსნებმა გასულ კვირას იასპარეზეს და წარუმატებლად. ორი დღის განმავლობაში გამართული ექვსი შეხვედრიდან ქართველებმა მხოლოდ ერთი მოიგეს და ჯილდოს გარეშე დარჩნენ.

ლონდონის შვიდკაცაზე ჩვენი მეტოქეები ჯგუფში ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და პორტუგალიის ნაკრებები იქნებიან. ზელანდიელები და ავსტრალიელები რასაც წარმოადგენენ, ყველამ კარგად იცის. პორტუგალიის პროგრესის ამბავიც საქვეყნოდ გახდა ცნობილი. ბორდოს შვიდკაცაზე, ჯგუფურ ეტაპზე, ვერც პორტუგალიელებმა მოახერხეს ვინმეს დამარცხება, მაგრამ სინის მეოთხედფინალში წინა დღით ქართველთა მომგები იტალია დაამარცხეს - 31:7. ასეა თუ ისე, პორტუგალია ჩვენი კალიბრის გუნდად ითვლება და ბორჯღალოსნებისგან მისი ძლევა სულაც არაა შეუძლებელი. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ნაკრები ზოგიერთი მორაგბის ტრავმის გამო შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს.

წლევანდელ სერიაში ჯერჯერობით ახალი ზელანდია ლიდერობს 112 ქულით, თუმცა საკუთარ კედლებში გამარჯვების შემთხვევაში სერიის მოგების შანსი ინგლისსაც უჩნდება. ახლა ინგლისი მეორე ადგილზეა 102 ქულით. ლონდონის შვიდკაცას გამარჯვების შემთხვევაში კი 122 ქულას დააგროვებს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რას იზამენ ზელანდიელები. თუ ისინი ფინალამდე მიაღწევენ, ინგლისელებს ვერც ტურნირის მოგება უშველით.

ამასობაში იაპონიაში ეგრეთ წოდებულ "ზესახელმწიფოთა თასის" გათამაშება დასრულდა. "ზესახელმწიფოთა თასი" ამ შემთხვევაში უფრო პოლიტიკიდან გამომდინარე ეწოდა ტურნირს, რადგან მასში მონაწილე გუნდები – იაპონია, რუსეთი, აშშ და კანადა სარაგბო თვალსაზრისით ასეთებად არ შეიძლება ჩაითვალონ. ტურნირის ფორმატი იმგვარია, რომ პირველ მატჩში წაგების შემდეგ გუნდი თასის მოპოვების შანსს კარგავს. ერთი სიტყვით, ნახევარფინალში იაპონიამ რუსეთი დაამარცხა, კანადამ კი - აშშ და თასიც მათ შორის გათამაშდა. ფინალურ მატჩში ტოკიოს პრინც ჩიჩიბუს სტადიონზე მასპინძლებმა 34:21 იმარჯვეს და ტურნირის მთავარ ჯილდოს დაეუფლნენ. რაც შეეხება მესამე ადგილს, ის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ნაკრებს ერგო, რომელმაც რუსეთის ნაკრები დაამარცხა - 41:11.

"იაპონიასთან მარცხის შემდეგ ჩვენ უმოტივაციოდ დავრჩით და ასეთი სხვაობაც ამან განაპირობა", - ამგვარად განმარტა რუსთა წარუმატებლობა ტურნირზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა. სხვათა შორის, პერვუხინს კარგა ხანია განცხადება აქვს დაწერილი ნაკრებიდან წასვლის თაობაზე, თუმცა, რუსეთის რაგბის კავშირი აქამდე თავს იკავებდა, დაეკმაყოფილებინა მწვრთნელის განცხადება. ახლა კი, როცა პერვუხინის მიმართ უკმაყოფილება რუსეთის სარაგბო წრეებში კიდევ უფრო გაიზარდა, შესაძლოა, კავშირმა ის გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

ამ გამარჯვებით იაპონიამ IRB-ს რეიტინგში ერთბაშად ოთხი საფეხურით წაიწია წინ და მსოფლიოს 22-ე გუნდიდან მე-18 გახდა. იაპონიის წინ წაწევამ ზოგიერთის უკუსვლა გამოიწვია. ამ ზოგიერთს შორის მოხვდა საქართველოს ნაკრებიც, რომელიც ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა და ახალა 22-ეა მსოფლიოში. რაც შეეხება პირველ ათეულს, ის კვლავაც უცვლელია – მსოფლიოს საუკეთესო გუნდად ინგლისის ნაკრები ითვლება. შემდეგ მოდიან ახალი ზელანდია, ავსტრალია, საფრანგეთი, ირლანდია, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა, უელსი, შოტლანდია და სამოა.

მოკლედ

# ბენიტესმა "ვალენსია" დატოვა

რაფაელ ბენიტესმა, რომელიც წლევანდელ სეზონში ესპანეთის ერთ-ერთი გმირი გახდა, დატოვა "ვალენსია". ბენიტესის ხელმძღვანელობით "ვალენსიამ" წლეულს სრული ტრიუმფი მოახდინა. კლუბმა დუბლი შეასრულა: მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და უეფას თასი. ვარაუდობენ, რომ ესპანელი სპეციალისტი ინგლისის "ლივერპულს" ჩაუდგება სათავეში. მწვრთნელის აგენტმა გარსია კილონმა განაცხადა, რომ "ვალენსიას" გენერალურმა მენეჯერმა მანუელ ლორენტემ ცალმხრივად გახია შეთანხმება. ბენიტესმა კი, შესაბამისად, კომპენსაცია მიიღო, რადგან მისი კონტრაქტის ვადა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იწურებოდა.

რაც შეეხება "ლივერპულს", მაისში ის უმწვრთნელოდ დარჩა. ჟერარ ულიე 6-წლიანი მუშაობის შემდეგ გაათავისუფლეს, რადგან მისი ხელმძღვანელობით კლუბმა წლეულს პრაქტიკულად ვერაფერი მოიგო. კლუბის აღმასრულებელი დირექტორის რიკ პერის განცხადებით, ახალი მწვრთნელი ივნისის შუა რიცხვებში დაინიშნება.

ბენიტესი "ვალენსიას" ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა წლეულს ჩემპიონატი და უეფას თასი მოიგო. აღსანიშნავია, რომ "ვალენსია" ორი წლის წინათაც ესპანეთის ჩემპიონი იყო.

რაც შეეხება "ვალენსიას", მას, ალბათ, სათავეში ჩაუდგება კლაუდიო რანიერი, რომელიც "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს. რანიერი "ვალენსიას" ერთხელ უკვე წვრთნიდა 1997-1999 წლებში.

კალათბურთი

# "ლეიკერსი" ფინალშია

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" NBA-ის წლევანდელი გათამაშების პირველი ფინალისტია. სამშაბათს, გამთენიისას, კალიფორნიელმა კალათბურთელებმა გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს მინესოტელი "მგლები" - 96:90 და, ამასთან, სერიაც თავის სასარგებლოდ - 4:2 დაასრულეს.

სამშაბათის მატჩი, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართა, ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტი შეხვედრა გამოდგა. მასპინძლებმა გაიმარჯვეს - 96:90 და ფინალში გავიდნენ. ბოლოს და ბოლოს, დიდი შანსია, ასრულდეს ბებერი კარლ მელოუნისა და გარი პეიტონის ცხოვრების ოცნება - მოიგონ NBA-ის ჩემპიონის ბეჭედი.

"სწორედ ამისთვის გადმოვედი "ლეიკერსში", - მატჩის შემდეგ განაცხადა კარლ მელოუნმა, რომლისთვისაც ეს პირველი ფინალია 19-წლიანი საკალათბურთო კარიერის განმავლობაში, - ძალიან მომწონს ამ გუნდში თამაში. სეზონის შუაში ჩვენ პრობლემები გვქონდა, მაგრამ თუ რაიმეს მიღწევა გინდა, ისინი უნდა დაძლიო".

გუნდის მწვრთნელის ფილ ჯექსონისთვის კი ეს შეიძლება მეოთხე საჩემპიონო ბეჭედი აღმოჩნდეს. და თუ ასე მოხდა, ეს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, სპორტის ყველა სახეობისთვის, აბსოლუტური რეკორდი იქნება.




*ბებერი კარლ მელოუნი, როგორც იქნა, მოესწრო NBA-ს ფინალში თამაშს.*

იმ ვარსკვლავური შემადგენლობიდან, რომელმაც 2000 წელს ჩემპიონის ბეჭდები მოიპოვა, გუნდში მხოლოდ ხუთი კალათბურთელი შემორჩა, თუმცა გუნდში მაინც მოიძებნება მათი შემცვლელი ახალგაზრდების სახით. ამჯერად კარიმ რაშმა შესანიშნავად ითამაშა პოზიციაზე, რომელზეც, ჩვეულებრივ, გლენ რაისი, რობერტ ორი ან რიკ ფოქსი თამაშობს.

მიმდინარე სეზონში "ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე 9 მატჩი გამართა და ერთხელაც არ დამარცხებულა. არადა, "მინესოტა" ყველაზე ახლოს იყო იმასთან, რომ დაემწუხრებინა "სტეპლზ-ცენტრის" ბინადარნი. მეექვსე შეხვედრაშიც სტუმრები მჭიდროდ თამაშობდნენ დაცვაში და სამქულიანი ტყორცნების კარგი მაჩვენებლის წყალობით მეოთხე მეოთხედში ერთი პირობა დაწინაურდნენ კიდეც. თუმცა, საფინიშო სპურტზე კობი ბრაიანტმა და კარიმ რაშმა მოახერხეს და ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი დაწინაურდნენ კიდეც. ამ პერიოდში "ლეიკერსმა" 15 ქულა გამოიმუშავა, მაშინ როცა მეტოქეებმ - მხოლოდ 6. გადამწყვეტი კი აღმოჩნდა მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე უკრაინელი სტანისლავ მედვედენკოს ორი ზუსტი ტყორცნა.

მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ შაკილ ო`ნილი (25), კობი ბრაიანტი (20) და კარიმ რაში (18). "შაკმა" 11 მოხსნაც მიითვალა. მასზე ერთით ნაკლები მოიმკო კარლ მელოუნმა, რომელმაც ამ მონაგარს 10 ქულაც დაუმატა. "მინესოტას" შემადგენლობაში საუკეთესო იყო ლეტრელ სპრიუელი - 27 ქულა. გუნდის ლიდერის კევინ გარნეტის (მან 6 პერსონალურის გამო მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა მოედანი) ანგარიშზე კი - 22 ქულა, 17 მოხსნა და 8 ჩაჭრა იყო.

"მინესოტამ", რომლისთვისაც წლევანდელი სეზონი საუკეთესო იყო, ვერ მოახერხა სემ კესელის სრულფასოვანი შეცვლა. კევინ გარნეტის შესანიშნავმა თამაშმაც კი (საშუალოდ მის ანგარიშზე 23,7 ქულა და 13,5 მოხსნა იყო) ვერ განაპირობა ის, რომ გუნდი ფინალში გასულიყო. "ლეიკერსმა" ამ სერიაში პირველი მატჩი სტუმრად მოიგო და საკუთარი მოედნის უპირატესობა ბოლომდე გამოიყენა. "მე გავიგე, რას ნიშნავს დასავლეთ კონფერენციის ფინალში თამაში, - მატჩის შემდეგ განაცხადა კევინ გარნეტმა, - ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოდილებაა, მაგრამ თუ აგებ, ეს გარემოება სულაც არ გამშვიდებს. ახლა ვიცით, რაც გვაკლია და შევეცდებით, სუსტი მხარეები დავხვეწოთ".

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში "ლეიკერსის" მეოთხე ფინალი შეიძლება უკვე ხვალ დაიწყოს, თუ "დეტროიტი" მე-6 მატჩში დაამარცხებს "ინდიანას". ამ სერიაში ჯერჯერობით ანგარიშია - 3:2 "დეტროიტის" სასარგებლოდ.

ფორმულა 1

# „ფერარი" უცხო პლანეტიდან ყოფილა

გიგა გურასაშვილი

მონაკოს დიდი პრიზის დასრულებამდე 32 წრით ადრე, როცა მიხაელ შუმახერი რბოლას სათავეში მოექცა, უცებ მისმა ბოლიდმა მკვეთრად დაამუხრუჭა. "შუმის" დამუნჯებულ ბოლიდს უკნიდან ხუან-პაბლო მონტოიას "უილიამსი" შეეჯახა. გერმანელმა ტრაექტორია დაკარგა და გვირაბის კედელს შეასკდა. "ფერარი" უიმედოდ დაზიანდა. შუმახერმა ბოლიდი ბოქსებისკენ შეაგორა.




*მიხაელ შუმახერს ტრადიციულად კარგი პრესა აქვს*

საუბარია მონაკოს დიდ პრიზზე - ფორმულა 1-ის მეხუთე ეტაპზე, როცა მიხაელ შუმახერის გამარჯვებათა სერია შეწყდა. ბუნებრივია, შუმახერის წარუმატებლობას ზოგიერთი ჟურნალისტის ქილიკი მოჰყვა, მათ შორის "ფერარის" სამშობლოშიც, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ კვირას გაგრძელდა. ერთი კვირის თავზე კი ქილიკი ქება-დიდებამ შეცვალა. შუმახერმა "ევროპის დიდი პრიზი", იგივე გერმანიის დიდი პრიზი მოიგო და შვიდიდან ექვსი ეტაპის გამარჯვებული გახდა. ერთი სიტყვით, წარუმატებლობა მონაკოს ტრასაზე ისტორიას ჩაბარდა. ახლა საინტერესოა, როგორ გამოეხმაურა პრესა მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის მორიგ გამარჯვებას.

**იტალია:**

"Gazzetta dello Sport": "შუმახერმა მონტე-კარლო დაგვავიწყა. "ფერარის" ორი პილოტი კვლავაც სამოთხეშია. ისინი სხვადასხვა სტრატეგიას ამუშავებენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში პირველ-მეორე საფეხურებზე ამთავრებენ რბოლას. ნიურბურგრინგზე შუმახერის წარმატებამ დაგვარწმუნა, რომ მონაკო მისი კარიერის არატიპური თავია".

"Corriere dello Sport": "შუმი" უკონკურენტოა. მისი ერთადერთი მეტოქე ბარიკელოა. "ფერარის" დუბლმა დაამტკიცა, რომ მონაკოს წარუმატებლობა ერთეული შემთხვევაა. "შუმი" საკუთარ გამარჯვებას ფიატის გარდაცვლილ პრეზიდენტს უმბერტო ანიელის უძღვნის (სხვათა შორის, კონცერნ ფიატის ბოსის ადგილი "ფერარის" პრეზიდენტს ლუკა დი მონტეძემოლოს გადააბარეს, რამაც, ბუნებრივია, სკუდერიაში საკადრო ცვლილებები გამოიწვია. მონტეძემოლოს ადგილზე მისი სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი დაინიშნა.-რედ.).

"Tuttosport": "შუმი" და "ფერარი" საოცრად მუშაობენ. მხოლოდ ბარიკელოს შეუძლია შუმახერის ტემპის შენარჩუნება. მორიგი საჩემპიონო ტიტული მხოლოდ დროის ამბავია".

"La Repubblica": "ფერარი" ივიწყებს მონტე-კარლოს და წარმატებას აღნიშნავს. "შუმი" არ აძლევს მოწინააღმდეგეებს მიახლოების საშუალებას".

"Corriere della Sera": "ფერარის" ორმაგ წარმატებას ფიატის შეფის უმბერტო ანიელის სიკვდილი აფერმკრთალებს. მეტოქეებთან შედარებით "ფერარი" ისე გამოიყურება, თითქოს სხვა პლანეტიდან იყოს".

**დიდი ბრიტანეთი:**

"The Guardian": "შუმახერი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ჩემპიონი ისევ კარგ ფორმაშია".

"Daily Telegraph": "100 ათასი გერმანელისთვის ნიურბურგრინგზე უკეთესი ადგილი არ ყოფილა. ანათებდა მზე, ლუდი მდინარესავით მოედინებოდა, მიხაელმა კი კვლავაც წარმოაჩინა საკუთარი ძალა".

"The Times": "შუმახერი ისევ ტოტალურად აკონტროლებს ფორმულა 1-ს".

ეს, რაც შეეხება პრესას. თუმცა, მოქილიკეები მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს არც "ევროპის დიდი პრიზის" მოგების შემდეგ მოჰკლებია. კერძოდ, რიგი ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ უმთავრეს რბოლამდე კვალიფიკაციისას შუმახერმა აკრძალული საკვალიფიკაციო საბურავები გამოიყენა, ამიტომ იგი დისკვალიფიკაციას იმსახურებსო. ახლა კი ორიოდე სიტყვით სკუდერიაში მომხდარ საკადრო ცვლილებებზე.

როცა ნიურბურგრინგზე გახურებული რბოლა მიმდინარეობდა, ფიატის კონცერნის შეფად ლუკა დი მონტეძემოლო დაინიშნა. კაცი, რომელიც მანამდე "ფერარი/მაზერატის" ჯგუფს მეთაურობდა. ბუნებრივია, ამგვარმა სტრუქტურულმა გადაადგილებამ "ფერარის" შიდა საკადრო ცვლილებები გამოიწვია. მონტეძემოლოს სავარძელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნიკურმა დირექტორმა ჟან ტოდტმა დაიკავა. ტოდტის დაწინაურებას კი ტექნიკური დირექტორის როს ბრაუნის ტოდტისეულ სავარძელში გადაბრძანება მოჰყვა. რაც შეეხება თავად ფიატს, აქ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე უმბერტო ანელის 28 წლის შვილობილს ჯონ ელკანს მოიაზრებენ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოში ელიან აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის 26 წლის ვაჟიშვილს ანდრეას, რომელსაც, სხვათა შორის, "ფერარიში" მუშაობის გამოცდილება აქვს.

ჩოგბურთი

# რუსებს ვაჟთა თანრიგში აღარავინ დარჩათ



*სომხური წარმოშობის არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა მარატ საფინი ტურნირიდან დაითხოვა*

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 8) - მარატ საფინი (რუსეთი, 20) | 7:5, 6:4, 6:7, 6:3 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 12) - ქსავიე მალისი (ბელგია) | 7:5, 6:2, 7:6 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) - იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 6:4, 7:5, 6:3 |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 28) - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 23) | 6:3, 7:5, 6:4 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 7) - სერენა უილიამსი (აშშ, 2) | 6:3, 2:6, 6:3 |
| პაოლა სუარესი (არგენტინა, 14) - მარია შარაპოვა (რუსეთი, 18) | 6:1, 6:3 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 6) - ვინუს უილიამსი (აშშ, 4) | 6:3, 6:4 |

საფრანგეთის ღია პირველობაზე ბოლო რუსი ჩოგბურთელებიც გამოვარდნენ. იგორ ანდრეევმა სამ სეტში იოლად დაუთმო გზა არგენტინელ გასტონ გაუდიოს – 6:4, 7:5, 6:3, ხოლო მარატ საფინს წინ კიდევ ერთი არგენტინელი, ტურნირის მე-8 ნომერი დავიდ ნალბანდიანი აღუდგა – 5:7, 4:6, 7:6, 6:3.

ამგვარად, ფრანგი გულშემატკივარი ვერ ნახავს, თუ როგორ აღნიშნავს მარატ საფინი გამარჯვებას, რადგან ეს გამარჯვება, უბრალოდ, არ იქნება. რუსეთის საუკეთესო ჩოგბურთელმა პირველივე სეტის პირველივე გეიმი წააგო. არგენტინელმა დებიუტშივე მიიღო უპირატესობა. საფინმა სეტის შუაგულში დანაკარგი დაიბრუნა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ 5:5-ზე მოწოდება კვლავ წაეგო. ნალბანდიანმა თავისი მოწოდება იოლად მიითვალა და პირველი სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში სცენარი გამეორდა. საფინმა მეტოქის მოწოდება მოიგო, მაგრამ, ამასთან, თავისი ორი მოწოდება წააგო. მატჩის დაწყებიდან თითქმის ორი საათის შემდეგ ნალბანდიანი - 2:0 იგებდა.

საფინმა საფრანგეთის ღია პირველობაზე გულშემატკივარი შეაჩვია ხუთსეტიან მატჩებს. ამიტომ ვარაუდობდნენ, რომ ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა. ეს ვარაუდი მას შემდეგ გამყარდა, რაც რუსმა ტაი-ბრეიკზე მესამე სეტი მოიგო. თუმცა, იმთავითვე ნათელი გახდა, რომ ის ბრძოლის გასაგრძელებლად მზად არ იყო. საფინმა მოედანზე ექიმს უხმო და ხელზე "ბებერა" შეახვევინა, მაგრამ რუსს არც ამან უშველა. საფინი ჩოგანს ძლივს იმორჩილებდა და, ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ნორმალურად თამაში არ შეეძლო. შედეგად, მეოთხე სეტი მან – 4:6 წააგო.

"მე შემეძლო, ეს ტურნირი მომეგო. სამწუხაროა, როცა გამარჯვებას ასე უშვებ ხელიდან. ბოლო ოთხი გეიმის განმავლობაში, უბრალოდ, თამაში არ შემეძლო, არ შემეძლო მარჯვნიდან დარტყმა და კიდევ ბევრი რამ", - მატჩის შემდეგ განაცხადა საფინმა.

რუსებმა ქალთა თანრიგშიც განიცადეს დანაკლისი. ტურნირს გამოეთიშა ახალგაზრდა მარია შარაპოვა. საინტერესოა, რომ ნახევარფინალის გზა მანაც არგენტინელ ჩოგბურთელს დაუთმო. ტურნირის მე-14 ნომერმა პაოლა სუარესმა შარაპოვას ორ სეტში მოუგო.

პირველი სეტი შარაპოვამ აბსოლუტურად ჩააგდო. მას არაფერი გამოსდიოდა. ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. რაც შეეხება სუარესს, ის უაღრესად ყურადღებით თამაშობდა და პირველი სეტის განმავლობაში მხოლოდ 6 შეცდომა დაუშვა. ამის შედეგად შარაპოვამ - 1:6 წააგო.

შარაპოვამ მეორე სეტის დასაწყისშივე მოიგო მეტოქის მოწოდება, მაგრამ "როლან გაროსზე" გაწვიმდა და თამაში შეწყდა. მატჩი 15 წუთში გაგრძელდა, მაგრამ რუსმა რიტმი დაკარგა და მოპოვებული უპირატესობა მყისვე გაფლანგა. მატჩის საკვანძო მომენტი კი მერვე გეიმში დადგა, როცა არგენტინელმა მეტოქის მოწოდება მიითვალა და - 5:3 დაწინაურდა. ამის შემდეგ სუარესს ისღა დარჩენოდა, თავისი მოწოდება მოეგო, რაც არგენტინელმა შესანიშნავად გააკეთა. მატჩი 58 წუთში დასრულდა.

დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია ჯენიფერ კაპრიატის გამარჯვება ერთ დროს პირველ ჩოგან სერენა უილიამსთან. კაპრიატიმ მესამე, გადამწყვეტ სეტში შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. 6:3, 2:6, 6:3 - ასეთია ამ მატჩის საბოლოო ანგარიში.

ანასტასია მისკინამ ბოლო მოუღო ვინუს უილიამსის იმედს, მოეგო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ჩანს, უფროსი უილიამსი ჯერ კიდევ არ არის მზად, დაიბრუნოს ყოფილი პოზიციები. მან იოლად, ორ სეტში დათმო პრინციპული შეხვედრა. ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე სეტის მე-7 გეიმი, როცა მისკინამ მეტოქის მოწოდება მოიგო. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო. რუსმა თავისი მოწოდებაც აიღო და საბოლოოდ მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3, 6:4 მისკინას სასარგებლოდ.

# კონიუნქტურიდან არქიტექტურისაკენ?

თამაზ გიორგაძე

ქართველი არქიტექტორები სულ რაღაცის მოლოდინში ვართ - იმპერატორის შეცვლის, სახალხო ხელისუფლების მოსვლის, ჯერ სტალინური პრემიების, მერე კი სტალინის სიკვდილის, ხრუშჩოვის წასვლის, ვილაცეების მოსვლის, პერესტროიკის, თავისუფლების, კორუფციისაგან განთავისუფლების.

იმედების გაცრუება, ახალი იმედები და ახალი იმედგაცრუება. აი, ახლა ხომ ნამდვილად დაიწყება... შეიცვლება... განახლდება... რამდენი თაობა წავიდა, რამდენი ღვაწლმოსილი და ნაკლებად ღვაწლმოსილი. არქიტექტურა კი ვერა და ვერ მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის ცენტრში თუ არა, საერთოდ ინტერესების სფეროში მაინც.

საზოგადოებას მთლიანად კი თავისი იმედები და მოლოდინები აქვს - მიწისძვრით დანგრეული საცხოვრებელი სახლები, ამორტიზებული მუზეუმებისა თუ სხვა კულტურული დაწესებულებების შენობები, წყალჩამდგარი სარდაფები, გაცვეთილი ფასადები, უბინაობა იმათი, ვინც ასეთ სახლებში ცხოვრობენ და იმათიც, ვინც ახალი რაიონების უსახურ გარემოში ვირთხების არმიებთან ინაწილებს სივრცეს - ათწლეულობით დაგროვილ პრობლემებს გადაჭრა სჭირდება, თუმცა საზოგადოების მოლოდინი არაა უკეთესი არქიტექტურული მომავლის მოლოდინი - ის უკეთეს საცხოვრებელ, თუ სამუშაო პირობებს ელოდება და ამ პირობების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად სულაც არა აქვს წარმოდგენილი საარსებო სივრცის არქიტექტურული მახასიათებლები. ყოველივე ამას კი თავისი წინამძღვრები, თუ წინაპირობები და, შეიძლება ითქვას, ხანგრძლივი ტრადიციაც აქვს.

## ანტიეროვნული არქიტექტურა და ეროვნული საცივი და ღომი

1801 წლიდან საქართველოს ისტორიაში ახალი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ცხოვრების ეპოქა დაიწყო. ახალ სამშენებლო კანონმდებლობასთან ერთად შემოდის რუსეთის იმპერიაში იმ დროისათვის გავრცელებული გვიანი რუსული კლასიციზმის ფორმები, რომლებიც თვით პეტერბურგიდან მიღებული ან საქართველოში მეორეხარისხოვანი არქიტექტორების, თუ უბრალოდ, არაარქიტექტორების მიერ "უზენაესად დამტკიცებული ფასადების კრებულის" მიხედვით შესრულებული პროექტების საშუალებით ინერგებოდა. ოფიციალურ მშენებლობაში ამ ტენდენციას ალტერნატივა არ გააჩნია და ეს ბუნებრივიცაა -რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიაში დამკვიდრებაში კულტურულ ექსპანსიას ერთ-ერთი ძირითადი როლი ენიჭებოდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში არქიტექტორთა ნაკლებობა, მათი ფუნქციების მეორე და მესამეხარისხოვანი უცხოელი - ძირითადად რუსი არქიტექტორების მიერ შესრულება, ოფიციალურ მშენებლობაში დანერგილი ჩვენთვის უცხო არქიტექტურა, "უზენაესად დამტკიცებული ფასადების კრებულები" და მათი გავლენით შემოქმედების გაანონიმურების, პიროვნულობის გაფერმკრთალების ტენდენცია და ჩვენთვის უცხო სამშენებლო კანონმდებლობა მოსახლეობის მიერ იმპერიული იდეოლოგიის ნაწილად, მისი ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტად აღიქმება. ამავე დროს, იგივე მოსახლეობის აღქმაში **ხელისუფლება, სამშენებლო კანონმდებლობა, ბიუროკრატიული ბარიერები და არქიტექტორი, როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულის "პერსონიფიკაცია", "არქიტექტურის" ცნებაში ერთიანდება, ძნელად, მაგრამ აუცილებლად გადასალახი წინააღმდეგობების კომპლექსად წარმოიდგინება. ეს პირველი ნაბიჯია არქიტექტურის და არქიტექტორის დისკრედიტაციის, არქიტექტურის "გაუცხოების" არასასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრების გზაზე.**

არქიტექტურა ვერ გახდა იმ ეროვნული იდეის ნაწილი, რომელიც ჩვენი "სამოციანელებისაგან" მოდიოდა. **ლიტერატურისაგან განსხვავებით, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეებთან დგას და მისი წარმმართველია, არქიტექტურა, იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთლით, როგორც იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი დასაყრდენი - ანტიეროვნულია.**

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში, სადაც გამოხმაურება ჰპოვა თითქმის ყველა, ასე თუ ისე მნიშვნელოვანმა დარგმა ხელოვნების, მრეწველობისა, თუ სოფლის მეურნეობის - ტელეგრაფი იქნებოდა ეს, ლუდი, თეატრი, საბანკო საქმე, მეაბრეშუმეობა, თუ მელვინეობა - არქიტექტურის შესახებ ავად, თუ კარგად ნათქვამ ორიოდ სიტყვასაც ვერ შეხვდებით.

იმპერიის არქიტექტურული პოლიტიკა მისი (იმპერიის) მკაცრი იერარქიულობის, აბსოლუტიზმის იდეის განმტკიცებისათვის იყო მოწოდებული, რაც, ცხადია, ჩვენს პროვინციულობას გულისხმობდა და განამტკიცებდა. პროვინციალიზმისაგან თავის დაღწევა მხოლოდ დიდ, ღრმა ეროვნულ იდეაზე დამყარებულ ხუროთმოძღვრებას შეეძლო, მაგრამ ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმის ინტელექტუალური პოტენციალი ხელოვნების ხალხისათვის უფრო გასაგებ დარგებზე - ლიტერატურასა და თეატრზე იყო კონცენტრირებული.

მიუხედავად ისეთი დიდი მხატვრული ძალის მოვლენებისა, როგორიცაა "თბილისური სახლი" და ქართული ბანკი, მე-19 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრება პროფესიული ხელოვნების კუდში მოჩანჩალებს, მისი არიერგარდია.

მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან ქართული საზოგადოების განვითარება მთლიანად საბჭოთა კალაპოტშია. ქართული არქიტექტურა მისთვის ზემოდან განსაზღვრული პროვინციულობის ფარგლებში ვითარდება. სულ ახლო წარსულში განაპირა ნაციონალურ რეგიონებში, შემდგომში უკვე ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებში ძლიერი იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკით გამოწვეული ეროვნული ჩაგვრის განცდა. ახალ ხელისუფლებას ეს ნეგატიური დამოკიდებულებები უნდა გაენეიტრალებინა. სწორედ ამიტომ რესპუბლიკებს "ნება დაერთოთ" მიემართათ თავისი ეროვნული არქიტექტურული საგანძურისათვის, მაგრამ საფუძვლად მაინც ეროვნული არქიტექტურული "მაკიაჟით" მეტნაკლები ინტენსივობით შემკული კლასიკური მემკვიდრეობა ცხადდება. ეს კი გამორიცხავს ნაციონალური რომანტიზმის იდეოლოგიურად სახიფათო რეციდივებს. ასეთი "ეროვნული" არქიტექტურა პროვინციული ეკლექტიზმის როლისათვის იყო ჩაფიქრებული და განწირული და თუ რამე მაინც გასცდა ამ პროვინციულობის ფარგლებს, ეს მხოლოდ არქიტექტორების ნიჭიერებისა და პროფესიონალიზმის შედეგია და არა კომუნისტური საზოგადოების "კულტურული მისწრაფებების". რაც შეეხება რუსეთის არქიტექტურას, მისი რეტროსპექტულობა ზოგადსაკაცობრიო არქიტექტურულ ფასეულობებზე, რენესანსზე, ბაროკოზე, რუსულ ტრადიციაზე, როგორც ამ ფასეულობების ორგანულ ნაწილზეა ორიენტირებული. ეს "ეროვნულ არქიტექტურათა ძმურ ფერხულში" რუსეთის არქიტექტურის მთავარ, წამყვან როლზე მიუთითებდა. ასეთია "ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური" ხელოვნების სტალინური პოსტულატის პრაქტიკული განხორციელება.

**"ჩვენ არ გვინდა ცივი ომი და არც ცხელი ომი.**

**ცივი გვინდა საცივი და ცხელი გვინდა ღომი",** - ტარიელ ჭანტურიას თვითირონიით გამსჭვალული ეს სტრიქონები საოცრად ზუსტად ასახავს პოსტსტალინური სოციალიზმის ეპოქის ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას არსს მსოფლიო პოლიტიკური და კულტურული პროცესების მიმართ. არქიტექტურაც, ისევე როგორც მთელი საზოგადოება, კარგავს მსოფლმხედველურ ორიენტირებს და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ორიენტირებული სამშენებლო ინდუსტრიის მონა ხდება, არქიტექტორი კი - ჩვეულებრივი სახელმწიფო მოსამსახურე.

"არქიტექტურა" ხდება სახელი უსახურობის, ერთფეროვნების, ბიუროკრატიულობისა და სიყალბის.

## პიონერთა და მოსწავლეთა, შრომის, კულტურის და პრეზიდენტის

ბუნებრივია, სახელმწიფოს, მით უფრო ახალგაზრდას, ასევე ახალგაზრდა პრეზიდენტით ჰქონდეს ჯანსაღი ამბიციები, მათ შორის არქიტექტურულიც. არქიტექტურული ამბიციები გარკვეული თვალსაზრისით სპორტულს შეიძლება შევადაროთ - 100 მეტრზე რბენაში საქართველოს რეკორდი კარგ შედეგად იმდენად შეიძლება ჩავთვალოთ, რამდენადაც ახლოს იქნება მსოფლიო რეკორდთან, ანუ თავისთავად საქართველოს რეკორდი არაფერს ნიშნავს. ასევეა არქიტექტურაშიც: კარგი იმდენადაა კარგი, რამდენადაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. აქედან გამომდინარე, არქიტექტურული ამბიციებიც ან არსებობს, ან არა - არ შეიძლება გვქონდეს "რაიონული მნიშვნელობის" არქიტექტურული ნაწარმოების შექმნის **ამბიცია.** არქიტექტორებისათვის ისევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო შეჯიბრების გამოცდილება, როგორც სპორტსმენებისათვის: დღევანდელი მსოფლიო არქიტექტურული პრაქტიკა წარმოუდგენელია კონკურსების გარეშე. საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსები მნიშვნელოვანი მოვლენებია განვითარებული, თუ განვითარებადი ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაში. კულტურით, ტრადიციებით, გეოგრაფიული მდებარეობითა თუ, ეკონომიკური განვითარების დონით ისეთ განსხვავებულ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ, ეგვიპტე, პერუ, ტაივანი, ახალი ზელანდია, ჩილე, რუსეთი, ესტონეთი, თუ სამხრეთ კორეა, ერთი რამ აქვთ საერთო - დიდი არქიტექტურული ამბიციები. ამ ამბიციების ხორცშესხმის გზებიც დაახლოებით ერთნაირია - საერთაშორისო კონკურსების ორგანიზება, ღირსეული გამარჯვებულის გამოვლენა და ამ პროექტის რეალიზაცია. საპრიზო ფონდების მოცულობებიც ძალზე განსხვავდება - სულ რამდენიმე ათასიდან რამდენიმე ასეულ ათასამდე, მაგრამ ისინი არქიტექტორების ერთნაირად დიდ დაინტერესებას იწვევენ - მონაწილეთა რაოდენობა, როგორც წესი, დიდია, თუმცა კონკურსზე მონაწილის რეგისტრაციაც ფული ღირს - მაგალითად, ეგვიპტის დიდი მუზეუმის კონკურსში მონაწილეობა 350 აშშ დოლარი ღირდა. ზემოჩამოთვლილმა ქვეყნებმა გააცნობიერეს მთავარი: **არქიტექტურის ხელოვნების ნაწარმოებს სიდიადეს სიმდიდრე კი არ ანიჭებს (თუმცა ის სულაც არ არის უსარგებლო რამ), არამედ დამკვეთის მისწრაფებებისა და ხელოვანის ნიჭიერების ბედნიერი (და აუცილებელი) დამთხვევა.**

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ საერთაშორისო ინტეგრაციაზე, გლობალიზაციაზე -მის სიკეთეზე და იმ საშიშროებაზეც, რასაც შეიძლება ეს პროცესები შეიცავდეს, მაგრამ როგორც კი საქმეზე მიდგება, გადაწყვეტილებები კვლავ ტრადიციულის ფარგლებს არ სცდება - ინტეგრაცია დაიცდის - ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს.

ამ შემთხვევაში პრეზიდენტის სასახლეს ვგულისხმობ. კვლავ არ გაცხადდა დიდი არქიტექტურული ნაწარმოების შექმნის ამბიცია - რემონტით ვიფარგლებით და ეს მხოლოდ თავმდაბლობით და თანხების ეკონომიური ხარჯვის აუცილებლობით მართლდება. თუ ჩვენ არ ვიცით რა თანხაზეა ლაპარაკი, ვერც ამ თანხების ეკონომიურ ხარჯვაზე ვისაუბრებთ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეთი პროექტების ღირებულება საჯაროდ ცხადდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ, უბრალოდ, ჩვეულ გადანვეტასთან გვაქვს საქმე - რა დროს არქიტექტურა და კონკურსებია - ქვეყანას უჭირს. არადა ამბიციების არსებობა და რეალიზაციის აუცილებლობა საზოგადოებისათვის ბუნებრივი და გასაგები უნდა იყოს. ეს კი სავსებით კონკრეტული ხერხებით მიიღწევა - PR-ის ტექნოლოგიების კარგი ცოდნა ხომ ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. თუმცა, ხელისუფლებამ საზოგადოებასთან ურთიერთობაში სხვა გზა არჩია, რაც საზოგადოებაში საერთოდ სიმდიდრის, თუ ქონების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასთან ხელისუფლების აზრის სიახლოვის ყოველმხრივ ხაზგასმას ეყრდნობა. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვარ გიპასუხოთ, რომ ქვეყანას მარტო არქიტექტურისათვის არ უჭირს, არამედ უჭირს ვერტმფრენებისა თუ მერსედესებისათვის, საძირკველგამომპალი სახლების ფასადების "კოსმეტიკისათვის", ქუჩებში ორმოების შევსებაზე გადაყრილი ფულისათვის და ამბიციური საზეიმო ღონისძიებებისათვის, მაგრამ კვლავ ხაზს ვუსვამ, რომ იძულებული ვარ ასე გიპასუხოთ, თორემ ჩვენ ყველას ხომ კარგად გვესმის, რომ პრეზიდენტები "ზაპოროჟეცებით" არ მგზავრობენ და არც საერთო საცხოვრებლებში არ უნდა ცხოვრობდნენ. თუ პიონერებს და მოსწავლეებს, შრომას და კულტურას შეიძლება ჰქონდეთ კეთილმოწყობილი სასახლე დამხმარე სათავსოებით, ლოჯიებით და დაშენების პერსპექტივით, ასეთს, ალბათ, პრეზიდენტებიც იმსახურებენ. ეს სასახლე არ არის კონკრეტული პრეზიდენტის სასახლე - ის ყველა შემდგომი პრეზიდენტისაცაა და ქართული არქიტექტურული ამბიციების გამოხატულებაც შეიძლება ყოფილიყო, ასეთი საერთოდ თუ გაგვაჩნია.

## ქვის გაზეთი

არის ვაკის პარკში ერთი კედელი. ადრე მასზე ლითონის ასოებით ეწერა დიდ სამამულო ომში საქართველოდან წასული და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დაჯილდოებული ყველა მებრძოლის სახელი. შეუმჩნეველი კედელი იყო წარწერებიანადაც და ახლაც შეუმჩნეველია, როდესაც ლითონის წარწერები ვილაცამ მოიპარა და, ალბათ, ჯართად გაყიდა. ამ კედლის მთელი შინაარსი იმ წარწერებში იყო და მათთან ერთად დაიკარგა. გმირთა მოედანზე მდებარე სკვერში აშენებული მემორიალის წინ საპატიო ყარაულიც დგას, მუდმივი ცეცხლიც ანთია. დაღუპულთა ყველა გვარი გაიხსენეს, ვაკის პარკის კედლის მწარე გამოცდილებაც არ დაივიწყეს - გვარები ქვაში ამოიტვიფრა. მაგრამ, არავის მოსვლია აზრად, რომ პატივისცემის და ხსოვნის გამოხატვის უფრო ღრმა მხატვრული, თუ არქირექტურული ხერხებიც არსებობს. ვერც თანხების ეკონომიის მოსაზრებები გამოდგება არგუმენტად: მარტო ამდენი ასოს ქვაში ამოტვიფვრა დაჯდა ერთი კარგი მემორიალის ფასი. საპატიო ყარაული და მუდმივი ცეცხლი კი კარგია, მაგრამ მემორიალის ესთეტიკურ ღირებულებას ვერაფერს ჰმატებს. სამწუხაროა, მაგრამ აქაც საზოგადოების გულის მოსაგებად არქიტექტურული ამბიციები სულაც არ აღმოჩნდა აუცილებელი.



*არქიტექტურა საზოგადოებრივი ინტერესის ცენტრში ვერ მოექცა*

## კლდისუბანი, ჰიმნი და ეროვნული ერთიანობა

კონკურსები ჩვენთანაც კი ტარდება. აი, თუნდაც არქიტექტორთა კავშირის მიერ კლდისუბნის მოშენების ესკიზურ პროექტზე გამოცხადებული კონკურსი ავიღოთ. არ მოვყვები ამ კონკურსის სამწუხარო ისტორიას - ის გარკვეული თვალსაზრისით უკვე იმით არის ერთადერთი, განუმეორებელი და უპრეცედენტო, რომ ბოლო ათწლეულების უშედეგო ქართული კონკურსებისაგან განსხვავებით, ეტყობა, ის თავიდანვე განწირული იყო, შეიძლება ითქვას, რომ მკვდარი, ან ცოცხალ-მკვდარი მაინც დაიბადა. გამოცხადებიდან არც ისე ცოტა დრო იყო გასული, რომ არქიტექტორთა კავშირის მიერ კონკურსის მომზადებისათვის გაწეული დიდი შრომა წყალქვეშა დინებების მსხვერპლი გახდა, და თუმცა ისიც ითქვა, რომ კონკურსი განახლდება, ჩემი აზრით, ყოველივე ეს გარკვეულ ეჭვებს მაინც ტოვებს. საყვედური ამის გულისთვის არავისთვის უთქვამთ. ესეთი შრომა ხომ დღეს საქართველოში არ ფასობს.

ჰიმნის ტექსტზე გამართული კონკურსი გარკვეულად უნიკალურია (ეს, ეტყობა ყველა ქართული კონკურსის საერთო ნიშანია) - როგორც გვიხსნიან, კონკურსანტებს მთლად ლექსის კი არა, უფრო ტექსტის შექმნა მოეთხოვებოდათ, თანაც იმდენად მარტივის, თუ პრიმიტიულის, რომ ყველას (გონებრივი განვითარებისდა მიუხედავად) შეეძლოს მისი დაზეპირება. კონკურსში გამარჯვებულის - უდავოდ ნიჭიერი პოეტის - დავით მაღრაძის შესახებ მხოლოდ ერთი შეიძლება ვთქვა: რა თქმა უნდა, მას, ისევე, როგორც სხვა ასეთივე ნიჭით შეიარაღებულ, ან ამ ბედნიერებას მოკლებული პოეტების მსგავსად შეუძლია წეროს ლექსები და ამით არავის არ მიაყენოს ზიანი - ნუ წაიკითხავ, ბატონო, ბოლოს და ბოლოს, თუ არ გინდა, ან არ მოგწონს, მაგრამ ჰიმნის ტექსტი ხომ ჩვეულებრივი ლექსი არ არის? გინდა თუ არ გინდა, კიდეც უნდა წაიკითხო და ზეპირადაც უნდა ისწავლო. თუმცა იმდენი რამ გვისწავლია ზეპირადაც და სიმღერითაც, რომ ამასაც გავუძლებდით, მაგრამ შვილებს რა ვუყოთ? რამდენიც არ უნდა მიჩიჩინონ, რომ მაგარია, ან არა უშავს, დრო გავა და შევეჩვევით, იქნებ შედევრიც კი აღმოჩნდეს, მაინც ვიტყვი, რომ არ მომწონს, და ვერც ავტორიტეტები ვერ შემაცვლევინებენ ამ აზრს. საკუთარი აზრის გამოთქმის და "ხმის დაცვის" უფლება კი ყველას აქვს. ამდენად, ვგონებ, ტექსტის საჯარო განხილვა უნდა იყოს ასეთ შემთხვევებში ყველაზე სწორი, სამართლიანი და დემოკრატიული გადაწყვეტილება და ხალხი თუ გადაწყვეტს - სხვა რა გზა დაგვრჩება - ზეპირადაც ვისწავლით.

და მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეროვნული თანხმობის მონუმენტის პროექტზე ამ ბოლო დროს ჩატარებული კონკურსი. გიხაროდეთ -ქართველების განსაკუთრებული ნიჭიერების შესახებ თვით ქართველებს შორის ღრმად ფესვგადგმული ლეგენდა ცოცხალია! გვიყურეთ და გშურდეთ, იაპონელებო, ინგლისელებო და ფრანგებო, გერმანელებო და განსაკუთრებით კი ამერიკელებო! რასაც თქვენ თვეებს და შეიძლება წლებსაც კი მოანდომებდით, ჩვენ ერთ, ჰაა-ჰაა ორ თვეში ვამთავრებთ - დამკვრელური შრომის გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს! უამრავი საერთაშორისო კონკურსის მასალა გადავათვალიერე, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი ზემოაღნიშნულის სამართლიანობაში.

არ დაგღლით 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად პენტაგონის შენობაში დაღუპულთა მემორიალის საკონკურსო მოცემულობის დეტალური განხილვით; მხოლოდ გეტყვით, რომ საკონკურსო მოცემულობა 6 თავისა და 28 პუნქტისაგან შედგება.

ამ ოცდაოთხგვერდიან მასალას (არაფერს ვამბობ ეგვიპტის დიდი მუზეუმის ზემოთხსენებულ საკონკურსო მოცემულობაზე, რომელიც 300-გვერდიან ფერად ალბომს წარმოადგენს მაგარი ყდით და CD-თი) დამატებით ახლავს ფერადი ფოტოგრაფიები, მათ შორის აეროფოტო, გენგეგმა, სიტუაციური გეგმა, ფასადი, ჭრილები. ყველა კონკურსანტს საშუალება ჰქონდა ორგანიზატორებისათვის დაესვა კითხვები. 15 გვერდი კითხვებით და პასუხებით გამოქვეყნდა ვებგვერდზეც და ფოსტით დაეგზავნა ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს კონკურსის პროექტმენეჯერის მისალმებით და პლაკატით. რეგისტრაცია შესაძლებელი იყო ონლაინ რეჟიმში. პრიზები 5 ფინალისტისათვის არ იყო გათვალისწინებული და მხოლოდ მე-2 სტადიის 3 გამარჯვებულისათვის გამოცხადდა, რასაც არ შეუშლია ხელი უამრავი არქიტექტორისათვის კონკურსში მიეღო მონაწილეობა და ამით გამოეხატა როგორც პატივისცემა დაღუპულთა ხსოვნის მიმართ, ასევე დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ. მთლიანად კონკურსის ორივე სტადიის ჩატარებას დაახლოებით ნახევარი წელი დასჭირდა, მომზადებას ცხრა თვე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გამოცხადებიდან კი არა, პირველი სიტყვის დაცდენიდან ჩვენებური მემორიალის მშენებლობის დამთავრებამდე სულ 5 თვეა ნავარაუდევი, სამაგიეროდ 15 წელი ვემზადებოდით, თუმცა, როგორც ვხედავთ, არ ვიცოდით რისთვის: გვეგონა 9 აპრილის მემორიალისათვის, აღმოჩნდა რომ ეროვნული ერთიანობის მონუმენტისათვის. ორიოდ სიტყვა ჟიურის შესახებ: უამრავი კონკურსის პირობა მინახავს და არ შემხვედრია ანონიმური ჟიური. პირიქით, ჟიურის წევრთა ავტორიტეტულობა კონკურსის პრესტიჟულობას განსაზღვრავს. ჩვენი კონკურსის პირობებს დართული "გრაფიკული მასალის" შესრულების ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გენგეგმაში "ვერ ჩაეტია" პარლამენტის შენობა - ეტყობა მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ აღიქმება მონუმენტი პარლამენტის შენობის შიდა ეზოდან. არ არის მოცემული ჭრილიც. ბუნებრივია, კონკურსანტებს კითხვებიც გასჩენოდათ, მაგრამ ვინაა პასუხის გამცემი - ნიჭიერები ხართ, ჩემო ბატონო, და თავს თვითონ მიხედეთ, ანუ მიხედეთ კითხვებსაც და პასუხებსაცო. რაღა გვიჭირს - ვირწმუნოთ საკუთარი ნიჭიერების და წინ!

## სად არის ჩვენი ბედნიერება, მიშა?

არქიტექტურა და მისი პროდუქცია - შენობები და ნაგებობები საზოგადოების აქტივობის ყველაზე თვალსაჩინო (და თვალშისაცემი) გამოვლინებაა და ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქვეყანაში გამეფებული კორუფციისა და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი ძირითადად სწორედ ამ გამოვლინების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს გამოვლინებები კი ანონიმური არ არის და ჯოხიც არქიტექტორებზე, როგორც ცხოვრებაში ზემოთნახსენები უკანონობის კონკრეტულ გამტარებლებზე, გადატყდა. ეს საზოგადოებისათვის უფრო ადვილად გასაგები და მისაღებიც კი იყო - არქიტექტურის (რაც როგორც ვნახეთ, თავისთავად საზოგადოებას ერთობ თავისებურად ესმის) და არქიტექტორის მიმართ გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში ხომ საკმაოდ მყარი ტრადიციის სახე აქვს - და ბრძოლის ლოზუნგებიც უფრო ეფექტურად აღწევდა მიზანს. აზარტში შესულ მებრძოლებს კი არც გახსენებიათ, რომ წინა ეპოქაში ისედაც სრულად დისკრედიტებული არქიტექტურის შემდგომ "არამიზნობრივ" ექსპლუატაციას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ახალგაზრდა თაობა შეიძლება ითქვას, არქიტექტურის ხელოვნების საზოგადოებრივი აუცილებლობის განცდის ტრადიციის გარეშე გაიზარდა. ბრძოლა კი უსასრულო არ შეიძლება იყოს და ერთხელაც, როდესაც არქიტექტურის თავისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება დაგვჭირდება, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ აღარ შეგვიძლია.

არადა გლობალიზაცია არქიტექტურული პროცესების გააქტიურებას გამოიწვევს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ადგილობრივ არქიტექტორებს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის - დასავლური კომპანიების ნდობის მოპოვებას დრო დასჭირდება. ამ პრობლემის დაძლევა სახელმწიფოს სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს აკადემიური სფეროს რეფორმირების, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით, რათა საერთაშორისო პროცესებში ინტეგრირება მხოლოდ ჩვენს სურვილად არ დარჩეს. აღსადგენია სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობების როლი საბინაო მშენებლობის სფეროში. ქალაქმშენებლობითი თუ არქიტექტურული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებამ ამ სფეროებში პროცესების უმართაობა უნდა აღკვეთოს, კომუნისტურ ეპოქაში არქიტექტურული პროცესის (პროექტირებიდან მშენებლობის დამთავრებამდე) ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებული არქიტექტორი, ბოლოს და ბოლოს, ისევე როგორც მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში, უნდა გახდეს ამ პროცესის რეალური ხელმძღვანელი, ანუ ის, ვისაც დაევალება და შეეძლება კიდეც იკისროს პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და მომავალი თაობების წინაშე. დღეს კი არქიტექტორს პასუხს სთხოვენ იმაზე, რასაც ის დიდი ხანია უკვე - სტალინის სიკვდილის შემდეგ - აღარ წარმართავს.

პლურალიზმი, მოქალაქეთა ურთიერთგანსხვავებული აზრების გათვალისწინება, მათი თანამონაწილეობა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში არქიტექტურული თუ ქალაქმშენებლობითი აქტივობის სფეროებში საზოგადოებრივი თანხმობის საფუძველზე, ანუ ის, რასაც ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები ჰქვია, დღეს ჩვენი რეალობისაგან ძალიან შორსაა. ერთი სიტყვით, ქართული არქიტექტურული საზოგადოება ხელისუფლებისაგან სერიოზულ გადაწყვეტილებებს ელის, მაგრამ არსებობს ეჭვიც, რომ თვით იდეა არქიტექტურული და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის სფეროების რეფორმირებისა შეიძლება ბიუროკრატიული გიგანტის - ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს დერეფნებში ჩაიკარგოს, თუმცა ბოლო სიტყვა მაინც დღევანდელ ხელისუფლებაზეა -მან ნათლად და მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ აღნიშნული სფერო არის არა გაუთავებელი დაპირისპირების ასპარეზი, თუ მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის ლოგიკიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების სფერო, არამედ მიეკუთვნება სახელმწიფოს სტრატეგიული პრიორიტეტების რიცხვს.

სიტყვა თქვენზეა.

## ხელში ხმლით და კისერზე წურბლებით

სტატია უკვე მზად იყო, როდესაც ეროვნული ერთიანობის მონუმენტის საკონკურსო პროექტების გამოფენა გაიხსნა. არ მინდა კონკრეტულად რომელიმე პროექტზე ვისაუბრო. მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებების გაზიარებით შემოვიფარგლები. ნამუშევრებს პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყოფდი: დროშა; სანთლები; ჯვარი; მამაკაცის ფიგურა; ქალის ფიგურა; ზოოლოგიური თემა: ცხენი, არწივი, ყვავ-ყორნები, მტრედები და ა.შ.; ვარიაციები თავისუფალ თემაზე; ზემოთ ჩამოთვლილი თემების კომბინირებით მიღებული ვარიანტები; ნამუშევრები, რომლებიც არც ერთ ჯგუფში არ შედიან.

ცალკე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ ვარიანტები საერთო სათაურით -"ერთხელ სადღაც უკვე ნანახი"; თითოეული ჯგუფი, უეჭველია, დეტალურ განხილვას იმსახურებს, და დასანანია, რომ კრიტიკოსი არა ვარ - პროფესია არ მაძლევს კოლეგების გაკრიტიკების უფლებას - მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: ზედაპირულობა, აზრობრივი, თუ ფორმალური შტამპების სიმრავლე, დასმული ამოცანის გადაწყვეტის "ამორფულობა" და, რაღა თქმა უნდა, ნაჩქარევობა, თითქმის ყველა ნამუშევრის საერთო ნაკლია, გარდა იმათი, რომლებსაც არც დეტალური დამუშავება შეჰმატებდა რამეს. ერთი სიტყვით, გამოფენამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და სრული გამოუვალობის გრძნობაც კი დამეუფლა. განსაკუთრებით მძიმე იყო იმის შეგრძნება, რომ ბევრი ნამუშევარი თითქოს უკვე ნანახი გაქვს - მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია არც თუ ისე შორი წარსულის "სოცრეალისტური" გამოფენები, ქალაქში შესასვლელები, თუ გამოსასვლელები, რომლებიც უხვად ჩამომწკრივებულან ჩვენი სამშობლოს ავტომაგისტრალების გასწვრივ, მემორიალები რაიონულ ცენტრებში და არც მთლად ცენტრებში.

ნუთუ მეტი არ შეგვიძლია? სულ ესა ვართ?

ალბათ, არა. უპრეცედენტო (თუ ჩვენთვის უკვე ჩვეული?) ორგანიზაციული ხარვეზები - დაუმუშავებელი საკონკურსო პირობები, მცირე ვადები და სხვა მრავალი, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ, გახდა მიზეზი იმისა, რომ ბევრმა არ მიიღო კონკურსში მონაწილეობა, ხოლო ბევრმა მონაწილემ კი თავი ვერ გაართვა ამოცანას. მიზეზებიდან ბოლო ადგილზე არც გაუგებარი საპრიზო ფონდია და არც ამით გამოწვეული უნდობლობა ორგანიზატორების მიმართ. მოკლედ, კონკურსი წარუმატებელია. სავალალოა, მომავალი თაობებისათვის გამოუსწორებელი შედეგი რომ არ მივიღოთ, იქნებ არ გვეჩქარა, კარგად დავფიქრებულიყავით, არ ავყოლილიყავით წამიერ გრძნობებს (ბოლოს და ბოლოს, თხუთმეტი წელი ამისათვის ვიცადეთ?) და თვით ეროვნული ერთიანობის იდეის და მონუმენტისათვის განკუთვნილი ადგილის (9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნასაც ვცეთ პატივი) ღირსი გადაწყვეტილება მიგვეღო.

თუმცა, მეჩვენება, რომ ყოველივეს მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ და თუ მომეცა საშუალება, მოსაზრებებს ამის თაობაზე მომავალში გაგიზიარებთ.

# შოუ, რომელიც ღირს სანახავად

## "მის სამყარო" 2004 წლის ლამაზმანებს გამოავლენს

ვერა ნეფარიძე

*"ეს ისეთი გრანდიოზული და ლამაზი სანახაობაა... შარშანდელი ჩანაწერი რომ ვნახე, ცრემლი მომერია. ეს სანახაობა ყველამ უნდა ნახოს", - ამბობს "მის უნივერსის" პირველი მონაწილე ქართველი გოგონას – ნინო მურთაზაშვილის დედა. თამრიკო ჯლუთაშვილის მოსაზრებას (რომ, სანახაობა ყველამ უნდა ნახოს) იზიარებს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-იც და შოუს დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მაყურებელს ამ სანახაობას სთავაზობს.*





როდესაც ტელეეკრანებთან ნინო მურთაზაშვილს საქართველო უგულშემატკივრებს, ქალაქ კიტოში საბოლოო შედეგები უკვე ცნობილი იქნება

მართალია, "მის სამყარო 2004-ს" ამის გამო ქართველი მაყურებლისთვის ნაკლებად ექნება ის ემოციური მუხტი, რაც "მის მსოფლიოს" ჰქონდა შარშან, რადგანაც, როდესაც ტელეეკრანებთან ნინო მურთაზაშვილს საქართველო უგულშემატკივრებს, ქალაქ კიტოში საბოლოო შედეგები უკვე ცნობილი იქნება, მაგრამ როგორც გვარწმუნებენ, სილამაზის კონკურსის ამერიკული შოუ ღირს ამად. მითუმეტეს, რომ ინფორმაციის დონეზე შედეგებს სანახაობის საეთერო ჩვენებამდე, ალბათ, ჩვენც გვაცნობებენ.

ის, რომ სილამაზის კონკურსებისადმი ჩვენი საზოგადოების ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, უკვე ფაქტია. ამაში რა თქმა უნდა, ლომის წილი შარშანდელ კონკურსს - "მის საქართველოს" აქვს. ხოლო, საქართველოს, როგორც საერთაშორისო სილამაზის კონკურსების ერთ-ერთ ორგანულ ნაწილად აღქმა, უკვე შარშანდელ "მის მსოფლიოზე" ქართველი წარმომადგენლის წარმატებული მონაწილეობის დამსახურებაა. დროთა განმავლობაში, საზოგადოების დამოკიდებულებასთან ერთად, იზრდება ამ ღონისძიებებისათვის სამზადისი, რაც უკვე სასურველი შედეგების (თუნდაც, საერთაშორისო ასპარეზზე) მიღწევის წინაპირობაა. თანდათან ჩნდება ის მწვერვალებიც, რომელიც ქარველი მოდელების დასაპყრობია. "მის სამყარო" ერთ-ერთი მათგანია.

ეკვადორი – ამაზონის, მაღალმთიან, სანაპირო და გალაპაგოსის კუნძულებად დაყოფილი ტერიტორია სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთში. მისი ულამაზესი სანაპიროების, უძველესი ქალაქების, თოვლიანი მთებისა და ამაზონის წვიმიანი ტყეების წყალობით ეკვადორი ტურისტების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მხარეა. ხოლო მისი დედაქალაქის – კიტოს არქიტექტურული საგანძური მსოფლიოს მემკვიდრეობადაა აღიარებული. ეს ყველაფერი საკმარისი საფუძველია მსოფლიოს ყველა ლამაზმანის ოცნებისათვის, რომ სილამაზის საერთაშორისო კონკურსზე – "მის სამყაროზე" მოხვდეს. იმის მიუხედავად, მოაწონებს თუ არა თავს კონკურსის ჟიურის.

საქართველოს პირველი წარმომადგენელი "მის სამყაროზე" - ნინო მურთაზაშვილი ეკვადორში 12 მაისს გაემგზავრა. როგორც შევიტყვეთ, ძლიერი მეტოქეებისა და ხვალინდელი ემოციური დღის მოლოდინში, ქართველი კონკურსანტი საკმაოდ ხალისიანია და ოპტიმისტურადაა განწყობილი. ეს ყველაფერი კი, ალბათ, მისადმი კეთილგანწყობის გარდა (სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრში" კონკურსის ორგანიზატორებისგან მადლობის წერილიც მიიღეს), გარემოს დამსახურებაცაა.

"ყოველდღე ვესაუბრებით ნინოს; არაჩვეულებრივი განწყობა აქვს. ზღაპრულ გარემოშია. საკმაოდ ხალისიანადაა. მის მიმართაც კეთილგანწყობილნი არიან. საერთოდ, ძალიან კომუნიკაბელურია, ინტელექტითაც გამოირჩევა. თუმცა, წინასწარ მოსალოდნელ შედეგებზე საუბარი შეუძლებელია. უბრალოდ, მჯერა ჟიურის სამართლიანობის", - ამბობს ადამიანი, ვინც ალბათ ყველაზე მოუთმენლად ელის "მის სამყაროს" ჟიურის გადაწყვეტილებებს. ეს ადამიანი, რასაკვირველია, ქართველი კონკურსანტის დედაა.



ადგილობრივ პრესაში მის პოლონეთთან და მის მალაიზიასთან ერთად

ქართველი მონაწილის წარსადგენად "იმიჯ ცენტრთან" ერთად სალონმა "მაკა ასათიანმა" და დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმაც იზრუნეს. საკონკურსო ფეხსაცმელი თათა ვარდანაშვილმა შეკერა, მაკა ასათიანის სალონში კი შეიქმნა ორი კაბა, რომლებითაც ნინო მურთაზაშვილი საკონკურსო ჩვენებებში (მათ შორის, ნაციონალური კაბების კონკურსში) მიიღებს მონაწილეობას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაციონალური კაბების შესარჩევი კონკურსი უკვე გაიმართა. ვფიქრობთ, რომ სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრის" რჩეული კონკურსში მხოლოდ დიზაინერების იმედად არ დარჩება და საკუთარ ხიბლსა და ინდივიდუალობასაც წარმატებით წარმოაჩენს. ყველაფერი ხვალ გაირკვევა.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*2 ივნისი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.00** მხ. ფილმი "ჟანა დარკის ისტორია". მთ. რ-ში: მილა იოვოვიჩი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.15(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგზაგ კაფე. ბაყაყის ეროტიკული ცხოვრება. მხ.ფილმი. რეჟისორი ბერტრან არტუი. 2003. **21.25** ერის დაბადება. ალჟირი (1956-1962) დოკ.ფილმი. **24.05** მადამ მაოს გმირის დიდებულება და დოკ.ფილმი. **01.40** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **03.00** სამხრეთის ანარეკლი. მალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.20** სერიალი "რვაფეხა-3" **16.20** დოკ. სერიალი **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ინსპექტორი ლავარდენი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მონღოლები" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-2" (15) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "სათამაშო" (პიერ რიშარი) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "მამაცი გული" (მელ გიბსონი) (15)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "სიჩქარე-2" (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "ნიურნბერგი" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დანტეს პიკი" (18) (პირს ბროსნანი)

### მეორე არხი

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.45, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ტანდემი" (გ) **01.35** არტ-ბულვარი.

### იბერია

**08.00** მხ. ფილმი "მოიშორო კარტერი" (18) **10.30** ოპერა **13.00** კონცერტი **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **21.30** მხ. ფილმი "სადილი 13 კაცზე" (12) (პიტერ უსტინოვი) **22.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "დღის ლამაზმანი" (18) (კატრინ დენევი)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20** Город женщин **14.10** Лидия Смирнова в фильме **"ТРОЕ ВЫШЛИ ИЗ ЛЕСА" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Эстрада без парада". Док. фильм к 50-летию Московского гос. театра эстрады **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алиса Фрейндлих в детективе **"ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 1-я с. 22.00, 00.30** Время **23.40** Тайны века. "Брат императора. Необъявленная казнь" **00.50 Футбол.** Матч к 100-летию ФИФА. Сб. России - сб. легионеров **02.20** Военный боевик **"ЖЕЛЕЗНЫЙ КРЕСТ" 04.55** Остросюжетный фильм **"ДЭРИЛ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Приключенческий фильм **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 2 с. 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "История лемура". **19.35** Протокол. **20.40** Детектив **"СЫЩИКИ-3: ЗНАНИЕ УМНОЖАЕТ СКОРБЬ..." 21.45 Сериал "БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." 11с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 3 с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3" 02.35** Ленивая ночь.

**შპს "იბერია რეფრეშმენტსი", "პეპსი-კოლას"** ოფიციალური ბოთლერი საქართველოში სამუშაოდ იწვევს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს, სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**აუცილებელი მოთხოვნები:**
ა) ასაკი 25 წლამდე;
ბ) უმაღლესი განათლება;
გ) მართვის მოწმობა (სასურველია BC კატეგორია)

**დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ CV ფაქსის შემდეგ ნომრებზე: 241090, 758565**

**განცხადების მიღების მოლო ვადაა 31.05.2004**







თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.







# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

